# საერთო გაზეთი

№12 (365) • 6 აპრილი, 2016 წ.• გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1.20 ლ.


## პროვოკატორები



ალასანია და ხიდაშელი ამწუთას იმ ტორეადორის როლს თამაშობენ და წითელი ბაირაღით ხელში იმ ხარის განრისხებას ცდილობენ, რომელსაც ყველას განადგურება აქვს გადაწყვეტილი, გარდა კგბ-ს ტორეადორებისა?!

„პირდაპირ ვიტყვი - ურა ნანუაშვილი სახალხო დამცველი კი არა, პროვოკატორი და მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტერია"



## როდის დამთავრდება აგენტების, „სტუკაჩების", „ნასედკების" ზეობა საქართველოში?




როდის მივიღებთ ლუსტრაციის კანონს და როდის გადავჭრით იმ ჭიპლარს, რომლითაც უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან დღემდე ვართ მიბმული?

იგეგმება თუ არა „ქართული მაიდანი", რომლის სისრულეში მოსაყვანად, როგორც ამბობენ, უკვე გამოყოფილია 200 მლნ. დოლარი



რომელი ქვეყნის რეზიდენტია მიხეილ სააკაშვილი და რა ავანტიურას გეგმავს იგი საქართველოში დასაბრუნებლად?

## თსუ-ში მომხდარი დრამატული მოვლენები „ნაცმოძრაობის" მიერ იყო ინსპირირებული?

## თანამდებობის პირების გადადგომის მოთხოვნები პროვოცირებულია და სახელმწიფო სტრუქტურების დასუსტებას ისახავს მიზნად

## რამაზ საყვარელიძე:

# „რესპუბლიკელების“ მიერ გადადგმული ნაბიჯი, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ძალიან პროგრესული ნაბიჯია



გვესაუბრება ფსიქოლოგი, ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე:**

**— ბატონო რამაზ, პოლიტიკური დღის წესრიგი შეიცვალა. კოალიცია, ფაქტობრივად, დაშლილია. „რესპუბლიკელებმა“ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობაზე განცხადება გააკეთეს, თუმცა, კოალიციაში კვლავ რჩებიან და დაკავებულ საკვანძო თანამდებობებსაც ინარჩუნებენ. როგორია თქვენი შეფასება?**

— დიახ, მორიგი პოლიტიკური აურზაურის მომსწრენი ვართ, ნამდვილად მნიშვნელოვანი მოვლენაა ის, რომ კოალიციის სუბიექტებმა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის მიღებაზე განცხადება გააკეთეს. ოღონდ, ამ ფაქტს, რომ კოალიცია დაიშალა, თან რაღაც ლინგვისტური გაუგებრობა ახლავს. ჩვეულებრივ, ორ ტერმინს ყოფენ — როცა წინასაარჩევნოდ რამოდენიმე პარტია მხოლოდ არჩევნებში გამარჯვების მიზნით იკვრება, ამას წინასაარჩევნო ბლოკს არქმევენ, ხოლო მერე, უკვე პარლამენტში შესული პარტიები ერთმანეთთან კავშირს კრავენ, რადგან ცალ-ცალკე გადაწყვეტილებას ვერ იღებენ — ხმები არ ჰყოფნით, ამას საპარლამენტო კოალიციას არქმევენ და აქვე, ჩნდება ტერმინი კოალიციური მთავრობა. არსებულმა საპარლამენტო კოალიციამ პორტფელები გადაანაწილა და სხვადასხვა პარტიებისგან აღმასრულებელი ხელისუფლება დააკომპლექტა, ეს ევროპული გამოცდილებაა, ახალი არაფერია. შეგახსენებთ ივანიშვილის ნათქვამსაც — პარლამენტში რომ შევალთ, დავიშლებითო. იგი ბლოკს კრავდა და არა ასეთ მონოლითს. აღმოჩნდა, რომ არ დაიშალნენ. „ქართული ოცნება“ ამბობდა, რომ მომავალ არჩევნებში ცალ-ცალკე გავიდოდა. მერე ეს ფრაზა ჩაქრა და იმით შეიცვალა, რომ კოალიცია ერთიანი იქნებაო. ახლა კი ისევ ძველი დამოკიდებულება დაბრუნდა. რეალურად, ეს იყო წინასაარჩევნო ბლოკი, რაც მერე, საპარლამენტო კოალიციად ჩამოყალიბდა, მან შექმნა მთავრობა და ახლა, გაუგებარია, რას ნიშნავს ეს კოალიცია დაიშალა? — იმიტომ, რომ თუ ნორმალური ცხოვრება გვინდა, იგი, უნდა დაიშალოს. დასავლეთის ყველა ქვეყანაში ასეთი საპარლამენტო კოალიციები, არჩევნების წინ, იშლება, რათა მომავალმა პარლამენტმა მოსახლეობის განწყობილება ზუსტად ასახოს. თუ ყველა პარტია გაერთიანდა, მაშინ ხომ სრული გაუგებრობა იქნება?! ადრე, სააკაშვილის მთავრობის შეცვლის მიზნით თოფაძე და „რესპუბლიკელებიც“ კი იყვნენ გაერთიანებული, მაგრამ ქვეყნის მშენებლობის საკითხში მათ, შეიძლება, რადიკალურად განსხვავებული პოზიციები ჰქონდეთ. თუ სამომავლოდ მათი ერთად ყოფნა გაგრძელდა, ამომრჩეველი დაიბნევა, ეს ტყუილად ხმების განიავება იქნება. დაე, გამოჩნდეს რა სურათია, ამაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. გაუგებრობაა ატეხილი იმის გამოც, რომ კოალიცია დაიშალა და პარლამენტში უმრავლესობა აღარ არისო და ა.შ. საპარლამენტო კოალიცია წესით, ვადის ამოწურვამდე არსებობს. ანუ, კოალიციაში შემავალი პარტიები არჩევნებამდე, პარლამენტის შიგნით, ერთმანეთთან ბრძოლას არ დაიწყებენ, არც მინისტრის პორტფელებს გამოიყენებენ ერთმანეთთან საბრძოლველად. მათ ევროპული დამოკიდებულება აქვთ. აბსოლუტურად სწორი იყო „რესპუბლიკელების“ განცხადება, რომ ისინი, მომავალ არჩევნებამდე, უმრავლესობას არ დატოვებენ, ანუ კოალიციაში რჩებიან და არც პორტფელებს ტოვებენ. არც შეიძლება დატოვონ და გაუგებარია, რატომ ფიქრობს მავანი, რომ მათ თანამდებობები უნდა დატოვონ?! სწორედ, ამ კონსტრუქციით, პრინციპებით ცხოვრობს საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ანუ ევროპის ძირითადი ქვეყნები. რატომ დავიწყეთ კატასტროფის ძებნა, გაუგებარია. ის რაც მოხდა, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ძალიან პროგრესული ნაბიჯია. კალაძემ თქვა — საქართველოში სხვა პარტიებს ამოფარებული პარტიები აღარ იქნებაო. ჩვენ, ეს პრობლემა სულ გვქონდა: ზვიადის დროს „მრგვალი მაგიდის“ გარშემო უამრავი პარტია გაერთიანა, მაშინ მთავარი ამოცანა კომუნისტების დამარცხება იყო, მერე, სამოქალაქო ომისგან გაპარტახებული ქვეყნის ჩიხიდან გამოსაყვანად შევარდნაძის გარშემო გაერთიანდა გუნდი „მოქალაქეთა კავშირის“ სახით, მერე შევარდნაძე იყო დასაძლევი და სააკაშვილმა შექმნა გაერთიანება. ასე, რომ სულ გაერთიანებებში ვართ და შედეგად, გვაქვს რაღაც მეგა-პარტიები, სადაც გადაწყვეტილებებს ერთი პოლიტიკური ძალა იღებს. ამიტომაც, პოლიტიკური ცხოვრება, პრაქტიკულად, მკვდარია. ჩვენი პარლამენტარების ძირითადი ფუნქცია ხელის აწევაა, არც კამათია წესიერი, არც კომპრომისები, არც პოლიტიკური ვაჭრობა. ჩვენთან, ეს ყველაფერი, მკვდარია იმიტომ, რომ ყოველთვის არსებობს უმრავლესობა. ამას წერტილი უნდა დავუსვათ და პარტიები, მოსახლეობის წინაშე, თავიანთი წონით წარსდგნენ. ეს ნაბიჯი, თითოეული პარტიის წინაშე, ახალ ამოცანას აყენებს — მათ მოუწევთ მაქსიმალური მობილიზაცია იმისათვის, რომ ხმები მოიპოვონ, არცერთი პარტია მხართეძოზე წამოგორებული არ იქნება და ყველას, რეალური პოლიტიკური ბრძოლის, საკუთარ თავზე აღება მოუწევს, რაც პოზიტივია. პოლიტიკოსების მხრიდან ისმის განცხადებები კოალიციის დაშლის თაობაზე. მინდა, მათ გასაგონად ვთქვა: საპარლამენტო კოალიცია, რომელიც პარლამენტს შიგნით შეიქმნა, ჯერჯერობით, არ დაშლილა. თუ „რესპუბლიკელები“ არჩევნებში ცალკე აპირებენ გასვლას, ეს მათ არ ავალდებულებთ, რომ კოალიციიდან ახლა გამოვიდნენ. აი, ესაა გაუგებრობა. ამას ამბობს პოლიტიკოსი, რაც, ელემენტარულად, სირცხვილია.

**— ბატონო რამაზ, წეღან ახსენეთ, დასავლეთის ქვეყნებში ასეთი კოალიციები არჩევნების წინ იშლებაო. ამაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ რამდენად ინარჩუნებენ ისინი — უკვე კონკურენტები, წამყვან თანამდებობებს?**

— რადგან „რესპუბლიკელები“ არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღებენ მონაწილეობას ამიტომ, წინასწარ დაიშალნონ, ამის არანაირი აუცილებლობა არ არსებობს. კოალიციაში შემავალმა პარტიებმა ახლა უნდა გადაწყვიტონ, დარჩენილი თვეები, შეძლებენ თუ არა ისე გაძლონ, როგორც ეს ოთხი წელი, ანუ, პარლამენტის სიცოცხლე ბოლო წერტილამდე მიიყვანონ, მერე, დაიშალნონ და ერთმანეთის კონკურენტები გახდნენ. ახლა, რამდენად აზრიანია, პატრიოტულია, პოლიტიკურად გამართულია სახელმწიფოს მშენებლობაში ერთმანეთის კონკურენციიით ხელმძღვანელობა? ვიმეორებ, გერმანია, ბოლო პერიოდში, ერთპარტიული არასოდეს ყოფილა, ყოველთვის კოალიცია იქმნებოდა. ეს კოალიცია ეყრდნობა იმას, რომ შიგ შემავალ პარტიებს პორტფელები ექნებათ. როდის უნდა გადაწყვიტონ ამ პარტიებმა რომ ერთმანეთის კონკურენტები გახდნენ? პარლამენტის შუა ცხოვრებაში შეიძლება უცებ გადაწყვიტონ და პორტფელები მოისროლონ? ასე ხომ ქვეყანა დაშავდება? ამიტომ, პარტიებს შორის პოლიტიკური დიალოგი და, რა თქმა უნდა, პორტფელებიც, შენარჩუნებულია. „რესპუბლიკელებმა“ გამოაცხადეს, „ქართულ ოცნებასთან“, პრინციპულ საკითხებზე, საკამათო არაფერი გვაქვსო. პორტფელები, რა თქმა უნდა, შენარჩუნებული უნდა იყოს, ისე როგორც ეს გერმანიაში ხდება. კი ბატონო, არცერთ ევროპულ ქვეყანაში არ ხდება, რომ ოპოზიცია პორტფელს ფლობდეს, მაგრამ კოალიციაში მყოფი პარტია ოპოზიციის ქვეშ არ განიხილება.

**— ანუ, მიუხედავად იმისა, რომ ვიცით „რესპუბლიკელების“ პოზიცია, მათ შემოდგომამდე „ქართული ოცნების“ კონკურენტებად ვერ ჩავთვლით?**

— დიახ, საარჩევნოდ ყველა ერთმანეთის ოპონენტია, მაგრამ დღევანდელ ხელისუფლებაში ვინც პარტნიორები იყვნენ, კვლავ პარტნიორებად რჩებიან. თუ „რესპუბლიკური პარტია“ განაცხადებს, რომ მისთვის მმართველი პარტიის — „ქართული ოცნების“ დღევანდელ დღეს შექმნილი პოლიტიკური პოზიცია მიუღებელია და ამიტომ გადის კოალიციიდან, მაშინ კოალიცია იშლება. ანუ, კოალიციის დაშლას პოლიტიკური მოტივი უნდა ჰქონდეს, შეიძლება პოზიციების დავის გამო დაიშალნონ და არა იმიტომ, რომ ისინი მომავალში ცალ-ცალკე პარტიები იქნებიან.

**— ამ სიტუაციაში ვინ იღებს ხელისუფლებაზე პასუხისმგებლობას?**

— რა თქმა უნდა, კოალიცია. ცხადია, „რესპუბლიკელებს“ შეუძლიათ თქვან, ამა და ამ საკითხზე „ქართულ ოცნებას“ არ ვეთანხმებოდითო, მაგრამ ხელისუფლებაზე პასუხისმგებლობას თანაბრად ინაწილებენ. ასე, ოჯახის წევრებშიც არ არის თანხმობა და ჩვენ კოალიციაში მოვინდომეთ?

**— ბატონო რამაზ, ახლახან, სატელევიზიო გამოსვლაში ნინო გოგუაძემ განაცხადა სანამ „რესპუბლიკელები“ კოალიციაში იყვნენ, უფრო იმედიანად ვიყავი, მათ მისწრაფებებში ეჭვი არ მეპარება, „ქართული ოცნების“ გუნდი კი ხარისხობრივად ვერ აკმაყოფილებს ევროპულ მოთხოვნებსო. ადრე, მახსოვს, „თავისუფალი დემოკრატების“ გარეშე „არ გვიღებდნენ“ ევროპაში, ახლა „რესპუბლიკელების“ გარეშე ილუპება ეს იდეა?**




4 გვ. →

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

„საერთო გაზეთის“ არქივში ერთი ინტერვიუ ინახება, რომელიც აქამდე არ გამოქვეყნებულა.

გთავაზობთ ფრაგმენტებს ამ ინტერვიუდან, რომელიც 2011 წლის ოქტომბერშია ჩაწერილი.

ჟურნალისტი კითხვას უსვამს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთ ლიდერს:

– ***რამდენად რეალური ძალაა და რა პოლიტიკური პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლას?***

– *მე მგონი, ეს გახლავთ მიხეილ სააკაშვილის პროექტი. ამის პირველ მიზეზად მიმაჩნია ტელეკომპანიებზე, კერძოდ, „კავკასიაზე“ და „მაესტროზე“ თავდასხმა, რადგან პრეზიდენტს უკვე დიდი ხანია ოპოზიციური ტელევიზიები და პრესა ყელში აქვს გაჩხერილი. ჩემი აზრით, ეს ყველაფერი, პირველ რიგში, სააკაშვილს სჭირდება, იგი ხალხს ყურადღებას გადაატანინებს და ამაში მალე დარწმუნდებით. ამ ყველაფრის შედეგად ხალხს, საზოგადოებას, ბევრი რამ დაავიწყდება, ბევრ რამეს გადაფარავს ივანიშვილის გამოჩენა. ამასთან, ხელისუფლება დიდ არეულობას შეიტანს ოპოზიციაში.*

*ოპოზიციური პარტიები და ერთეული პიროვნებები ვერ გაერთიანდებიან და ბევრი წინააღმდეგობაც წამოჰყოფს თავს. ეს გახლავთ ნაციონალების მიერ დაგეგმილი ოპოზიციის დაქსაქსვა-დანაწევრება-არშეკვრის პროექტი.*

*რატომ არ ჩანდა ივანიშვილი ამდენ ხანს? სად იყო? უბრალოდ, პერიოდულად საჭიროა ამგვარი ფიგურების ავანსცენაზე პორცია-პორციად გამოყვანა და ეს ძალიან გამოადგება ხელისუფლებას. ეს თავისებური ტაქტიკა გახლავთ“.*

როგორც ვთქვით, ინტერვიუ 2011 წლის ოქტომბერშია ჩაწერილი, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლიდან ორიოდე კვირაში.

რადგან ინტერვიუს ჩაწერიდან რამდენიმე დღეში „რესპუბლიკური პარტია“, რომლის ერთ-ერთ სახეს და მთავარ ფიგურას წარმოადგენდა ჩვენი ინტერვიუერი, მოულოდნელად ბიძინა ივანიშვილის გვერდით ვიხილეთ, როგორც მისი ერთ-ერთი მთავარი მოკავშირე და თანამოაზრე.

ცხადია, რესპონდენტის მიერ გაკეთებული ეს მკვეთრი და რადიკალური მოსაზრებები არ ეკუთვნოდა მხოლოდ მას და ის მისი პარტიის საერთო განწყობას და პოზიციას გამოხატავდა.

რესპუბლიკური პარტიის სხვა ლიდერებიც, სანამ მათ ბიძინა ივანიშვილი დაუძახებდა, მკვეთრად უარყოფით განცხადებებს აკეთებდნენ ასპარეზზე ახლად გამოჩენილი პოლიტიკური ძალის მისამართით და მასთან თანამშრომლობას და პარტნიორობას, ფაქტობრივად, გამორიცხავდნენ.

თუმცა მათ, როგორც მოგეხსენებათ, სულ რამდენიმე დღეში შეიცვალეს აზრი და ბიძინა ივანიშვილის გვერდით ისე ყელმოღერებით დადგნენ, თითქოს მთელი ცხოვრება კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ გაწევრიანებაზე ოცნებობდნენ.

ფაქტია, ასე უცებ პოლიტიკურ პლატფორმას და იდეოლოგიას არ იცვლიან და, ცხადია, ამის გაკეთებას ვერც „რესპუბლიკელები“ მოახერხებდნენ ორ დღეში თუ ორ კვირაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ მაინც არ უთქვამთ უარი შემოთავაზებულ წინადადებაზე, რითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ მათ არასდროს არ ჰქონიათ პრინციპები და ღირებულებები, რომლებსაც არავითარ შემთხვევაში არ გადაუხვევდნენ.

ამასწინათ ერთმა პოლიტიკოსმა ასეთი რამ თქვა „რესპუბლიკელებზე“: ეს პარტია დაბადებიდან სპეცსამსახურებთან თანამშრომლობს, რომელთა მიზანიც არის მუდმივად პარლამენტში ყოფნა. „რესპუბლიკური პარტია“ კომუნისტების დროს მათი აგენტურა იყო, ახლა ამერიკელების აგენტურაა ეყოფიან და არჩევნებში ცალკე მიიღებენ მონაწილეობას, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი მოწონებით და სიხარულით შეხვდა, თუმცა თუ კარგად დავაკვირდებით ულტიმატუმის ფორმით მოწოდებულ იმ მოთხოვნებს, რომლებიც „რესპუბლიკელებმა“ წამოაყენეს, მათში დასაფიქრებელი და საგანგაშო უფრო მეტია, ვიდრე სასიხარულო.



საქმე ის არის, რომ „რესპუბლიკელები“ კატეგორიულად მოითხოვენ, იმ ექვსი თვის განმავლობაში, რომელიც არჩევნებამდე დარჩა, შეუნარჩუნდეთ ყველა პოსტი, როგორც უმაღლეს, ასევე საშუალო დონეზე, რომელიც მათ მოცემულ მომენტში უჭი-

# ენდო „რესპუბლიკელების“ სიტყვას, ეს იგივეა, ენდო საათის მექანიზმზე ჩართულ ბომბს...




რაა, დემოკრატია იქნება – დემოკრატები იქნებიან, ავტორიტარიზმის დროს – ავტორიტარები, მთავარია, პარლამენტში ფრაქცია ჰყავდეთ, ხელფასი და სამივლინებო ხარჯები აიღონ...“

თუ „რესპუბლიკური პარტიის“ შრომით ბიოგრაფიას თვალს გადავავლებთ, ძნელია, არ დაეთანხმო ამ შეფასებას – შევარდნაძის დროს შევარდნაძისა სჯეროდათ, მერე შევარდნაძის არ სჯეროდათ და სააკაშვილისა სჯეროდათ, მერე სააკაშვილისა არ სჯეროდათ და... აი, აქ გავიჭედეთ, რადგან არავინ იცის დაბეჯითებით, ბიძინა ივანიშვილისა ოდესმე სჯეროდათ და იმიტომ ეახლნენ თუ უბრალოდ, მიწვევაზე იმიტომ დასთანხმდნენ, რომ პოლიტიკურ სახლში, სადაც ეპატიჟებოდნენ, იცოდნენ, რომ მატერიალურად უზრუნველყოფილნი, თბილად და მაძღრად იქნებოდნენ.

შემოდგომაზე სხვა სახლში, უფრო ზუსტად, სხვის სახლში, გადავლენ, რადგან საქართველოში, ქართულ მიწაზე, მათ ვერა და ვერ მოახერხეს საკუთარი სახლისთვის საძირკვლის ჩაყრა.

ქართულმა მიწამ არ მიიღო საძირკველი იმ სახლისა, რომელსაც „რესპუბლიკელები“ აშენებენ, აშენებენ და დღემდე ვერ აუშენებიათ.

მომთაბარე პარტიაა, მოხეტიალე პოლიტიკური თეატრი, რომელიც ხან სად დასცემს კარავს და ხან – სად...

„რესპუბლიკელთა“ განცხადებას, რომ ისინი შემოდგომაზე კოალიცია „ქართულ ოცნებას“ გამორავთ, სამაგიეროდ, ისინი რჩებიან როგორც კოალიციაში, ასევე საპარლამენტო უმრავლესობაში, თუმცა პირობას არ იძლევიან, რომ იმოქმედებენ მხოლოდ იმრავლესობის ინტერესების შესაბამისად.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ პარლამენტის თავმჯდომარე და თავდაცვის მინისტრი „რესპუბლიკელები“ და იმავე დროს მეუღლეები არიან, აღმოჩნდება, რომ ამ ორი ადამიანის, იმავდროულად კი მთელი „რესპუბლიკური პარტიის“ ,ხელში კონცენტრირებულია სერიოზული ძალაუფლება, რომლის პირადი პარტიული ინტერესებისთვის გამოყენების შემთხვევაში, სულაც არ არის შეუძლებელი სიტუაციის მართვა და სრულ კონტროლზე აყვანა, საჭიროების შემთხვევაში კი დესტაბილიზაციის და უმართავი პროცესების გამოწვევა.

მხედველობაშია მისაღები ის ფაქტიც, რომ „რესპუბლიკელებმა“ კარგად იხეირეს კოალიციაში ყოფნით და თავიანთი პარტიული სტრუქტურების გაძლიერება და გაფართოებაც მოახერხეს, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებშიც.

არც ის არის ვინმესთვის საიდუმლო, რომ „რესპუბლიკელები“ არასამთავრობო ორგანიზაციების მნიშვნელოვან სეგმენტს აკონტროლებენ, ხოლო „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ („საია“), შეიძლება ითქვას, რომ არაფორმალურად მათ კერძო საკუთრებაში არსებული ორგანიზაციაა.

ამათ დავუმატოთ ისიც, რომ „რესპუბლიკელებს“, როგორც თვითონ ამტკიცებენ, სერიოზული მხარდაჭერა აქვთ საერთაშორისო მასშტაბებითაც.

ყველაფერი ეს ერთად აღებული, საკმაოდ დიდ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს, რომელიც სრულიად საკმარისია კოალიციაში წამყვანი პოზიციების შესანარჩუნებლად და პოლიტიკური ორგანიზაცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ დასასუსტებლად, რომელიც, თუ მოინდომებს, „რესპუბლიკურ პარტიას“ შეუძლია მუდმივ შანტაჟში ჰყავდეს და ახალ-ახალი მოთხოვნების უპირობოდ შესრულება მოსთხოვოს, თუ არადა, წინ წამოიწევს მუქარა, რომ გავლენ კოალიციიდან, გავლენ უმრავლესობიდან, რაც ავტომატურად გადაიზრდება პოლიტიკურ კრიზისში.

ზემოთ ვთქვით, რომ „რესპუბლიკური პარტიის“ ხელში საკმაოდ დიდი ძალაა თავმოყრილი, თუმცა ეს ძალა მაინც არ არის საკმარისი საპარლამენტო არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვებისთვის, რადგან „რესპუბლიკელებს“ ისე აქვთ ურთიერთობა გაფუჭებული ქართველ ხალხთან, რომ ძნელი დასაჯერებელია, არჩევნებში სერიოზულ შედეგებს მიაღწიონ.

რა გამოდის?

გამოდის ის, რომ „რესპუბლიკელებს“, მარტივი არითმეტიკული გაანგარიშებით, ხელს არ აძლევთ მშვიდ, ნორმალურ ვითარებაში არჩევნებამდე მისვლა და ამ არჩევნების მშვიდ, ნორმალურ ვითარებაში ჩატარება, რადგან ამ შემთხვევაში მათ წარმატების ძალიან მცირე შანსი აქვთ, ისე, როგორც „ნაციონალებს“, რომლებთანაც, როგორც ამბობენ, „რესპუბლიკელებს“ დღემდე არ შეუწყვეტიათ ნათელ-მირონობა და პოლიტიკური „ბიძაშვილ-მამიდაშვილობა“.

განა პარლამენტის თავმჯდომარე, #1 რესპუბლიკელი დავით უსუფაშვილი არ იყო, ვინც განაცხადა, ჩვენი მთავარი ამოცანაა გადავარჩინოთ „ნაცმოძრაობაო“?

იგივე აზრი გაიმეორა უხუცესმა რესპუბლიკელმა ლევან ბერძენიშვილმაც, რომელმაც ქართველი ხალხი იმით დააშინა, რომ მესამე კლასში გადასულებს კვლავ მეორე კლასში დაგვაბრუნებენ, თუ „ნაცმოძრაობის“ შევიწროებას გავაგრძელებთო.

შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში „რესპუბლიკელები“ და „ნაციონალები“ იძულებულნი არიან, კიდევ უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს და „ქართული ოცნების“ დასამარცხებლად სინქრონულად, ურთიერთშეთანხმებით იმოქმედონ, მათ კი ამის გაკეთება არ გაუჭირდებათ, რადგან ორივეს, ფაქტობრივად, ერთი პატრონი, ერთი მფარველი, ერთი ინსტრუქტორი ჰყავთ.

„რესპუბლიკელები“ და „ნაციონალები“ ბედისწერით არიან ერთმანეთთან გადაჯაჭვულნი, მათ ერთმანეთის იქით გზა არ აქვთ და თუ ერთმანეთი არ გადაარჩინეს, სხვა მათი გადამრჩენელი არავინაა.

ლოგიკას თუ მივყვებით, კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ „რესპუბლიკელების“ დატოვებით კოალიციაში „რესპუბლიკელების“ ფარული მოკავშირე „ნაცმოძრაობაც“ შემოდის, შემოდის, როგორც უხილავი ვირუსი, უხილავი ბაცილა, უხილავი მკვლელი.

გაუძლებს კი „ქართული ოცნება“ შიგნით შემოპარული ამდენი უხილავი თუ ხილული მტრის დესტრუქციულ ქმედებებს?

„რესპუბლიკური პარტია“ იფიცება, რომ როგორც სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის მქონე სუბიექტი, წესიერად მოიქცევა და არჩევნებამდე დარჩენილ დროში არაფერს გააფუჭებს, არაფერს დააზიანებს.

ენდო „რესპუბლიკელების“ სიტყვას, ეს იგივეა, ენდო საათის მექანიზმზე ჩართულ ბომბს, რომელიც იმ დროს უნდა აფეთქდეს, როცა საააათის ისრები წინასწარ განსაზღვრულ დროს გაუსწორდება...

არავინ იცის, როდის დადგება ეს დრო – ერთ თვეში? ორ თვეში? ოთხ თვეში?

აფეთქების დრო ზუსტად არავინ იცის, მაგრამ აფეთქებით რომ აუცილებლად აფეთქდება ეს ბომბი, ცხადია, რადგან აუფეთქებელ პოლიტიკურ ბომბებს ჯართად ყრიან ხოლმე პოლიტიკურ სანაგვეზე...

# იგეგმება თუ არა „ქართული მაიდანი“, რომლის სისრულეში მოსაყვანად, როგორც ამბობენ, უკვე გამოყოფილია 200 მლნ. დოლარი

## რა საქმე ჰქონდათ ერთმანეთთან თინა ხიდაშელს, სახელგატეხილ კარლ ბილდტს და პოლონეთის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს რადისლავ შიკორსკის

სასწაული აბსურდის მომსწრენი გავხდით – ორი სხვადასხვა პარტია (აბსოლუტურად განსხვავებული რეიტინგისა), რომლებიც დადასტურებულად კონკურენტები იქნებიან არჩევნებზე, არჩევნების ჩატარების პირველ წუთამდე ერთჭერქვეშ იქნებიან ერთმანეთის პოლიტიკური თუ პირადი სიძულვილით აღსავსენი და რაც საჭიროა თუ არ არის საჭირო რომ იცოდნენ, ზედმიწევნით ეცოდინებათ? სხვაგვარად როგორ უნდა წარმოიდგინო მინისტრთა კაბინეტი, „გაბრძანდით პატივცემულებო მცირე ხნით, რაღაც უნდა ვუთხრა ჩემებსო“ თუ როგორ? ცალკე გასული საარჩევნო სუბიექტი განცალკავებულად აზდენს გარკვეულ ელექტორატზე რეაგირებას და ამ შემთხვევაში, როგორ უნდა წარმოიდგინოს ადამიანმა, როცა პარტია გამოეყო მმართველ ხელისუფლებას, მაგრამ მისი წარმომადგენლები მაინც ხელისუფლებაში რომ უნდა ისხდნენ? ვთქვათ, თანაპარტიელებმა, ამასთანავე, თავდაცვის მინისტრმა და პარლამენტის თავმჯდომარემ. ბოლობოლო, მეუღლეებად ცნობილმა და საერთო შვილების საერთო მშობლებმა, თინა ხიდაშელმა და დავით უსუფაშვილმა, ერთმანეთი როგორ უნდა მიაქოქოლონ?

პატიოსანის სახელი რომ რამედ უღირდეთ, პარლამენტიც კი უნდა დაეტოვებინა კოალიციიდან ნებისმიერი მიზეზით გასულ ნებისმიერ პარტიას... სამწუხაროდ, რადგან ვიცით, რომ აღნიშნულ „ნაკრებს“ დიდი პრეტენზია არ აქვს „პატიოსან სახელზე“, ჯანდაბასო, იტყვის ამომრჩეველი, პარლამენტში, კიდევ შესაძლებელია, მაგრამ მთავრობა რომ ყველა „რესპუბლიკელმა“ უნდა დატოვოს ორი აზრი არ არსებობს.

ერთი სიტყვა ბატონ პრემიერზეც ყოფილა და მართლაც საინტერესოა, თვით როგორ წარმოუდგენია კოალიციურ რეჟიმში მუშაობა თუ მთავრობა კონკურენტი პარტიის წევრებით იქნება დაკომპლექტებული?

საუბარია იმ „რესპუბლიკურ პარტიაზე“, რომელიც არა უბრალოდ შემჩნეულია, ღიად არის დაკავშირებული სააკაშვილის დამნაშავე რეჟიმთან თბილ და საეჭვო ურთიერთობებში მათი ბოგინის ყველა ეტაპზე, დაწყებული მხარდამჭერი განცხადებებიდან, უკრაინული „ვიკილიქსის“ მიერ გამოქვეყნებული ჩანაწერის ჩათვლით. უფრო მეტიც, ასეთივე კარგი და მნიშვნელოვანი ურთიერთობები აქვთ „ნაცმოძრაობის“ უცხოელ პატრონებთან, რომლებიც, ფაქტობრივად, მათი პატრონებიც არიან.



ეს კი არა და, სააგენტო „ემრესმა“ მოიპოვა და გამოაქვეყნა საქართველოს თავდაცვის მინისტრისა და „რესპუბლიკური პარტიის წევრის“ თინა ხიდაშელის შეხვედრის ფოტოები სააკაშვილის ლობისტებთან ლონდონში. რა საქმე ჰქონდათ ერთმანეთთან თინა ხიდაშელს, სახელგატეხილ კარლ ბილდტს და პოლონეთის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს რადისლავ შიკორსკის, თინას მრჩეველმა მედიასთან ურთიერთობის საკითხებში, უკომენტაროდ დატოვა შეკითხვა და არც არავინ გამოჰკიდებია, გინდა თუ არ გინდა, გვითხარიო.

ნურავის დაავიწყდება, რომ ეს ის თინაა, რომელიც ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურის მინისტრია, იმ სტრუქტურის, სადაც დღემდე მნიშვნელოვან თანამდებობებზე არიან სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის ნება-სურვილის აღმასრულებელი ოფიცრები; ის თავდაცვის მინისტრი, რომელზედაც ხმა გავრცელდა, რომ ცრემლმდინარე ხვეწნამუდარის ისტერიკაში ჩავარდა, არ გადამაყენოთ პოსტიდანო; ის მინისტრი, რომლის პოსტზე დარჩენის სანაცვლოდ, როგორც ამბობენ, „რესპუბლიკური პარტია“ კოალიციიდანაც კი გავიდა.

ამბობენ, რომ ინფორმაციამ უცხოელი მეგობრებისგან გამოჟონა, ზოგი – ე.წ წყაროს მინიშნებითაც არ ასახელებს, თუმცა მთლიანობაში ერთსა და იმავეზეა საუბარი – 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ „ნაცებისა“ და მათთან დაკავშირებული რევანშისტული ძალების მხრიდან გადაწყვეტილია და იგეგმება ე.წ თბილისური მაიდნის მოწყობა, რისთვისაც უკვე მოძიებული და გამოყოფილია 200 მლნ აშშ დოლარი. ამ გეგმის სისრულეში მოსაყვანად აუცილებელია და ფაქტობრივად, უმთავრესია, ძალოვან უწყებებში ისეთი ხალხის არსებობა, რომლებიც ნიშნის მიცემისთანავე რევანშისტების მხარეს გადავა (მოტივი – დასავლური ღირებულებებისკენ სწრაფვის დაცვა) და უარს იტყვის კონსტიტუციური წესრიგის დაცვაზე. თანხა გამოყოფილია სააკაშვილის გარემოცვის, კონკრეტულად დავით კეზერაშვილის მიერ და ამ საქმეში, როგორც კოორდინატორი, აქტიურად არის ჩართული სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანია; სტრატეგიას და ტაქტიკას ადგენს ზურაბ ადეიშვილი; ამ საქმეში ჩართულები არიან უცხოელებიც „ლობისტების“ ჩათვლით.

ბუნებრივია, რევანშისტული გეგმის მთავარ ქვაკუთხედად თავდაცვის მინისტრი უნდა იქცეს. სწორედ ამიტომ, რევანშისტების უმთავრესი მიზანია, საპარლამენტო არჩევნებამდე პოსტზე შეინარჩუნონ მეგობარი და თანამოაზრე „რესპუბლიკელი“ ხიდაშელის პერსონა.

ამავე თემას ეხება კიდევ ერთი სხვა „ამბობენ“ – „უსუფაშვილ-ხიდაშელი“ მიშას ევაჭრებიან და ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ, იმაზე მეტი დაფინანსება მიიღონ, ვიდრე ივანიშვილი აძლევდა. მიშამ ოდესიდან „ცხელი ხაზი“ გახსნა ვაშინგტონთან და საქართველოში ხელისუფლების ხელში ჩაგდების რეალურ გეგმას „ქართული მაიდნის“ პროექტს უთანხმებს, ასეთივე აქტიურობა შეიმჩნევა უსუფაშვილ-ხიდაშელის მხრიდანაც. ამერიკელებს არწმუნებენ, აქტიურად დაეხმარონ ხელისუფლების ხელში აღებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთი მალე სავიზო რეჟიმს გაუუქმებს საქართველოს მოქალაქეებს და მთელი მოსახლეობა პრორუსული გახდება, დასავლეთის გავლენა კი შესუსტდებაო.

ყველანაირი საექსპერტო ანალიზი ცხადჰყოფს, რომ „უსუფა-ხიდაშელს“ საზოგადოების მხარდაჭერა არ აქვთ, ამიტომ, მხოლოდ პროვოკაციებით შეეცდებიან პოზიციების შენარჩუნებას. მათ კარგი გამოცდილება აქვთ სააკაშვილთან ერთად არჩევნების მასობრივი გაყალბებისა და ხალხის მოტყუებით სასურველი შედეგის გაფორმებისა. „ქართულმა ოცნებამ“ ბევრი შეცდომა დაუშვა, უამრავი დანაპირები ვერ შეასრულა, მაგრამ საქართველოს საწინააღმდეგოდ ჩანერგილი „უსუფა-ხიდაშელის“ ჩამოშორებაში ბიძინა ივანიშვილი მხარდაჭერას იმსახურებს.

ხმად რა ვრცელდება, ერთია, მაგრამ რაც ფაქტია? – მას შემდეგ, რაც სახელგატეხილი „რესპუბლიკელები“, ფაქტობრივად, კინწისკვრით გააგდეს კოალიციიდან, ისინი დათანხმდნენ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობას, მაგრამ წამოაყენეს პირობა, რომ თინა ხიდაშელმა არჩევნების დამთავრებამდე შეინარჩუნოს თავდაცვის მინისტრის პოსტი. მოკლედ რომ ვთქვათ, დღეისათვის „რესპუბლიკელებს“ მომავალ პარლამენტში მოხვედრაზე მეტად ის აქვთ საზრუნავი, რომ თავდაცვის მინისტრს არჩევნების ბოლომდე შეანარჩუნებინონ პოსტი.

**გიორგი ჩხეიძე**

2 გვ.

– გოგუაძე „თავისუფალი დემოკრატების“ წევრია. სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკაში, პოლიტიკოსების განცხადებები ხშირად იკავებენ იმ ნიშას, რაც წესით, ანალიტიკოსებს უნდა ეკავოთ. დღეს, „თავისუფალი დემოკრატები“ დაინტერესებულნი არიან, რომ „ქართული ოცნების“ დასავლეთზე ორიენტაცია კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ. ისინი ხომ სწორედ ამ პოლიტიკური მოტივით გავიდნენ კოალიციიდან – კურსი იცვლებაო და შესაბამისად, მინისტრებმა თანამდებობები დატოვეს. ეს მათი პოლიტიკური ამოცანაა ისე როგორც „ნაცების“ ამოცანაა სულ რუსული პროექტი იძახონ და „ქართული ოცნების“ კურსი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ. შევხედოთ, რეალურ პროცესს: „ქართული ოცნების“ ხელისუფლების სათავეში ყოფნის პერიოდში მოხდა ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება, ვუახლოვდებით უვიზო რეჟიმის მიღებას, პროცესები, ევროპის მიმართულებით, უფრო ტემპით მიდის, ვიდრე ადრე. პროცესები ევროპისკენ მიდის და არცერთი ნაბიჯი არ გადადგმულა რუსული რეალობისკენ. ეჭვის რა საფუძველი გვაქვს? მეორეც, რატომღაც, ზოგიერთები, ევროპულ კურსს, თავიანთ პასპორტში იწერენ. ეს უკვე გახდა ქილიკის საგანი. ეს ქართველი ერის გადაწყვეტილებაა და არაა რომელიღაც პარტიის. „ქართული ოცნება“ შესაბამის ნაბიჯებს დგამს, მას ევროპული ხაზის შესუსტების ტენდენცია არ გამოუვლენია. კვირიკაშვილი ევროპელებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მისაღები ფიგურაა. ასე, რომ არავითარი საფუძველი არ გვაქვს გოგუაძის პოზიცია გავიზიაროთ თითქოს, ამ კუთხით, ერთადერთი იმედი „რესპუბლიკელებია“. თანაც, ჯერ ხომ არ ვიცით ვის ვიხილავთ „ქართული ოცნების“ ახალ სიაში. პირადად, მივესალმები, სალომე ზურაბიშვილის ხილვას. ქართულმა პოლიტიკამ ისეთი დიდი გამოცდილების, მკაფიო პოლიტიკური აზროვნების ადამიანი რომ დაკარგოს, როგორიც ზურაბიშვილია, დანაშაულია. პარტიების უმრავლესობას ერთი სული აქვთ გეო-პოლიტიკურ ორიენტაციას მოეჭიდონ. ეს აღარ მუშაობს. სოციალურ საკითხებშიც მეორე უკიდურესობაში ვარდებიან – ხელისუფლებას აკრიტიკებენ სამუშაო ადგილები არ შექმნაო. ეს აღარაა საკმარისი, თავად, თქვან როგორ უნდა შეიქმნას. ყველა ისეთ რამეს იძახის რაც საკამათო არაა, მთავარია ვინ რა ხმაზე დაიძახებს. ერთ-ერთი არჩევნების დროს უცხოელმა ექსპერტებმა გაოცება ვერ დამალეს. რაღაც კამპანიაში ვიღებდით მონაწილეობას, სადაც ერთმანეთს, ერთ-ერთი ესპანური ფირმის ინიციატივით, საარჩევნო პროგრამებს ადარებდნენ. გაოცებულნი დარჩნენ, როცა აღმოაჩინეს, რომ ჩვენი პარტიების პროგრამები ერთმანეთისგან არ განსხვავდებოდა. გაუკვირდათ, როგორ ირჩევს თქვენი ამომრჩეველიო. მართალია, ჩვენი ამომრჩეველი პროგრამებით არ ირჩევს, ვისი ხმის ტემბრიც მოეწონება, ხმასაც მას აძლევს. მოსახლეობის ამ დეინტელექტუალიზაციის მდგომარეობაში ყოფნა წამგებიანია ქვეყნისთვისაც და თითოეული პარტიისთვისაც. რატომ აქვთ პარტიებს დაბალი რეიტინგები? – იმიტომ, რომ რეალურად, ახალს არაფერს იძლევიან, ყველა ერთიდაიგივეს ამბობს – რუსეთი არ გვინდა, დასავლეთი გვინდა, ტერიტორიები უნდა შემოვიერთოთ, როგორ, არ ამბობენ. ასარჩევად არაფერს გვთავაზობენ. გეო-პოლიტიკური თემა ადვილად ტრიალებს პარტიებში, ოღონდ, ეს, აბსოლუტურად, აღარ აღელვებს მოსახლეობას. ამიტომაც, უკუ-შედეგს ვიღებთ.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# თანამდებობის პირების გადადგომის მოთხოვნები პროვოცირებულია და სახელმწიფო სტრუქტურების დასუსტებას ისახავს მიზნად

## გვესაუბრება უფლებადამცველი, ბატონი გრიგოლ გაბნიძე



— **ბატონო გრიგოლ, რას ფიქრობთ, შეიძლება უკანონი ფარული კადრების საქმეს გენერალური პროკურორი გადაჰყვეს? არასამთავრობოების მხრიდან გაისმა ამაზე ლაპარაკი.**

— ფარული კადრების გავრცელების გამო საპარლამენტო კომისიის შექმნას ითხოვენ ნაციონალები, სახალხო დამცველმა ე. წ. წამშხომი ჩართო, რათა დროულად და ობიექტურად იქნას გამოძიებული კადრების შემქმნელებისა და გამავრცელებლების ვინაობა, ეს პოპულისტური პოლიტიკური პიარი მგონია, რაც ნაცებს და მათ მოკავშირე ორგანიზაციებს თემის გაზვიადების თამასას მაღლა უწევს, განსაკუთრებით, წინასაარჩევნოდ, ასევე, მოსალოდნელია, უცხოელი ექსპერტების მეშვეობით, ხელისუფლებაზე ზეწოლას შეეცადონ.

მიზანი ერთია — მოხდეს მმართველი ძალის დისკრედიტირება — დაგროვდეს რაც შეიძლება მეტი კომპრომატი, მეტი უარყოფითი ინფორმაცია „ქართულ ოცნებაზე", მტკიცებით ფორმით ისაუბრონ, რომ სამართალდამცავი სტრუქტურები, პროკურატურა არ დგას საკუთარი კომპეტენციის სიმაღლეზე და ესეც მიუმატონ იმ ბრალდებებს...

არასამთავრობოები მთავარი პროკურორის გადადგომასაც მოითხოვენ, რადგან არ ხდება დროული გამოძიება და ამ კადრების გავრცელების აღკვეთა. უნდათ შექმნან სურათი, რომ ხალხი მუდმივ შიშშია და ა.შ.

არასამთავრობოთა განცხადებები, რომლებსაც ქართული საზოგადოება გრანტიჭამიებად მოიხსენიებს, იურიდიულად არაკვალიფიციურია. ჯერ ერთი, გამოძიებას სჭირდება დრო, საქმეში ჩართულნი არიან ამერიკის საგამოძიებო სპეცსამსახურები, რომ შესაბამისი დახმარება გაუწიონ ქართველ სპეცსამსახურებს. დანაშაულის აღკვეთის პრევენცია, ფაქტობრივად, შეუძლებელია ეს უცხოელებმაც განაცხადეს. არც ერთი ქვეყანა და მათ შორის საქართველოც, არაა დაზღვეული მსოფლიოს რომელიმე ქვეყნიდან არ მოხდეს მსგავსი კადრების მონტაჟი და გავრცელება, არავინ არ იცის, ახალ ზელანდიაში აიტვირთება, ამერიკაში თუ ავსტრალიაში და გაზიარდება ქართულ საიტებზე. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის სპეცსამსახურები ბრიტანეთის დაზვერვის სამსახურების შემდეგ მსოფლიოში მეორე ადგილზეა. სწორედ ამ სამსახურთან აქვთ ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება შესაბამის სამსახურებს საქართველოში და იმ არასამთავრობოთა განცხადებები, რომლებიც პროკურატურას აკრიტიკებენ და შოთაძის გადადგომას მოითხოვენ, უსაფუძვლო და ზედაპირულია, რადგან თვით FBI -ის კვალიფიკაციას აყენებენ ეჭვქვეშ. საინტერესოა, რისი იმედით აკრიტიკებენ ქართულ სპეცსამსახურებს არასამთავრობოები, რომელთა დიდი ნაწილიც სწორედაც ამერიკიდან იკვებებიან? შემთხვევით დარტყმას ხომ არ აყენებენ ამერიკა-საქართველოს ერთობლივ პროექტს?

გასაგებია, რთულია იმის დადგენა, საიდან აიტვირთა ეს კადრები, მაგრამ საქართველოში რომ არ ატვირთულა, ეს განცხადებები პროკურატურამ უცხოელ პარტნიორებთან ერთად გააკეთა.

საზოგადოების მოსაზრებას ვეთანხმები — კადრების გავრცელებაზე აპელირება არჩევნებს უკავშირდება. ნაციონალები ცდილობენ, რაც შეიძლება დაძაბონ სიტუაცია ქვეყანაში, რომ, იქნებ, იმ რაოდენობის ხმები მაინც მოაგროვონ, რაც წინა არჩევნებზე ჰქონდათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი ხანია მიგვანიშნებენ, რომ „მაიდანის" მსგავს არეულობას მოაწყობენ ალბათ, არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერითა და ერთგვარი ნეგატიური ფონით ტელევიზიებსა და მათ მიერ კონტროლირებად მედიასაშუალებებით. დღესაც პარანოიაშეყრილებივით ბიძინა ივანიშვილს ახსენებენ ყველა გამოსვლაში.

ბიძინა ივანიშვილმა ლომის წილი დასდო „ნაცმოძრაობის" ჩამოშორებას ხელისუფლებისგან და სწორედ ამას ვერ პატიობენ მას. მეჭიაურის თქმის არ იყოს, ძვალივით ჰყავთ ყელში გაჩხერილი ივანიშვილი და ვერ ინელებენ.

— **რატომ ითხოვენ შოთაძის გადადგომას, თქვენი აზრით, დავუშვათ, ვინმე სხვა უფრო ოპერატიულ ვადებში შეძლებს ამ საქმის გამოძიებას?**

— პროკურატურა ზედამხედველია ოპერატიულ საქმიანობაზე და გენერალური პროკურორის გადადგომა მისცემთ იმის თქმის საშუალებას, რომ მხოლოდ თვითონ არიან მართლები, სუსტია სამართალდამცავი სისტემა ქვეყანაში და ამ საქმეს მათ გარდა ვერავინ ვერ გაასწორებს.



მახსენდება ნაცმოძრაობის დროს, როცა ადეიშვილის გადადგომაზე იყო საუბარი. სააკაშვილმა ოპონენტებს ასე უპასუხა: მისი გადადგომით პროკურატურა დასუსტდებაო. მთავარი პროკურორების ხშირი ცვლა სისტემას მუდმივ კრიზისში ამყოფებს. ზუსტად ეს უნდათ „ნაციონალებსაც".

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ზედამხედველი პროკურატურაა. ის განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივი დევნის მიმართულებას. ირაკლი შოთაძის გადადგომა, დამერწმუნეთ, საქმეს წინ ვერ წასწევს, ვერც ტემპის დაჩქარებას შეძლებს, რადგან მტკიცებულებების მოპოვებას, მოწოდებას და სხვა პროცედურებს სჭირდება დრო. თანაც პრევენციაც შეუძლებელია.

— **თქვენი აზრით, ვის უფრო აინტერესებდა ამ კადრების გავრცელება, ხელისუფლებას თუ „ნაცმოძრაობას"?**

— ხელისუფლების წარმომადგენლების დისკრედიტაცია, თვით ხელისუფლების სუსტად წარმოჩენა, სწორედ მისი ოპონენტების ინტერესში შედის. ხელისუფლებამ გაავრცელოს ისეთი თემები, რაც მისთვის საზიანო იქნება, ეს ხომ აბსურდია?!

ეჭვი მაქვს, სხვადასხვა სტრუქტურებში კვლავ არიან დარჩენილი „ნაცმოძრაობასთან" ვალში მყოფი პირები, რომლებიც კვლავ, გარკვეული ანაზღაურების თუ დივიდენტების საფასურად, „ნაცმოძრაობას" ემსახურებიან და მათ დავალებებს ასრულებენ.

კარგად გვახსოვს, გასულ წელს საპატრულო პოლიციის თანამშრომლები რომ გაათავისუფლეს. გენერალური ინსპექციის მიერ მოკვლეული მასალების საფუძველზე მოხდა ეს დაკავება. თანამშრომლები გივი თარგამაძეს აწვდიდნენ ინფორმაციებს.

შესაბამისმა სამსახურებმა უფრო მეტად უნდა გააკონტროლონ სიტუაცია თვით ამ სამსახურებში, ავანტიურისტულ თუ უკანონო ქმედებებში რომ არ იყოს ჩართული სისტემის რომელიმე რგოლი.

— **ბატონო გრიგოლ, გენერალური პროკურორის გადადგომა არ გახლავთ ბოლო პერიოდის ერთადერთი მოთხოვნა, მანამდე უნივერსიტეტში მოხდა არეულობები — მოითხოვეს რექტორის გადადგომა, ე. წ. ოდეერების სამსახურის გაუქმება, სხვადასხვა სამინისტროების უმაღლესი თანამდებობის პირებზეც არის მსგავსი მოთხოვნები...**

— უნივერსიტეტის თემას მოკლედ შევეხები. ეს ხელოვნურად წარმოებული პროცესები იყო. ვფიქრობ, ოდეერის გაუქმება-არგაუქმებას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ხელისუფლებას საგანმანათლებლო სისტემის გაკონტროლება თუ უნდა, ამას სხვა მეთოდებითაც გააკეთებს. რაც შეეხება პერიოდულად მინისტრების გადადგომის მოთხოვნებს, ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური დუღილის პროცესებია. საბოლოოდ კი ჩანს, რომ მთავარია ეს პროცესები კანონის ჩარჩოდან არ გავიდეს, რათა ქვეყნის შიდა თუ გარე მტრებმა არ იხეირონ.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

# რომელი ქვეყნის რეზიდენტია მიხეილ სააკაშვილი და რა ავანტიურას გეგმავს იგი საქართველოში დასაბრუნებლად?

## მიხეილ სააკაშვილი: „ამქვეყნად მხოლოდ ერთადერთ ქალაქში ვგრძნობ თავს მშვიდად, მხოლოდ აქ ვიცხოვრებდი – ეს მოსკოვია!“

ადრეც ვწერდი და ახლაც ვიმეორებ – ის გიჟი არ არის, ის საგანგებოდ გაწვრთნილი და გამოზრდილი ავანტურისტია, რომელსაც შეუძლია ჭკუიდან სხვები შეშალოს, ვინც ხელს შეუშლის მიზნის მიღწევაში. მიზნისკენ მიმავალი არად დაგიდევს, აქეთ-იქით ყველა დახოცოს, ცეცხლი წაუკიდოს ქვეყანას და, რაც ყველაზე მთავარია, იმავე პათოსით მოგიტრიალდეს და უტიფრად გითხრას – ინტუიციურად არაფერი შემშლია, ღირსები იყავით და მოგექეცით ზუსტად ისე, როგორადაც იმსახურებდითო!

დიახ, მიხეილ სააკაშვილზე მოგახსენებთ. იმ სააკაშვილზე, რომლის ფაშისტურმა რეჟიმმა სულ ტაშ-ფანდურით, სიცილკისკისით, ნულოვანი ტოლერანტობითა და ცოდვის კალოს გალეწვით დაგვამახსოვრა თავი...

თითქოს 2012 წელი და „ნაცების“ ზეობის აღსასრული არც დამდგარიყოს... თითქოს ან ის სისხლი შემშრალიყოს, რომელიც „ნაც“ფაშისტებმა ასე უხვად დაღვარეს მთელ საქართველოში... თითქოს შარაძე, პატარკაციშვილი, ჟვანია, რობაქიძე, გირგვლიანი, ვაზაგაშვილები და უამრავი კვლავ ცოცხლები იყვნენ და ის მამაკაცი პატიმრებიც არ ყოფილიყვნენ, რომელთა გაუპატიურების, წამების არაადამიანური კივილი ყურებიდან გამქრალიყოს – თითქოს ტერიტორიებიც არ დაგვიკარგავს, ისევე, როგორც არ დაგვიკარგავს არაერთი სასახელო შვილი, რომლებსაც სამშობლო ჩვენზე მეტად ყვარებიათ!!!

რა მოგვდის, ადამიანებო, რა? ვსხედვართ და ვუსმენთ, როგორ გვმოძღვრავენ შინ და გარეთ თბილად და მაძღრად მყოფი ის ადამიანები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ – ჩვენივე სისხლით გაიბერნენ, როგორც წურბელები? როგორ ვაძლევთ უფლებას იმ რეჟიმს, გველაპარაკონ საქართველოს მომავალზე მაშინ, როცა ყველაფერი გააკეთეს მის გასანადგურებლად?

ბოლოს და ბოლოს, ვინ არის თვითონ მიხეილ სააკაშვილი, იგივე მიშა და ან თუ გნებავთ, უბრალო „სააკა“, რომელიც ხვალ საქართველოში დაბრუნებას გეგმავს და დარწმუნებით გაიძახის – „არჩევნებს მოვიგებ“-ო?

რატომ ეპატია მას ჯერ კიდევ მაშინ, 2003 წლის ნოემბერში „ვარდების რევოლუციად“ წოდებული სახელმწიფო გადატრიალება და რატომ შეუწყვეს ხელი 9-წლიანი მმართველობის შემდეგ უვნებლად გასულიყო ქვეყნიდან ისე, რომ ახლა უკვე უკრაინაში მივლენილიყო სახელმწიფო ჩინოვნიკად?

იქნებ გავიხსენოთ ე. წ. „ვარდების რევოლუციამდელი“ რევოლუციონერის კარიერული ქრონოლოგია? (რაც ბევრ კითხვაზე გასცემს პასუხს) შევარდნაძის მემკვიდრე, ჯერ კიდევ ყრმობიდან იზრდებოდა იმ გარემოში, რომელიც საბჭოთა „კგბ“ სახელით იყო ცნობილი! ბაბუაც და ალალი ბიძაც ამ უწყების თანამშრომლები იყვნენ, ხოლო პატარა მიხეილი, რომელიც უდაო ნიჭიერებით გამოირჩეოდა იმთავითვე გამხდარა ნათესავების ზრუნვის ობიექტი იმ კუთხით, რომ – უნდა ეერთგულა იმ სამშობლოსთვის, თავის დროზე ყველასი რომ იყო! დიახ, ეს ჩემი მოგონილი არ გახლავთ – ამას წერს საბჭოთა „კგბ“-ს მაღალჩინოსანი, რომელსაც ინტერვიუ ერთ-ერთმა გაზეთმა ჩამოართვა და სადაც გარკვევით იკითხება, რომ – სააკაშვილი „კგბ“-მ იმ 2000 კანდიდატს შორის გამოარჩია, რომელთაც საქართველოს პრეზიდენტებად ზრდიდნენ“. იმავე ინტერვიუში აგრეთვე წერია, რომ სააკაშვილს აღმოაჩნდა გარდასახვის უბადლო ნიჭი, როგორც ეს ნიჭიერ მსახიობებს ახასიათებთ და რომ არჩევანი იმიტომაც შეჩერდა მიშაზე, რომ – გარემოცვა, ანუ ოჯახი მთლიანად შემოწმებული და კგბ-სთვის სანდო ადამიანებით იყო წარმოდგენილი!

გახსენებად ნამდვილად ღირს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყოფილი უფროსის, გენერალ-ლეიტენანტ ვალერი ჩხეიძის მონათხრობიც. ჟურნალისტის კითხვაზე, რამ განარისხა სააკაშვილი, როცა მას ის ილუსტრირებული ალბომი მიართვით, სადაც სსრკ უშიშროების ჯარებში მისი ჯარისკაცობის ამსახველი ფოტო იყო გამთავსებული, ბატონი ვალერი ასე პასუხობს: ამ ალბომში იყო მისი შავ-თეთრი ფოტოსურათი, სადაც იგი წარმოდგენილია, როგორც საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანი, რომელიც კიევიდან ფრანკფურტში გასაფრენ რეისს აფორმებს. რამ გააღიზიანა სააკაშვილი, ნამდვილად არ ვიცი, გულწრფელად გეტყვით, არ მესმის, რადგან ერთი ფოტოსურათი იყო და მეტი არა?! ეს ალბომი გადაცემის წინა დღეს უშიშროების საბჭოს მაშინდელ მდივანს ვანო მერაბიშვილსაც ვაჩვენე... მან მითხრა: შესანიშნავი რამეა და უნდა აჩუქოო!...

ადამიანებმა, რომლებიც ამ ცერემონიალს ესწრებოდნენ, მაშინაც მითხრეს და ახლაც იმეორებენ, რომ – მიშამ, როგორც კი გადაშალა ალბომი, სახე დაემანჭა და მიტკლის ფერი დაედოო... ვერაფერს მოგახსენებთ, იმ ერთადერთ ფოტოს წარსულის რა წარმოდგენები შეიძლება გაეცოცხლებინა მის ავადმყოფურ გონებაში, არ ვიცი.

მომდევნო შეკითხვა ასეთია: „ბატონო ვალერი, სააკაშვილი ამტკიცებს, რომ ლამისაა საბჭოთა პერიოდის დისიდენტია, რომ იმ პერიოდში „აკრძალულ მუსიკას“ უსმენდა და ა.შ.



– პოლიტიკური ქულების მოსაპოვებლად რას არ მოიგონებს კაცი? არავითარი დისიდენტი არ ყოფილა, საპროტესტო სიტყვაც კი არ დასცდენია, ვიცნობ იმ ადამიანებს, რომლებიც მომსწრენი იყვნენ მისი სტუდენტობის პერიოდის და ვერავინ გაიხსენა, 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების გამო მას მიტინგი, შეკრების მსგავსი რამ მოეწყო! ასე რომ, ეგეც ტყუილია!

ძვირფასო მკითხველო! როგორ ფიქრობთ, ვინ ტყუის – სააკაშვილი თუ ის გენერლები, რომლებმაც მიშას შესახებ გაცილებით მეტი იციან, ვიდრე რიგითმა მოკვდავმა?

იქნებ გახსენებად ღირდეს თუნდაც 2003 წლის 23 ნოემბერი, როცა ე. წ. „ვარდების რევოლუციის“ დამაგვირგვინებელ მიტინგზე რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი ჩამოფრინდა და მხოლოდ მასთან საუბრის შემდეგ წავიდა ედუარდ შევარდნაძე „სახლში“? სად იყო მაშინ, იმ დღეს აშშ-ს საქართველოში არსებული დიპკორპუსი, როდესაც ივანოვი სიტყვითაც გამოვიდა და სააკაშვილი აქო?! რას ნიშნავდა იმ დღეს, იმ „პროდასავლურ“ რევოლუციაში, რუსეთის საგარეო უწყების მონაწილეობა და თანაც ძალიან აქტიურად?! იქნებ მაშინვე უსიტყვოდ გაკეთდა მინიშნება, რომ საქართველოში, დიახ, თუნდაც სახელმწიფო გადატრიალებით მოსულ ჯგუფს ედგა ზურგს უკან, რომ ზრდიდა და უკაფავდა გზას, ვიდრე „ვარდების რევოლუციამდე“, ვიდრე „კიევის მაიდნამდე“, ვიდრე ლიტვის პროკურორამდე ანდა სულაც მოლდოვას პრეზიდენტობამდე? როგორ, ნუთუ არავის უჩნდება კითხვა – რატომ მოგზაურობს სააკაშვილი თანამდებობიდან თანამდებობაზე და ისიც მხოლოდ იმ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, რომელთა პრეზიდენტი თუ პრემიერი ასევე კრემლთან დაახლოებული, საბჭოთა „კგბ“-ს პირმშოები არიან? როგორ? არ გახსოვთ ჯარის მეგობრები სააკაშვილი და იუშჩენკო, აფერისტი და ავანტიურისტი ტიმოშენკო, რომელმაც უკრაინელი ხალხის მილიონები მიითვისა და ახლა იძახის: „მოშორდეს მექრთამე და აფერისტი სააკაშვილი უკრაინას, თორემ სადღაც მიბეგვავენ და უკრაინელებს დაბრალდებათო?“

რაღა შორს წავიდე – მართლა აღარავის გახსოვთ, მაგრამ ნება მიბოძეთ, გაგახსენოთ გაზეთ „იზვესტიაში“ რას ამბობდა სააკაშვილი: „ამ ქვეყნად მხოლოდ ერთადერთ ქალაქში ვგრძნობ თავს მშვიდად, მხოლოდ აქ ვიცხოვრებდი – ეს მოსკოვია!“ „პუტინი ყველაზე პატიოსანი ადამიანია, რასაც დამპირდა, ყველაფერი შეასრულა. მას ისეთი თვალები აქვს, შეუძლებელია გიღალატოს!“ და, ეს ინტერვიუ, ძვირფასო მკითხველო, ჩაწერილია 2004 წლის მარტში, ანუ იმის შემდეგ, რაც პირველი ოფიციალური ვიზიტი სააკაშვილმა აშშ-ს ნაცვლად რუსეთში განახორციელა!!!

შემთხვევითია ეს?! – არ არის შემთხვევითი, რადგან დიპლომატიურ ენაზე ამას უპირველეს მოკავშირესთან ვიზიტი ჰქვია და ამის დასტური იყო დანარჩენი ყველაფერი, რაც 2004 წლიდან 2012 წლამდე სააკაშვილის მიერ განხორციელდა!

ამერიკის ყოფილი ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი ამ ცოტა ხნის წინ გამოქვეყნებულ სტატიაში ამბობს: „ჩვენ რამდენჯერმე გავაფრთხილეთ სააკაშვილი, რომ არც ცხინვალის და არც აფხაზეთის მიმართულებით პროვოკაციული ნაბიჯი არ გადაედგა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 2004 წლის აგვისტოში მაინც განახორციელა პროვოკაცია ცხინვალში“. დიახ, ამას ამბობს ადამიანი, დიპლომა-



ტი, რომელიც წესით, 2003 წლის 23 ნოემბერს ივანოვის გვერდით თუ არა, სააკაშვილის გვერდით უნდა მდგარიყო, მაგრამ არ იდგა, რადგან „ვარდების რევოლუცია“ არა ამერიკული, არამედ რუსული იყო რა ხელი ჰქონდა მაილსს ამ ავანტიურაში?

ისიც გვახსოვს, რომ 2008 აგვისტომდე რამდენიმე დღით კონდოლიზა რაისიც ჩამოფრინდა და ლამისაა, უბრძანა სააკაშვილს – ცხინვალის მიმართულებით, პროვოკაციებს არ აჰყოლოდა! აქაც კოვზი ნაცარში ჩაუგდო „კგბ“-ს აღზრდილმა მიშამ ამერიკელებს და პარასკევს ღამით (მაშინ, როცა სახელმწიფო უწყებები უკვე დასვენების რეჟიმში გადადიან შაბათ-კვირის ჩათვლით) ისეთი ცეცხლი დაანთო – ორშაბათამდე ევროპა-ამერიკა გონს ვერ მოეგო, რეალურად ეს რატომ ჩაიდინა სააკაშვილმა?! დამისახელოს ვინმემ თუნდაც ერთი ობიექტი, რომელიც ან ამერიკელებმა იყიდეს, ანდა ევროპელებმა? არც ერთი!!! და ამის დასტურია ჯერ კიდევ წლების წინ „საერთო გაზეთში“ გამოქვეყნებული იმ ენერგო თუ ბიზნეს ობიექტების ნუსხა, რომელიც ადრე ვიწრო წრისთვის, ხოლო მოგვიანებით, სხვადასხვა მედიასაშუალებებით ამა თუ იმ პიროვნებებმა აუწყეს საქართველოს!!!

„მე ვერ დავუტოვებ გაქსუებულ ოლიგარქს ჩემს აშენებულ ქვეყანას“, – აი, ამ ლოზუნგით გამოდის ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი და იქვე აანონსებს, რომ „საქართველოში აუცილებლად დავბრუნდები, ინტუიტიურად ყოველთვის ვგრძნობდი დროს და ჩვენ არჩევნებს მოვიგებთ“!-ო.

როგორც ცნობილია, სააკაშვილმა საკუთარი სურვილით თქვა უარი საქართველოს მოქალაქეობაზე და ასევე საკუთარი ნებით გახდა უკრაინის მოქალაქე! ჰოდა, იქნებ აგვიხსნას, რა სტატუსით უნდა დაბრუნდეს და ჯერ რომ არ დაბრუნებულა, უცხო ქვეყნის ერთ-ერთი პროვინციის გუბერნატორს ვინ მისცა უფლება აქ დარჩენილი „ნაცმოძრაობის“ ნარჩენები წაახალისოს, როგორც ფინანსურად, ასევე მედიით და თანაც ერთ-ერთი თუნდაც კერძო არხის მეშვეობით?!

ამას წინათ ერთ ჩემს ძველ მეგობარს ვესაუბრე უცხოეთში და ვკითხე – ბიჭო, ყველა ჩამოდის ნელ-ნელა და შენ როდისღა აპირებ-მეთქი? მისმა პასუხმა თავზარი დამცა: „რას ლაპარაკობ, სად უნდა ჩამოვიდე, ისეთ ავანტურას გეგმავს სააკაშვილი საქართველოში, შენც აქეთ გადმოიხვეწები. აი, ნახავ, მალე თუ არ ჩამოვიდეს და უფრო უარესები არ გააკეთოსო“!!!

ნუ, ახლა ის ადამიანი, ვისაც მე დიდი ხანია ვიცნობ და ვენდობი, არცთუ პატარა ფიგურაა, იცის პოლიტიკის კულუარები და გარკვეული წრის ადამიანები დიდ პატივსაც სცემენ, მაგრამ მის ამ პასუხზე მაშინ მხოლოდ გავიცინე და მივუგე – „მაიცა რა, გამორიცხულია, „საака“ ქართველებმა საქართველოში შემოუშვან, თუ მაინც შემოვა და, იქნება სამოქალაქო ომი, რომელშიც არც ერთი მხარე არ იქნება გამარჯვებული-თქო! „აგერ ნახავ, თუ არაო“, – მითხრა იმ ადამიანმა და იქვე შეცვალა თემა, მიუხედავად ჩემი ჩაკირკიტებისა – ასე დარწმუნებით რატომ ამბობ ამ მოსალოდნელ ამბავზე, მითხარი, გექვეწები-თქო...

დავბრუნდი საქართველოში იტალიიდან და მართლაც ვიგებ, რომ თურმე პეტიცია მზადდება ხელმოწერებით სააკაშვილის საქართველოსი დაბრუნების მოთხოვნით! იმასაც ვიგებ, რომ

**ალასანია და ხიდაშელი ამწუთას იმ ტორეადორის როლს თამაშობენ და წითელი ბაირაღით ხელში იმ ხარის განრისხებას ცდილობენ, რომელსაც ყველას განადგურება აქვს გადაწყვეტილი, გარდა კგბ-ს ტორეადორებისა?!**

თურმე 2000 ხელმოწერა ყოფილა საჭირო იმისთვის, რათა „პოლიტდევნილი“ „საака“ საქართველოში პრეზიდენტის კეთილი ნების საფუძველზე დაბრუნდეს! ვიგებ იმასაც, რომ დიდძალი ფული გადმორიცხულა, რათა „უპოვრებმა“ და „ოცნებააუხდენელებმა“ ბოლოს და ბოლოს იწამონ მიშა და იმ მიტინგებზე, რომელსაც სულ მალე „ნაცობა“ გამართავს, ცხელი შოკოლადი თუ არა ნელთბილი ჩაი დალიონ და ზედ ფენოვანი ხაჭაპურიც დააყოლონ! ვიგებ იმასაც, რომ კოალიციიდან გასული „რესპები“ და „ნაცები“ თურმე ნუ იტყვი და, სადღაც, შორეულ ლონდონში, მიშას ლობისტებს და იმიჯმეიკერებს ხვდებიან, სხდებიან რომელიღაც კაფეში და ჟღურტულებენ! ვხედავ და ვიგებ იმასაც, რომ მკლველი, ფაშისტური რეჟიმის მომხრე თუ შემსრულებელი სასამართლოს შენობაში კიდევ ერთხელ ბედავს მოკლას იმ ოჯახის ჭირისუფალი, რომელსაც მათმა ბანდამ შვილები, მეუღლეები, დები, ძმები დაუხოცეს, მაგრამ სულ მალე უსახური პრეზიდენტის წყალობით, შეწყალებით დატოვებენ გარემონტებულ „ვიპსაკნებს!“

და ეს ყველაფერი ჯერ კიდევ დასაწყისი ყოფილა, მეგობრებო! მხოლოდ დასაწყისი და პირადად მე, რომელსაც ხმა არ მიმიცია არც ერთი ხელისუფლებისათვის, როგორც რიგითი მოქალაქე, მაინც ვეკითხები – რაზვე ეტო ნორმალნო?!

ნუთუ, მართლა ვიღაცის გეგმაა ეს ყველაფერი და ამჯერადაც ისევე, როგორც გასულ საუკუნესა თუ სულ ახლახან, რამდენიმე წლის წინ ვიღაცის სცენარის მსახიობებს უნდა გადააყოლოთ ქვეყანა?

ის, რაც ყარაბაღში ამ ბოლო დღეების განმავლობაში ხდება, იქნებ ვინმემ გაბედოს და თქვას, რომ — რუსული სცენარით არ ვითარდება? ნუთუ ან ის არის ძნელი მისახვედრი, რომ — აზერბაიჯანის ძლიერ არმიას სომხური შენაერთების განადგურება ერთ ღამეში შეუძლიათ? მაგრამ, თუკი აზერბაიჯანი ხვდება, რომ საბოლოო გამარჯვებამდე ბარიერი რუსული სამხედრო ბაზაა, რომელიც იქვე, მახლობლად, გიუმრის დასახლებაშია — ქართული მხარე ვინ არის თავისი მხარდაჭერით ისედაც ძლიერ აერბაიჯანის არმიას რომ ახალისებს და სრულ მხარდაჭერრას უცხადებს? მაშ, თუკი აზერბაიჯანის მთავრობა თავს იკავებს ფართომასშტაბიანი სახმელეთო ოპერაციებისგან, ვინაა პარტია რესპუბლიკელების თავდაცვის მინისტრი ხიდაშელი, რომელიც ცეცხლის გახსნიდან მეორე დღესვე აზერბაიჯანის მხარდამჭერ ლოზუნგებს ისვრის მარჯვნივ და მარცხნივ? ანდა რას ნიშნავს ამ გამწვავებულ და უკიდურესად დაძაბულ სიტუაციაში იგივე ხიდაშელი ბათუმში აზერბაიჯანის მოკავშირე თურქეთის სამხედრო გემზე რომ ადის, ხოლო ამ ყველაფერს ოდესიდან სააკაშვილი, მის დაქვემდებარებაში მყოფი „ქართული ლეგიონი“ და „რუსთავი-2“ მთელი მსოფლიოს გასაგონად ბანს რომ აძლევენ?! ნუთუ მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ სანდრა რულოვსს აზერბაიჯანულ ნავთობკომპანია „სოკარში“ თურმე 40% რომ ეკუთვნის?

ყრუთა და ბრმათა ქვეყანაა საქართველო თუ რაშია საქმე? რატომ არც ერთი პარტია არ გამოდის და ხმამაღლა არ გაჰყვირის იმას, რომ საქართველოში პროვოკაციების ესკალაციას კგბ-ს ავანგარდი ეწევა და ის ძალები, რომლებიც ვითომ აღარ არიან, მაგრამ სინამდვილეში არიან და მათ თითქმის ყველა მედიასაშუალება ეხმარება მავნებლურ პროვოკაციებში?

აი, გუშინ კგბ-ს მაღალჩინოსნის ოჯახში და გარემოცვაში გამოზრდილი ირაკლი ალასანია მოითხოვს – სასწრაფოდ განლაგდეს საქართველოში ნატოს ჯარების მცირე კონტინგენტი იმისთვის, რომ ჩვენი სახელმწიფოებრიობა შევინარჩუნოთო. აბა, მითხარით, ან ეს განცხადება რას ნიშნავს ამ რთულ ვითარებაში? იმას ხომ არა, რომ ალასანია და ხიდაშელი ამწუთას იმ ტორეადორის როლს თამაშობენ და წითელი ბაირაღით ხელში იმ ხარის განრისხებას ცდილობენ, რომელსაც ყველას განადგურება აქვს გადაწყვეტილი, გარდა კგბ-ს ტორეადორებისა?!

ვიდეოგავრცელებულმა კგბ-ს მედასავლეთე ხიდაშელმა აკი, უკვე ბრძანა — „ფეხებზე მკიდია, რას გამივრცელებთ, ჩემს ცხოვრებაში პირველად მაქვს შანსი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მისია შევასრულოო!“ ეს კი, პირდაპირი მნიშვნელობით, ასე იშიფრება: დიახ, იმ ძალას, რომელმა ძალამაც შემქმნა, ბოლომდე ვემსახურები, თუნდაც ეს სახელმწიფოებრიობის დაკარგვად დაუჯდეს იმ ქვეყანას, რომელშიც, მართალია, ჩემისთანები არ უყვართ, მაგრამ ვალდებულები არიან, მომისმინონო.

დიახ, ეს არის ის მისია და ცხადზე უცხადესია, რადგან ქვეყნის მოყვარული ყოფილი პრეზიდენტი, მისი დაქალი ხიდაშელი სააკაშვილის ნათესავი ალასანია და უამრავი მოღალატე ამერიკული აქცენტით გვიმღერიან „სოიუზ ნერუშიმის“ და არა უკვე გულში, არამედ ხმამაღლა...

იქნებ, მართლა სექსი ყოფილა თქვენი უპირველესი მოვალეობა – ერთმანეთთან სექსი და არაფერი სხვა სექსის გარდა!!! როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე – ლოგინიდან ლოგინამდე მართული სახელმწიფო და ამ უმსგავსობისთვის შორიდან მოცქირალი „პორნოგრაფიული“, მშიერი და დაუძლურებული ერის ტრაგედია? იქნებ მიშას მოსვლამდე და „კგბ“ რეინკარნაციამდე? – გვითხარით ბატონო და ან ასე გადავწყვეტთ, ან ისე...

მოკლედ, მე როგორც ვატყობ – არჩევნებამდე საქართველო, ალბათ, მივა, რა არჩევანს გააკეთებს, არავინ უწყის, რადგან ჩვენში – გიჟები, მატყუარები, ფარისევლები, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების აგენტურები უფრო მოსწონთ...

და მერე ისე დაბეჯითებით იტყვიან „იბერია გაბრწყინდებაო“ – გული გაგისკდება კაცს!!!

**ირინე გოგოსაშვილი**
555 25 43 35









# თსუ-ში მომხდარი დრამატული მოვლენები „ნაცმოძრაობის“ მიერ იყო ინსპირირებული?



## რა უნდა შეეცვალა ლადო პაპავას, როცა უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სტრუქტურები და თვით პროფესურაც ნაციონალების კადრებითაა გატენილი?

საუნივერსიტეტო სივრციდან უშიშროების სამსახურის თანამშრომლების გაყვანის მოთხოვნით დაწყებული სტუდენტური საპროტესტო აქცია 30 მარტს უნივერსიტეტის რექტორის გადადგომით დამთავრდა. შეგახსენებთ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ნაწილმა საპროტესტო აქცია კანცლერის პოსტზე გიორგი გაფრინდაშვილისგან კანდიდატურის მოხსნისა და საუნივერსიტეტო სივრციდან უშიშროების სამსახურის თანამშრომლების გასვლის მოთხოვნით დაიწყო. სტუდენტების მოთხოვნას სამართლიანი უწოდა მმართველმა გუნდმა. „ჩვენ საბჭოური წარსული უნდა დავძლიოთ და თავისუფალი ქვეყანა უნდა ავაშენოთ, სადაც როგორც რექტორს, ასევე სტუდენტს მივენდობით. თუკი ნებისმიერ სასწავლებელში ასეთი რაღაც არის შენარჩუნებული, ყველამ სასწავლებელი უნდა დატოვოს, რადგან ეს დაწესებულებები ასეთი კონტროლის ქვეშ არ უნდა იყოს“, – განაცხადა უმრავლესობის წარმომადგენელმა ზაქარია ქუცნაშვილმა.



სანამ ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში განვითარებულ მოვლენებს და ე.წ. ოდეერის თემას დავუბრუნდებით, მკითხველს ერთ საინტერესო ფაქტს შევახსენებთ. 2016 წლის იანვარში ქუთაისში ერაყელი სტუდენტების აქცია გაიმართა. ერაყელი სტუდენტების განმარტებით, იუსტიციის სამინისტრომ 10 ერაყელ სტუდენტს საქართველოში ბინადრობის უფლება შეუჩერა და ისინი იძულებული არიან ქვეყანა დატოვონ. მოგვიანებით გაირკვა, რომ ერაყელ სტუდენტებს ბინადრობის ნებართვა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის საფუძველზე შეუწყდათ.

„თუ ვადა არ აქვთ გასული, ამ პირებს შეუძლიათ, გაასაჩივრონ სასამართლოში. ბინადრობის უფლების გაგრძელებაზე უარი დაკავშირებული იყო, როგორც ეს გადაწყვეტილებაშივეა ასახული, სხვადასხვა შეფასებით მოსაზრებებთან, რომელიც კავშირშია ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებასთან”, – განაცხადა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა.

მოგვიანებით, უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განვითარებული პროცესების პარალელურად, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის მთლიანად გაუქმების ინიციატივით გამოვიდა „ნაციონალური მოძრაობა“. „ჩვენ გვაქვს საკანონმდებლო ინიციატივა – პირადი თავისუფლების ქარტია, რაც გულისხმობს ოთხ მთავარ პრინციპს, პირველი – უნდა გაუქმდეს სუს-ი, რადგან საბოლოოდ გაუქმდეს პოლიტიკური პოლიცია და ზედამხედველობა, ეს არის მნიშვნელოვანი. უნდა გაუქმდეს “ოდეერის” ინისტიტუტი, მეორე ეხება ფარული მიყურადების და მოსმენების ინსტიტუტს, ესეც უნდა შეიცვალოს და რადიკალური რეფორმირება მოხდეს,” – განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა სერგო რატიანმა.

ამჯერად, ნაციონალების ინიციატივას უმრავლესობაში სკეპტიკურად შეხვდნენ. საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა კარლო კოპალიანმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ნაციონალებს სუს-ის გაუქმება ქვეყანაში არეულობის მოსაწყობად ჭირდებათ: „იცით, რატომ უნდათ ნაციონალებს სუს-ის გაუქმება? არეულობის მოწყობა სურთ. უსაფრთხოების სამსახური კი მათ ბნელ ზრახვებს გამოააშკარავებს

ერთი სული აქვთ, როგორმე წყალი აუმღვრიონ. ამღვრეულ წყალში კარგად დაიჭერენ სკამებს. ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში არსებობს ასეთი სტრუქტურებიდა საქართველოშიც იარსებებს. იმის გამო, რომ ოდესაში ვიღაცას რაღაც მოუნდა, ჩვენ სახელმწიფოსთვისსაჭირო და აუცილებელ ინსტიტუტებს არ გავაუქმებთ.“ – განაცხადა კოპალიანმა.

ამ ფონზე მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა – „რუსული პროპაგანდის ფონი მომატებულია, იქიდან გამომდინარე, რომ საარჩევნო წელია. ეს ყოველი საარჩევნო პერიოდის დროს იმატებს ხოლმე. არა მარტო რუსული ძალები, სხვა ქვეყნის ბევრი სპეცსამსახურიც შემოსულია საქართველოში. ურთულეს სამუშაოს ატარებს კონტრდაზვერვის დეპარტამენტი. ხაზს ვუსვამ – არა მარტო რუსული ფონია აწეული და არა მარტო რუსული სპეცსამსახურები, არამედ ჩვენი სხვა მეზობელი თუ არამეზობელი ქვეყნების სპეცსამსახურებიცაა შემოსული ქვეყანაში და მუშაობენ”, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა. რეალურად, არსებობს თუ არა უმაღლეს სასწავლებლებში სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თანამშრომლების ყოფნის აუცილებლობა და რას უნდა ემსახურებოდეს უშიშროების სამსახურის გაუქმებაზე საუბარი იმ დროს, როცა სირიასა და ერაყში, ტერორისტული მიზნებით, საქართველოს 50-მდე მოქალაქე იმყოფება და ჩვენს მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში საომარი მოქმედებები მიმდინარეობს ამაზე საკუთარი მოსაზრება განათლების ექსპერტმა **მანანა ნიკოლაიშვილმა** გაგვიზიარა:

– დავიწყებ იმით, რომ რექტორის პოსტიდან ლადო პაპავას გადადგომის რეალური მიზეზი არავინ იცის. ამჟამად, ამ თემას ვიკვლევ და როცა კონკრეტული პასუხები მექნება, საზოგადოებას გავუზიარებ. რატომღაც ლადო პაპავას უნივერსიტეტში მისვლისთანავე დამკვიდრდა აზრი, რომ ის წინა ხელისუფლების დროიდან დამკვიდრებული ყველა მანკიერების შეცვლას მოახერხებდა, მაგრამ არავინ საუბრობდა იმაზე, რომ კანონის შეცვლის გარეშე რექტორი ვერაფერს შეცვლიდა. წლებია ვიმეორებ, რომ უმაღლესი განათლების კანონი შესაცვლელია, რადგან უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცე ამ კანონით არ იმართება. იმიტომაა ასეთი უმართავი სიტუაცია, ამდენი წინააღმდეგობა და ა.შ. შეგახსენებთ, ჯემალ მებონია– უძლიერესი ფიზიკოსი არა მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც, გოგი გოგოლაშვილი, გრივერ ფარულავა, თენგიზ სანაძე და ბევრი სხვა, იურიდიული ფაკულტეტის სამართლის დოქტორები, საერთაშორისო დონის იურისტები და მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები გამოყარა სააკაშვილის რეფორმამ და უნივერსიტეტი „თავისუფლების ინსტიტუტის“ და არასამთავრობო სექტორის სამეცნიერო ხარისხის არმქონე ხალხით გამოტენა., რა უნდა შეეცვალა პაპავას, როცა სააკაშვილის დროს ჩატარებული კონკურსების შედეგები არავის გაუუქმებია და ამ კონკურსების შედეგად მოსულ ადამიანებს 2018 და 2020 წლამდე აქვს ვადა? ხომ ეწერა „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამაში, რომ უკანონოდ ჩატარებული კონკურსის შედეგები უნდა გაუქმებულიყო და ახალი კონკურსები უნდა გამოცხადებულიყო? რატომ არ გააკეთეს? „უმაღლესი განათლების შესახებ კანონის“ 87-ე მუხლის მე-2





პუნქტში წერია, რომ უმაღლესი განათლების კანონის მიღება ხდება ყველა რექტორის, დეკანის, აკადემიური თანამდებობის პირების გათავისუფლების საფუძველი. ასე ერთი ბრძანებით გაუშვეს ნაციონალებმა ყველა ხელმძღვანელი, ყველა სკოლის დირექტორი და ბაგა-ბაღის გამგე და იგივე უნდა გაეკეთებინა „ქართულ ოცნებასაც“, რადგან ნაციონალების კადრებმა ღირსეული პროფესიონალების ადგილი დაიკავეს. ეს რომ არ მოხდა, ამიტომაცაა უმართავი პროცესები უნივერსიტეტშიც, ბაგა-ბაღებშიც და ყველგან.

**– თუმცა სტუდენტების პროტესტი წინა ხელისუფლების დროს ჩატარებული კონკურსების გაუქმების მოთხოვნით არ დაწყებულა.**

– რაც შეეხება სტუდენტების პროტესტს, დემოკრატიული პროცესები არ ნიშნავს ვაკხანალიას. ის, რაც უნივერსიტეტში მოხდა, არის სისტემის ნგრევის ნიშანი. ვფიქრობ, სტუდენტს არ უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი ხმა სხვადასხვა საუნივერსიტეტო სტრუქტურის არჩევის დროს. რას ნიშნავს, რომ რამდენიმე სტუდენტი შეიკრიბა, აიყოლია თანამოაზრეები და დაიწყო შიმშილობა რექტორის გადადგომის მოთხოვნით? უნივერსიტეტში 22 000 სტუდენტი სწავლობს. რანაირი დემოკრატიაა, თუ სხვების აზრს არავინ ითვალისწინებს? მე ვიცნობ უამრავ სტუდენტს, რომლებსაც არ უნდოდათ პაპავას გადადგომა და საერთოდ არ ჩარეულან პროცესებში. ვინმემ ჩაატარა გამოკითხვა და ჰკითხა იმ სტუდენტებს აზრი? ჩვენ ხომ ვიცით, რომელი პოლიტიკური ძალა დგას უნივერსიტეტის თვითმმართველობის უკან და რატომ ვეგებით მათ პროვოკაციებს? სტუდენტის მოვალეობაა ისწავლოს და არა ფული ფლანგოს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან და აქეთ-იქეთ სიარულში. აი, ეს სიმახინჯეები დანერგა სააკაშვილმა და ახალმა ხელისუფლებამ არაფერი გააკეთა მის შესაცვლელად. რაც შეეხება საუნივერსიტეტო სივრცის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებისგან გათავისუფლებას, კონტროლი არ გვინდაო რომ გაჰყვირიან, ყველას დაგვავიწყდა, როგორი მუშტი-კრივი იყო გამართული უნივერსიტეტში, რამდენი უბედური შემთხვევა მოხდა და რამდენჯერ სისხლიც დაიღვარა? ვინმე ფიქრობს, რას მოუტანს უნივერსიტეტს სრული უკონტროლობა და რა პროცესები შეიძლება განვითარდეს?

**– თქვენი აზრით, რატომ არ იმართებოდა სტუდენტური საპროტესტო აქციები წინა ხელისუფლების დროს, როცა ბაგა-ბაღიდან დაწყებული, ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება უშიშროების კადრებით იყო სავსე?**

– ყოველი მეორე აგენტად აქციეს და ვინ გააპროტესტებდა? საგანმანათლებლო დაწესებულებები სავსე იყო „ოდეერებით“ და მიდიოდა ადამიანების პირდაპირი დევნა. შეგახსენებთ, რომ წინა ხელისუფლების დროს, განათლების სისტემის გადასარჩენად, მეცნიერთა მოძრაობა დავაფუძნეთ. დამფუძნებელთა შორის იყვნენ: ვანო კიღურაძე, თემურ ნანეიშვილი, დღევანდელი განათლების მინისტრის მოადგილე თემურ მარსაგიშვილი, გიორგი ოთხმეზური, მარიკა ლორთქიფანიძე და სხვები. ვერ წარმოიდგენთ, როგორ დაგვდევდა და რა საშინელი ზეწოლას ახორციელებდა თითოეულ ჩვენგანზე უშიშროება. იცით, რა ხდებოდა, როცა სააკაშვილის რეფორმით დაზარალებული პედაგოგების და დირექტორების უფლებებს ვიცავდი? თითოეულ დირექტორთან და აქტივისტთან უშიშროება მიდიოდა და ატერორებდა. აი, ეს იყო შემაწუხებელი და ამას ვეწინააღმდეგებოდით და არა იმას, რომ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურს გამართულად ემუშავა. ვინ გააქტიურა ეს თემა? რა თქმა უნდა, ნაციონალებმა, მაგრამ მე მაინტერესებს, ხელისუფლება რით პასუხობს?

**– როგორ ფიქრობთ, უშიშროების სამსახურის გამართულად მუშაობისთვის აუცილებელია, უმაღლეს სასწავლებლებში მას წარმომადგენელი ჰყავდეს?**

– ალბათ, თქვენც და თქვენს მკითხველსაც გაგიკვირდებათ ჩემგან ამის მოსმენა, მაგრამ უმაღლესი სასწავლო დაწესებულების უკონტროლოდ დატოვება არ შეიძლება. თანაც, ჩვენ მტრულად განწყობილი სახელმწიფოს უშიშროებაზე კი არა, ჩვენი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სამსახურზე ვსაუბრობთ. კი ბატონო, სააკაშვილმა უშიშროებაში ქუჩის ჭორიკნები რომ შეყარა, ისინი გაუშვი, მაგრამ ნამდვილი პროფესიონალები დატოვე და მუშაობის საშუალება მიეცი. სად გინახავთ ან გაგიგიათ განვითარებული ქვეყანა უშიშროების სამსახურების გარეშე, თანაც ამდენი გარე და შიდა საფრთხეების, ტერორიზმის თუ ათასი ტვინგახურებული ადამიანის პირობებში? როგორ გგონიათ, უცხო ქვეყნების სპეცსამსახურები არ მუშაობენ საქართველოში? და თქვენი აზრით, სად მუშაობენ? მთის მწვერვალზე ზიან, ტყეში თუ ველზე? რა თქმა უნდა, იქ მუშაობენ, სადაც ერის მომავალია, სამეცნიერო თუ პედაგოგიური კადრები და ინტელექტუალური ტვინებია მობილიზებული, ანუ პირველ რიგში უმაღლეს სასწავლებლებში. ვინმემ იცის, რა ხაფანგებს უგებენ იქ ჩვენს ახალგაზრდებს? სირიასა და ერაყში საქართველოს 50-მდე ახალგაზრდაა წასული და ყველამ ვიცით, რომ იქ მოხუცები არ მიჰყავთ. გამორიცხავთ, რომ ამდენ უცხოელ სტუდენტში ერთი არ არის ისეთი, რომელიც თავისი ქვეყნის სპეცსამსახურის დავალება ასრულებს და ახალგაზრდების გადაბირებას ცდილობს?

**– ამის გამორიცხვა შეუძლებელია, რადგან თავად უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა ვახტანგ გომელაურმა განაცხადა, რომ საქართველოში არა მარტო რუსული, არამედ სხვა მეზობელი თუ არამეზობელი ქვეყნების სპეცსამსახურებიც მუშაობენ.**

– და ამ დროს, უნივერსიტეტებიდან ჩვენი ქვეყნის სპეცსამსახურები გამოგვყავს და ასპარეზს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს ვუთმობთ! ვინ ვართ ამის შემდეგ? სახელმწიფო გვქვია? ამით ამაყობს პარლამენტი? არ არსებობს განვითარებული სახელმწიფო, რომელიც არ ფლობს ინფორმაციას თითოეულ სასწავლო თუ სამეცნიერო დაწესებულებაზე, ფაბრიკაზე, ქარხანაზე, ენერგეტიკის ობიექტებზე. აბა, ინფორმაცია საიდან მისდით უშიშროების და ანალიტიკური სამსახურების პირველ პირებს? უნივერსიტეტში თუ არ შეუშვი და ფაბრიკის და ქარხნის კარი გამოუხურე, გომელაურმა ინფორმაცია საიდან მიიღოს, მკითხავთან და ნათელმხილველთან იაროს?

**– თქვენი აზრით, ვის ინტერესებში შედის ქვეყნის უშიშროების სამსახურის დასუსტება?**

– ვის ინტერესებში შედის, რომ ჩვენი ტერიტორიების 20% ოკუპირებულია და ნაწილებად დაფლეთილი? ვის ინტერესებში შედის მცოცავი ანექსია, ხალხი საქართველოს ტერიტორიაზე რომ იძინებს და რუსეთის ტერიტორიაზე იღვიძებს? ვის ინტერესებში შედის, განათლების და მეცნიერების სისტემის ნგრევა? ვის ინტერესებშიც ეს შედიოდა, იმის ინტერესებში შედის, რომ სრულფასოვანი სახელმწიფო არ გვქონდეს. როცა სახელმწიფო არ გაქვს, მაშინ არც უშიშროება გჭირდება და არაფერი. რაც შეეხება გომელაურის განცხადებას უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მუშაობასთან დაკავშირებით, ჩადით აჭარაში და ნახეთ, რომელი ქვეყნის სპეცსამსახური მუშაობს.



მე ვღებულობდი მონაწილეობას აჭარაში გამართულ რამდენიმე ღონისძიებაში და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, თურქეთის სპეცსამსახურის წარმომადგენლები ფეხდაფეხ დამყვებოდნენ. თვალთვალი იმდენად საგრძნობი იყო, რომ შეუძლებელი იყო, არ შეგემჩნია. ჩვენმა უშიშროებამ არ უნდა იცოდეს, რას აკეთებენ უცხო, თუნდაც მეგობრული ქვეყნების სპეცსამსახურები ჩვენს ტერიტორიაზე? რა აინტერესებთ და რის მიღწევას ცდილობენ? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სხვადასხვა ასაკის ახალგაზრდების ნაწილი ჩართულია საშიშ სექტებში და გამორიცხული არაა, რომ ამ უკიდურესად საშიშ ტენდენციას უკავშირდება მოზარდების გახშირებული სუიციდის შემთხვევები. ამ თემაზე სკოლის დირექციები ღიად ვერ ლაპარაკობენ, მაგრამ შიშის ზარი აქვთ დაცემული. ეს ქვეყანის მომავალს საფრთხეს არ უქმნის? ეს არ არის უშიშროების საკვლევი თემა? გასაგებია, რომ უშიშროების სამსახურების დასუსტების და გაუქმების თემა ნაციონალების „შემოგდებულია“, მაგრამ მე მაინტერესებს, სად არის ამ დროს ხელისუფლება და მისი პოზიცია? ასე თუ გაგრძელდა და ნაციონალების ყველა პროვოკაციას ავყევით, ხელისუფლებაც ჩამოიშლება და არც სახელმწიფოს დაადგება კარგი დღე. დიახ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან დაწყებული პროცესები უფრო ხელისუფლების რღვევის მანიშნებელია, თორემ ლადო პაპავა არ დაიკარგება. მან სრულიად ახალგაზრდა ასაკში მიაღწია სამეცნერო მწვერვალებს და არის საერთაშორისო დონის მეცნიერი ასე, რომ ამ საპატიო, მაგრამ მძიმე ტვირთის გარეშეც გააგრძელებს თავის მოღვაწეობას, მაგრამ სახელმწიფომ უნდა იფიქროს იმ არასასრურველ და საშიშ ტენდენციაზე, რომელიც ძალიან ცუდ ფორმებს იღებს.

**მკითხველს შევახსენებთ, რომ 2015 წელს გატარებული რეფორმის შემდეგ ე.წ. ოდეერების, ანუ უსაფრთხოების ოფიცრების საკითხი ახლებურად მოწესრიგდა – თუ მანამდე უსაფრთხოების სამსახურიდან ოფიცრის მივლენა ნებისმიერ სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებაში იყო შესაძლებელი, დღეს ეს შესაძლებელია მხოლოდ მაღალი რისკის მატარებელ დაწესებულებებში. ასეთი დაწესებულებების ნუსხა კი განსაზღვრულია მთავრობის დადგენილებით და მასში არ შედის არც სახელმწიფო უნივერსიტეტი და არც სხვა რომელიმე საგანმანათლებლო დაწესებულება.**

ნელი თორდია
571 35 36 88

# „პირდაპირ ვიტყვი – უჩა ნანუაშვილი სახალხო დამცველი კი არა, პროვოკატორი და მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტერია“



სახალხო დამცველი თუ სახალხო დამრღვევი?! ვის უფლებებს იცავს ადამიანი, რომელსაც ხელფასს ის ხალხი უხდის, ვინც დღიდან ნანუაშვილის არჩევისა, საკუთარი უფლებების დაცვას სახალხო დამცველის აპარატის მეშვეობით ვერ ახორციელებს!

ვისია უჩა ნანუაშვილი? ხალხის თუ ცხოველებად ქცეული ადამიანების მცირე ნაწილის დამცველი? კითხვა რომელზედაც პასუხს თავად ნანუაშვილის „მოღვაწეობა“ პასუხობს – სახალხო დამცველი სახალხო დამრღვევია!

რატომ ასე „მკაცრად“? საქმე ისაა, რომ ნანუაშვილისთვის, ისევე როგორც, მაგალითად, პროკურატურისთვის, შერჩევითია სამართალიც და უფლებების დაცვაც. მეტიც, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ნანუაშვილისთვის არსებობს პრიორიტეტული საქმეები, ის დიდი სიამოვნებით იცავს ე.წ. უმცირესობას (ძირითადად სექსუალური და რელიგიური ნიშნით) და დიდი სიამოვნებით ებრძვის უმრავლესობას, ანუ ქართველ ხალხს. არადა, სწორედ ქართველი ხალხის მიერ ბიუჯეტში შეტანილი გადასახადებით სულდგმულობს ნანუაშვილის „სამეფო“!

ნანუაშვილის „საქმენი საგმირონის“ „მიმოხილვა“ დავიწყოთ მისი ბიოგრაფიიდან. ოფიციალური დოკუმენტით ირკვევა, რომ საქართველოს სახალხო დამცველი 1974 წლის აპრილში არის დაოჯახებული. როგორც ჩანს, ნანუაშვილს ბიოგრაფიის შედგენისას გამორჩა შეევსო გრაფა, რომლითაც გავიგებდით, რომელ აღმსარებლობას ეკუთვნის „ეძგვერაძე ბარნაბა“. „ბოროტი ენები“ ამბობენ ნანუაშვილი ბაპტისტიაო, საქართველოში უმცირესობას კი ეძახიან მსგავსი სექტის წევრებს, მაგრამ ევროპის ბევრ ქვეყანაში სექტანტური დაჯგუფებები აკრძალულია!

ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, ნანუაშვილს აქვს მიწის ნაკვეთი და სახლი ახალდაბაში, ავტოფარეხი და ბინა თბილისში, მის მეუღლეს ვაჟა – ფშაველაზე სახლი და პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე მშენებარე ბინა. ნანუაშვილის წლიური ხელფასი, მაგალითად, 2014 წელს 81181.25 ლარს შეადგენდა. მომდევნო წლებში ხელფასი გაეზარდა და შესაბამისად, მადაც (ალბათ), ყოველ შემთხვევაში, ბოლო დროს მის მიერ უტენდეროდ ნაყიდი ჯიპი ამის დასტურია.

2014 წლის დეკლარაციაში ვკითხულობთ: „უჩა ნანუაშვილი ავეჯის შესყიდვა გასავალი, 9000.00 GEL უჩა ნანუაშვილი ავეჯის შესყიდვა გასავალი, 2450.00 GEL უჩა ნანუაშვილი საოჯახო ტექნიკა გასავალი, 1524.00 GEL“. ვერაფერს ვიტყვით, გემოვნებას ნამდვილად არ უჩივის ბატონი „დამცველი“! ჯანდაბას, მის სახლში რაც უნდა, ის შეიტანოს და თუ სურვილი გაუჩნდება გამოიტანოს კიდეც, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტის საკუთარ ამბიციებზე მორგება, კანონის დარღვევით, დასჯადია და ეს კი უნდა იცოდეს ნანუაშვილმა.

„შემაშფოთებელია, რომ არჩევნებამდე ნახევარი წლით ადრე კვლავ გააქტიურდა ოპოზიციონერი პოლიტიკოსების მიმართ ფარულად გადაღებული კადრების გამოქვეყნების საკითხი“, – სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელებას ეხმაურება.

ომბუდსმენის თქმით, საზოგადოებისთვის არაერთ მსგავს საქმეზე დაწყებული გამოძიების შედეგები ცნობილი არ არის.

სახალხო დამცველი იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს პროკურატურა აღნიშნულ ფაქტს სწრაფად გამოიძიებს და დამნაშავეები დაისჯებიან. „საჯარო სკოლებში რელიგიური უმცირესობები ხშირად ხდებიან დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლნი – ორგანიზებულად დაჰყავთ მართლმადიდებლურ ტაძრებში, ხდება მათი დალოცვა“, – ამის შესახებ სახალხო დამცველის ანგარიშშია ნათქვამი.

ომბუდსმენის ანგარიშის თანახმად, რელიგიურ უმცირესობებს მიკუთვნებული მოსწავლეები ხშირად იძულებულები ხდებიან არ გაამჟღავნონ აღმსარებლობა იმ მოტივით, რომ უმრავლესობისგან უფრო მეტად გარიყვასა და დისკრიმინაციას აირიდებენ თავიდან.

„საანგარიშო პერიოდში კვლავაც მწვავე და სისტემური ხასიათის პრობლემას წარმოადგენდა საჯარო სკოლაში ზოგადი განათლების შესახებ კანონის მოთხოვნების, რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვისა და დისკრიმინაციულ და შეუწყნარებელ გარემოსთან დაკავშირებული საკითხები.

რელიგიური უმცირესობები სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან საუბრებში აცხადებენ, რომ მიუხედავად კანონის მკაფიო მოთხოვნებისა, საჯარო სკოლებში მოსწავლეები სისტემატურად ხდებიან შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლნი, ილახება მათი რელიგიის თავისუფლება: მოსწავლეები ორგანიზებულად დაჰყავთ მართლმადიდებლურ ტაძრებში, ან სასულიერო პირებს სკოლებში იწვევენ, ხდება მოსწავლეების დალოცვა, ანთებენ სანთლებს, გაკვეთილები იწყება ლოცვით, პედაგოგები დომინანტი რელიგიის უპირატესობას უსვამენ ხაზს, აკნინებენ უმცირესობათა აღმსარებლობას, ეწევიან პროზელიტიზმს, არის ინდოქტრინაციის შემთხვევები და სხვ. რელიგიურ უმცირესობებს მიკუთვნებული მოსწავლეები, რომელთა რწმენას არსებითად ეწინააღმდეგება სხვა რელიგიის რიტუალებში მონაწილეობა, ხშირად იძულებულნი ხდებიან არ გაამჟღავნონ აღმსარებლობა და ნების წინააღმდეგ ჩაებან მსგავს ღონისძიებებში იმ მოტივაციით, რომ ამით უმრავლესობისგან უფრო მეტად გარიყვასა და დისკრიმინაციას აირიდებენ თავიდან. მიუხედავად იმისა, რომ კანონი ასევე კრძალავს საჯარო სკოლის ტერიტორიაზე რელიგიური სიმბოლოების არააკადემიური მიზნით განთავსებას, საკლასო ოთახებსა და ზოგადად, საჯარო სკოლის ტერიტორიაზე კანონის ეს მოთხოვნა, როგორც წესი, არ არის დაცული. მაგრამ, ყოველივე ამასთან ერთად, პრობლემას ის გარემოებაც აღრმავებს, რომ უმცირესობები, უმეტესწილად, ერიდებიან ღიად და კონკრეტულად ისაუბრონ სკოლებში არადომინანტური აღმსარებლობის მოსწავლეებისადმი დისკრიმინაციული მოპყრობისა და უფლებაშელახვის ფაქტებზე“, – აღნიშნულია ანგარიშში.

სახალხო დამცველის თქმით, რელიგიური უმცირესობები ერიდებიან მიმართონ რაიმე ქმედით, უფლებადაცვით ნაბიჯებს, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ ამ შემთხვევაში ისინი უფრო მასშტაბური დისკრიმინაციის მსხვერპლნი აღმოჩნდებიან.

„სახელმწიფოს პოლიტიკაც ამ მიმართულებით არ არის თანმიმდევრული, სტრატეგიულად და ტაქტიკურად კარგად გააზრებული. ერთეული შემთხვევების გარდა, არ ჩანს კანონის იმპლემენტაციის მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმისა და დარღვევებზე რეაგირების პოლიტიკური ნება“, – ნათქვამია სახალხო დამცველის ანგარიშში. ვფიქრობ, საკადრისი პასუხი გასცა მას სოციალური ქსელის საშუალებით „ეროვნულების“ლიდერმა სანდრო ბრეგაძემ-

„ეს გაურკვეველი წარმოშობის სუბიექტი ჩვენი შვილების ექსკურსიაზე ტაძრებში წაყვანის აკრძალვას ითხოვს, სანთლის დანთებასა და ლოცვას უკრძალავს.

როდესაც ჯვრის მონასტერი შეურაცხყვეს და არაბული წარწერები მიაწერეს მივმართე ხმა ამოეღო, როდესაც პატრიარქს ქვეყნის მტერი უწოდა ჰომოსექსუალთა ლიდერმა, მივმართე ხმა ამოეღო, როდესაც მართლმადიდებლებს თავს დაესხენ მივმართე ხმა ამოეღო, მაგრამ არც ერთხელ ხმა არ ამოუღია და მართლმადიდებელთა ინტერესები არ დაუცვია.

პირდაპირ ვიტყვი,რომ ეს სუბიექტი სახალხო დამცველი კი არა, არამედ პროვოკატორი და მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტერია. იმდენად მზაკვარი პროვოკატორია,რომ ცდილობს რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტები წარმოშვას, ხოლო შემდეგ ყოველივე ეკლესიას დააბრალოს. აღმსარებლობით სექტანტია და თავისი ოდიოზური სექტის ინტერესებს ემსახურება.

თითოეული დღე მისი ყოფნისა სახალხო დამცველის პოსტზე არის სერიოზული საფრთხის შემცველი,ხოლო მისმა ბრძოლამ მართლმადიდებლური სარწმუნოების წინააღმდეგ ამაზრზენი ხასიათი მიიღო.ვფიქრობ საზოგადოება უნდა გავერთიანდეთ და მოვითხოვოთ ამ სუბიექტის გადაყენება სახალხო დამცველის პოსტიდან. მართლმადიდებლობის და ქართველობის მოძულეს არაფერი ესაქმება ამ უმნიშვნელოვანეს პოსტზე. მოგიწოდებთ მხარი დაუჭიროთ ჩვენს ინციატივას და ბოლომდე მივიყვანოთ საქმე!!! „ „ისეთ ინტერესებს“ ავლენს სახალხო დამცველი არ გამიკვირდება პირჯვარის გადაწერისთვის მარჯვენა ხელის მოჭრის ინიციატივით გამოვიდეს უახლოეს მომავალში „პატრონები“ მხარს არ დაუჭერენ თუ რა. საინტერესოა, ჯვრის მონასტრის და პატრიარქის შეურაცხოფისთვის რატომ არ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები? კანონის დაცვა თუ მხოლოდ ნაცების და მისი „მონათესავე პარტიების“ წარმომადგენლებზე ვრცელდება, იქნებ განუმარტოს საზოგადოებას, როცა ქვეყანაში დღემდე წინა ხელისუფლების მიერ ნაწამებ, ქონებაწართმეულ, ღირსებააყრილ, განადგურებულ ადამიანებისთვის სამართლიანობის აღდგენა ოცნებად იქცა, სახალხო დამცველი მხოლოდ იმას დარდობს, ვინ გაავრცელა მისი დაქალების „შვლიჭინის“ ფარული ჩანაწერები და ხმალამოღებული ებრძვის მართლმადიდებლობას. კანონით კი – „საქართველოს სახალხო დამცველი განიხილავს საქართველოს მოქალაქეთა, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა, აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიულ პირთა, პოლიტიკურ და რელიგიურ გაერთიანებათა განცხადებებსა და საჩივრებს, რომლებიც ეხება სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა, საჯარო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა ქმედებებს ან აქტებს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ უფლებათა და თავისუფლებათა, აგრეთვე იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებებით დადგენილ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის შესახებ, რომელთა მონაწილეც არის საქართველო“ 2015 წლის ქალთა #5 დაწესებულების ვიზიტის შესახებ. ანგარიშში სახალხო დამცველს „გამორჩენილი“ აქვს ის საჭირბოროტო საკითხები, რითიც მართლაც დღემდე ირღვევა იმ ქალბატონების უფლებები, რომლებიც წინა ხელისუფლებამ უკანონოდ გამოკეტა ციხეში და დღემდე არა აქვთ საშუალება დატოვონ ციხის კედლები. თუმცა არ დაავიწყდა და ვრცელი რეკომენდაციები ჩამოარაკრაკა ლგბტ



პატიმრების დასაცავად. ანგარიშში შემუშავდეს სტრატეგია და ხელმძღვანელო პრინციპები, რომელიც უზრუნველყოფს ლბტ პატიმრების მიმართ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციული მიდგომების პრევენციას გატარდეს სპეციალური ღონისძიებები დაწესებულების თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებისათვის ლბტ პირთა უფლებების, საერთაშორისო სტანდარტებისა და დახურული ტიპის დაწესებულებაში განთავსებისას შესაძლო რისკების შესახებ განთავსებისას გათვალისწინებული იქნას დაცვის სპეციალური ღონისძიებები, რათა არ მოხდეს ლბტ პატიმართა განთავსება იმ პატიმრებთან, რომლებმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნან მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას დაწესებულების ადმინისტრაციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ლბტ პატიმრების მონაწილეობას ციხის ფარგლებში დაგეგმილ პროგრამებში დაწესებულების ადმინისტრაციამ უზრუნველყოს ლგბტ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი ჯგუფების ჩართვა სპეციალური პროგრამების დანერგვისათვის გაძლიერდეს ფსიქოლოგის და სოციალური მუშაკის მუშაობა ლბტ პატიმრებთან და სხვა პატიმრებთან, რათა გაიზარდოს პატიმართა შორის მიმღებლობა, თვითიზოლაციისა და თვითდაზიანების რისკების პრევენციისათვის.“ სამწუხაროდ, სახალხო დამცველი მხოლოდ ჩვენი ქვეყნის და მართლმადიდებლობის მტრების ინტერესების დამცველად გვევლინება. მას „სახალხო გამცვლელობა“უფრო შეეფერება, რადგან პირადი კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, უპირობო ბინძური დავალებების შემსრულებელია, მშვენივრად შეიფერა მსუყე ცხოვრება, 120000 ათას დოლარიანი ჯიპით „ლივლივებს“და მივლინებებს არ იკლებს, ორგანული კანონი „მკაცრად“იცავს მის ხელშეუხებლობას და შანსს ხელიდან ხომ არ გაუშვებს?-„საქართველოს სახალხო დამცველი ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა საქართველოს პარლამენტის თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს პარლამენტს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული საქართველოს სახალხო დამცველი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს. საქართველოს პარლამენტი ამ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავარი პროკურორის მიმართვიდან არაუგვიანეს 14 დღისა“

2015წლის ოქტომბერში საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვი ლი და საქართველოს სახალხო დამცველი პირველი მოადგილე პაატა ბელთაძე მექსიკის ქალაქ მერიდაში ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტის (ICC) მიერ ორგანიზებულ მე-12 საერთაშორისო კონფერენციაში იღებდნენ მონაწილეობას.

კონფერენციის მონაწილეები შეიმუშავებენ მერიდას დეკლარაციას, რომელიც ომბუდსმენების განსაკუთრებულ და ახლებურ როლს გაუსვამს ხაზს ახლახან გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული მდგრადი განვითარების მიზნების 2030 (SDG) შესრულებაში.

როგორც სახალხო დამცველის აპარატიდან იუწყებიან, მდგრადი განვითარების მიზნების 15 წლიანი გეგმა ითვალისწინებს მსოფლიოს მასშტაბით სიღარიბის აღმოფხვრას, თანასწორობის დამკვიდრებას, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებების რეალიზაციას, სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას, მთავრობების მიერ სხვადასხვა პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში მოქალაქეების მონაწილეობის უზრუნველყოფას, სახელმწიფო სტრუქტურების ანგარიშვალდებულების გაზრდასა და ღია მმართველობის პრინციპების ხელშეწყობას. თავის გამოსვლაში უჩა ნანუაშვილმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებებზე, რომ მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება შეუძლებელია მხოლოდ მთავრობების მცდელობით და ამ პროცესში უნდა მონაწილეობდეს ყველა დაინტერესებული მხარე.

“მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მდგრადი განვითარების მიზნების რეალური შესრულება მეტწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მაღალია საზოგადოების ცნობადობა ადამიანის უფლებების შესახებ, რამდენად შესწევს უნარი მოქალაქეებს აქციონ მთავრობები ანგარიშვალდებული მათ წინაშე. ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება შეგვექმნა ადამიანის უფლებათა აკადემია, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი ადამიანის უფლებების შესახებ ფართო საგანმანათლებლო კამპანიის წარმოებაა, რაც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს მისცეს შესაძლებლობას უფრო ეფექტურად შეძლონ ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაცია”, - როცა ქვეყანაში, სიღარიბის ზღვარს მიღმა უამრავი ადამიანია, მათი უმეტესობა კი ნანუაშვილზე ბევრად საღად მოაზროვნე რატომ უნდა ფინანსდებოდეს ქვეყნის სასიკეთოდ არაფრის მქნელი და მთქმელი „სახალხო გამცემი“სახელმწიფო ბიუჯეტიდან, არ მესმის. რამოდენიმე დღის წინ.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# უჩა ნანუაშვილი უნდა გადადგეს!

გვესაუბრება „ახალგაზრდა უფლებადამცველთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ადვოკატი, **ლექსო კობაიძე**

— **„უჩა ნანუაშვილი ადამიანების უფლებებზე კი არა, შუღლზე და მის გაღვივებაზეა ორიენტირებული. ვგულისხმობ მის გამოსვლას, სადაც აღნიშნავს, რომ სკოლებში არ უნდა დაინთოს სანთლები, ექსკურსიებზე ტაძრებში არ უნდა წაიყვანონ ბავშვები და ა. შ.“, — ამბობთ თქვენ. რატომ გამორიცხავთ, რომ სახალხო დამცველი, თუკი ის სანთლის დანთებასა და ტაძარში სიარულზე მიუთითებს, ამით სხვა რელიგიური აღმსარებლობის ადამიანების უფლებებს იცავს. სახალხო დამცველი ხომ ყველა რელიგიური აღმსარებლობის დამცველი უნდა**



**იყოს?**

— დიახ, სახალხო დამცველი ვალდებულია ყველას უფლება დაიცვას, თუმცა ნანუაშვილი, როგორც მისი ქმედებებიდანაც ჩანს, ასე არ იქცევა. მისი ბოლოდროინდელი განცხადებებიდან ცხადი ხდება, რომ ის სპეკულირებს მართლმადიდებელი სამყაროთი, რათა, წარმოაჩინოს ისე, თითქოს რელიგიური უმცირესობები იჩაგრებიან საქართველოში. არადა, ასეთი ერთი ფაქტიც არ არსებობს.

რაც შეეხება ექსკურსიებზე სიარულს, ეკლესია-მონასტრები ჩვენს ქვეყანაში მრავლად არის, ისინი ისტორიული ძეგლის სტატუსს ატარებენ და სხვა ფუნქციებთან ერთად ტურისტული დანიშნულებაც აქვთ.

ნანუაშვილი ასეთი მოქმედებებით ხელს უწყობს ეროვნული და რელიგიური შუღლის გაღვივებას. ეროვნულ უმცირესობებს, შესაძლებელია, ამით გაუჩნდეთ კიდევაც განცდა, რომ თვითონ არა, მაგრამ საქართველოში, სხვაგან, იჩაგრებიან უმცირესობები, რადგან სახალხო დამცველიც ამას აღიარებს.

თუ მართლაც არის ასეთი შემთხვევები, კეთილი ინებოს სახალხო დამცველმა და მიუთითოს თავის ანგარიშში.

თუმცა, უჩა ნანუაშვილთან ჩვენ სხვა პრეტენზიებიც გვაქვს. არაერთხელ მივმართეთ მას, დაინტერესებულიყო კონკრეტული საქმეებით, მაგრამ საერთოდ არ მიუქცევია ჩვენი თხოვნებისთვის ყურადღება.

— **რომელ კონკრეტულ საქმეებს გულისხმობთ?**

— მე, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, მივმართე, კონკრეტულად, რომან კეკიეშვილის საქმეზე, ასევე ელგუჯა რამიშვილის და გიორგი ფაღავას საქმეებზე, ამ ადამიანებს სამართალდამცავებმა ჩაუდეს წამალი, თუმცა რეაგირება სახალხო დამცველის მხრიდან ნულის ტოლფასი იყო. სახალხო დამცველს არაერთხელ უგულებელუყვია ჩვენი თხოვნები და განცხადებები და მეტიც, არც კი დაინტერესებულა.

ამით იმის თქმა მინდა, რომ ეს ადამიანი საერთოდ არ რეაგირებს ადამიანის უფლებათა დარღვევის არც ერთ ფაქტზე.

სახალხო დამცველი კონკრეტულ, ვიწრო პარტიულ ინტერესებს ემსახურება. კერძოდ, ის გახლავთ მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ გულშემატკივარი.

— **რატომ დასჭირდა სახალხო დამცველს ახლა ასეთი განცხადებების გაკეთება. რა განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე?**

— არჩევნები ახლოვდება, არ გამოვრიცხავ, სხვა მიზნებიც ჰქონდეს, მაგრამ ერთი რამ აშკარაა — მისი განცხადებები ანტისახელმწიფოებრივ ინტერესებს ემსახურება და არ ვაპირებთ ამას შევეგუოთ.

ამჯერად ჩვენ ჩავურთეთ წამმზომი სახალხო დამცველს, მივეცით გონივრული ვადა, რომ დატოვოს თანამდებობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიწყებთ პერმანენტულ აქციებს, შემოგვიერთდებიან სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომლებთანაც აქტიური მოლაპარაკებების რეჟიმში ვიმყოფებით და უნდა გითხრათ, ისინი სრულად იზიარებენ ჩვენს პოზიციებს.

**დაგეგმილი გვაქვს, დავიწყოთ შიმშილობა და ხელმოწერების შეგროვება სახალხო დამცველის გადაგომის მოთხოვნით.** ჩვენ შემოგვიერთდებიან ის ადამიანებიც, რომლებიც დღემდე ამაოდ ელოდებიან სახალხო დამცველის კანონიერ მხარდაჭერას.

ნანუაშვილი კი საკუთარი კომფორტის მოგვარებით არის დაკავებული. მან და მისმა მოადგილეებმა A კლასის ავტომანქანები შეიძინეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

2016 წლის „ლანდკრუიზერ პრადო“ თვით უჩა ნანუაშვილმა იყიდა.

მთელი სახალხო დამცველის აპარატი ფუფუნებაშია ჩაფლული.

მოვუწოდებ მოსახლეობას, გაერთიანდნენ ჩვენი მოთხოვნის ირგვლივ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ, უფლებადამცველები, რომელთა პირდაპირი მოვალეობაა ადამიანთა უფლებების დაცვა, ველარ შევძლებთ ჩვენი საქმიანობის აღსრულებას.



— **სახალხო დამცველის გადაყენებისთვის გარკვეული სახის პროცედურები და ვადებია აუცილებელი.**

— უჩა ნანუაშვილმა განცხადება თავად უნდა დაწეროს და წავიდეს. არავითარი პროცედურა არ სჭირდება ამას. ადგეს და წავიდეს სხვა სფეროში, მაგალითად, ბიზნესში, ან სადაც უნდა, იქ.

— **ბიზნესისკენ რატომ უბიძგებთ?**

— იქითკენ აქვს მიდრეკილება. 105 000-იან მანქანას რომ იყიდის და საკუთარ სტომაქზე რომ ფიქრობს, ისეთი ადამიანი უმაღლესი უფლებადამცველის სკამზე კი არ უნდა იჯდეს, ბიზნესს უნდა მიჰყოს ხელი.

ეს კაცი ადამიანებზე არ ფიქრობს.

დღეს, როცა საქართველოში უამრავი პრობლემაა, ლუკმაპურის შოვნისთვის უბრალო ადამიანები ნემსის ყუნწში ძვრებიან, მათი უფლებები უხეშად ირღვევა, ეს კაცი საკუთარ კომფორტზე ფიქრობს და რელიგიურ შუღლს უწყობს ხელს. დეზინფორმაციას ავრცელებს და ამ დეზინფორმაციას აწვდის დასავლეთს.

გასულ კვირას ულტიმატუმი წარუდგინა ხელისუფლებას — თუ არ გამოიძიებდნენ ფარული კადრების გამავრცელებელთა ვინაობას, განგაშის ზარს დაარისხებდა.

ჩვენმა ხელისუფლებამ ამ საქმეში FBI ჩართო, მეტი რა უნდა ქნას, მაგრამ ნანუაშვილი მაინც თავისას მიერეკება. ამით სურს დახატოს სურათი, თითქოს საქართველოში არიან მონსტრები, რომლებიც პროგრესს უშლიან ხელს და რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებს ჩაგრავენ.

ეს ადამიანი მანიპულირებს ყველაფრით, რაზეც ხელი მიუწვდება, რომ თითქოს ქვეყანაში უხეშად ირღვევა უმცირესობების უფლებები და იზღუდება რელიგიური აღმსარებლობები.

კიდევ ერთხელ ვაცხადებ — ეს არის ტყუილი. **ცრუობს სახალხო დამცველი და ის ამ პროვოკაციების გამო უნდა გადადგეს!**

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ვის აძლევს ხელს საქართველოში დაპირისპირებები რელიგიურ ნიადაგზე?!

მუსულმანური სარწმუნოების ერთმა ჩვენმა თანამემამულემ ამასწინათ სოციალურ ქსელში ასეთი სახის მიმართვა გაავრცელა: **„ყოველ ანტიმუსულმანურ გამოსვლას საქართველოში იმ დადებითი ტენდენციებისა და ინტეგრაციული პროცესების უარყოფამდე მივყავართ, რომლებიც საქართველოში ხორციელდებოდა.**

**ანტიმუსულმანური ხასიათის აფეთქებები საქართველოში არის ანტიდისკრიმინაციული კანონისა და თვით საქართველოს კონსტიტუციის დარღვევა!**

**ისლამოფობიის გაღვივებას საქართველოში მართული ხასიათი აქვს!**

**ყველა, ვინც დაინტერესებულია რელიგიათაშორისი დაპირისპირებით, ხელს უშლის სტაბილურობასა და მშვიდობას საქართველოში“.**

დიახ, პრობლემა, რომელიც ბოლო თითქმის საუკუნის განმავლობაში არ მდგარა საქართველოს წინაშე, უკანასკნელ ხანებში მწვავედ დადგა. მუსულმანებით დასახლებულ რეგიონებსა და სოფლებში სხვადასხვა სახისა და ხასიათის დაპირისპირებები შეინიშნება ქრისტიან და მუსულმან მოსახლეობას შორის.

სახალხო დამცველის აპარატში არსებობს რელიგიათა საბჭო, რომელიც თავის დროზე, „ნაცმოძრაობის“ მმართველობის პერიოდში, დასავლური რეკომენდაციების შედეგად შეიქმნა და დაკომპლექტდა, რომელმაც მალევე მიიღო თავისი მფარველობის ქვეშ საქართველოში არსებული 28 რელიგიური გაერთიანება – იუდაური თემი, სომეხთა სამოციქულო წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქია, ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაცია, იეზიდთა სასულიერო კრება. ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია, ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია, სახარების რწმენის ეკლესია, მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესია, საქართველოს ევანგელისტურ-პროტესტანტული ეკლესია, წმინდა სამების პროტესტანტული ეკლესია, საქართველოს ევანგელისტური ეკლესია, ევანგელური ეკლესია „სიცოცხლის სიტყვა“, ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია „მადლი“, მორმონთა ეკლესია, „ხსნის არმია“, კრიშნას ცნობიერების საზოგადოება, ევანგელური ეკლესია „ღმერთის საელჩო“, ევანგელური ეკლესია „ურყევი საფუძველი“, კვაკერთა საზოგადოება, ბაჰაის საზოგადოება, სვედენბორგები, სრული სახარებისეული ეკლესია „ღვთის ერი“, სრულიად მუსლიმთა სამმართველო და ქართველ მუსლიმთა კავშირი.

საბჭომ შეიმუშავა ერთიანი კონცეფცია, რომელშიც ასახულია ისეთი საკითხების ერთობლივი ხედვა, როგორიცაა სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთმიმართება, ლიბერალური ფასეულობები და დემოკრატია, სოციალური თანამშრომლობა, სასჯელაღსრულებისა და განათლების სისტემებში არსებული პრობლემები, ომისა და მშვიდობის საკითხები, ეთნოსთა შორის ურთიერთობები და ა.შ.

საბჭოს არსებობა და ასეთი საქმიანობის ფართო სპექტრის მინიჭება კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ საქართველოში, როგორც არასდროს, არც ახლა არც მართლმადიდებლური ეკლესიისა და არც სახელმწიფოს მიერ არ იდევნებოდა და არ იდევნება რელიგიური უმცირესობები.

საქართველოში „ნაცმოძრაობისა“ და მისი ლიდერის სააკაშვილის მმართველობის პერიოდიდან ქვეყანაში გამძაფრდა 90-იან წლებში დაწყებული რელიგიათა პოლარიზაციის პროცესი.

ცნობილია, რომ„ვარდების რევოლუციის“ დროს „ნაცმოძრაობას“ და მის მომხრეებს, დასავლელი პარტნიორებისა და სავარაუდოდ, სპეცსამსახურების მითითებით, საქართველოში მოქმედმა რელიგიურმა უმცირესობებმაც და თვით სექტებმაც დაუჭირეს მხარი.

როგორც შემდეგგაირკვა, „ვარდების რევილუციამდე“ არასამთავრობო ორგანიზაციები „თავისუფლების ინსტიტუტი“ და სხვები დანოსებს აგზავნიდნენ დასავლური საზოგადოებისკენ, რომ საქართველოში იჩაგრებოდნენ რელიგიური უმცირესობები, წერდნენ ე. წ. პროექტებსა და პროგრამებს. ამაში დიდძალ გრანტებს იღებდნენ და, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, ნიადაგს ანოყიერებდნენ საქართველოში ახალი, რელიგიური ხასიათის დესტაბილიზაციისთვის.

იმ ხანებში მღვდელმა ბასილ მკალავიშვილმა, რომელიც იეღოველთა ლიტერატურის, როგორც მწვალებლური სწავლების განადგურებაში იყო შემჩნეული, ლიბერალურ ფასეულობათა მხარდამჭერთა, გრანტის მომლოდინე ქართველთა და მართლმადიდებლობის მტერთა გულის გასახარად, სწორედ იმ სახალხო დამცველის ოფისთან მოაწყო აქცია მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების მოთხოვნით, სადაც „იხარშებოდა“ სწორედ ახალი საწამლავი ქართული ეროვნული სულისა და სხეულის წასაბილწად, რაშიც სახალხო დამცველის ოფისში მოკალათებული ზოგიერთი ავაზაკი და დასავლეთისგან დაგეშილ არასამთავრობოთა წარმომადგენლები დიდძალ თანხებს იღებდნენ სწორედ ადამიანების ყველაზე სათუთ გრძნობებზე – რელიგიურ აღმსარებლობაზე მანიპულირების განხორციელებისთვის.

მაშინ გიგა ბოკერიას ხელმძღვანელობით ინსტიტუტმა, რომელსაც რატომღაც მშვენიერი და მრავლისმომცველი სიტყვა თავისუფლება წარუმძღვარეს, აი, იმ „თავისუფლების ინსტიტუტმა“, მთელ დასავლურ პროგრესულ და არაპროგრესულ საზოგადოებს მოსდო ახალი ამბავი – საქართველოში რელიგიური უმცირესობები იდევნება, მღვდელი იეღოველებს ჯვრით დასდევსო.

ყველამ ვიცით, ჯვარი, პირდაპირი გაგებით, არც ხმალია და არც სატევარი, არც მამა ბასილს გამოუყენებია ის ამ მიზნით, იგი, ჩვეულებისამებრ, ცდილობდა ჯვრის გარდასახვით გაეძევებინა იეღოვას ცრუ მოწმეებისგან ბელზებელის სული...

2011 წელს პარლამენტმა მოასწრო (!) და რელიგიის შესახებ კანონი მიიღო. ამ კანონის მიხედვით, საქართველოში არსებულ ყველა რელიგიურ ჯგუფს იურიდიული პირის სტატუსი მიენიჭა, რაც ადრე მხოლოდ მართლმადიდებლურ ეკლესიას ჰქონდა.

ამ კანონის საფუძველზე სხვა რელიგიური კონფესიები კანონით გაუთანაბრდნენ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას და მიენიჭათ საქართველოს ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი მოქმედების უფლება.

დღეს საერთაშორისო საზოგადოებასთან რელიგიური თემებით სპეკულირება და დღევანდელი ხელისუფლების დისკრედიტაცია არასამთავრობოთა და ე. წ. ოპოზიციის მთავარ თემად კვლავ რჩება. „თავისუფლების ინსტიტუტი“, „ტოლერანტობის ცენტრი“, „ლგბტ თემი“, „იდენტობა“ და მრავალი სხვა აღვივებენ ხელოვნურად ინსპირირებული სოციალური და რელიგიური ხასიათის კონფლიქტებს, რათა ტრადიციული რელიგიები, ცრუ რელიგიური მიმდინარეობები და გზასაცდენილი უბრალო ადამიანები გლობალურ გეოპოლიტიკურ იარაღად გამოიყენონ...

რამდენიმე დღის წინ საკრებულოს წევრმა, პოლიტიკოსმა, ბატონმა სოსო მანჯავიძემ მითხრა. ცოტაც დაიცადეთ, ნახავთ, მალე ქართულ ეკლესიაზე მასიური შეტევა დაიწყება, რადგან ეს არის ბოლო და ყველაზე მძლავრი ბასტიონი, რომელსაც ხალხის დიდი ნდობა და ავტორიტეტი აქვსო.

ნელ-ნელა უკვე იკვეთება ბრძოლის კონტურები, ე. წ. წერტილოვანი დარტყმებიდან, სავარაუდოდ, მასობრივ შეტევაზე გადავლენ, რადგან









ჩვენი სახელმწიფოს იდეური და პოლიტიკური ოპონენტები, ქართველ ხალხთან ოპოზიციაში მყოფი „ნაციონალური მოძრაობა“ პარტნიორად ძველ, „ვარდების რევოლუციის“ დროინდელ უცხოურ რელიგიურ დენომინაციებს, სექტებს და ახლა უკვე სექსუმცირესობებსაც იყენებს გვერდით, რაც, ლოგიკურად, ქართული ტრადიციების და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ გამოცხადებული აშკარა ომი და ბრძოლაა. მართლმადიდებლური ეკლესია და ის პირები, რომლებსაც „ნაცმოძრაობის“ მადისკრედიტებელი ხელი ვერ მოხვდა, ანუ ე. წ. გაუსვრელი ეკლესიის პატიოსანი მამები და თვით ჩვენი ეკლესია ბოლო დროს ზნედაცემულთა მიერ თითქმის საქებრად ქცეული აღვირახსნილი სექსუალური ცხოვრებისა და არატრადიციული სექსუალური მიდრეკილებების მიმდევართა იდეური მოწინააღმდეგენი არიან, სწორედ ამაზე მიანიშნებდა ბატონი სოსო. რადგან არავის უნდა გაუკვირდეს, მე-8 მსოფლიო კრების წინარე პერიოდში ეკლესიაში უთანხმოებები და აფეთქება რომ მოხდეს. ჩვენს ეკლესიებში დღესაც მრავლად არიან სააკაშვილის მიერ შეგზავნილი მოძღვრები. ამ მოძღვრებისთვის ეკლესიაზე და ღმერთზე მეტი დღესაც მიშა სააკაშვილი და მისი სისხლიანი ჯალათებია და ეკლესიის ავტორიტეტი და ქართველი ხალხის ტრადიციადქცეული რელიგიური შემწყნარებლობა – თეატრის ბუტაფორია.

მიზანი ცნობილია: რაც უნდა მოხდეს, სააკაშვილი და მისი გუნდი უნდა დაბრუნდეს ხელისუფლებაში. თვით იმ ამორალური სააკაშვილის ტრანსგენდერმა სექსპარტნიორმა, 19 წლის ალექსიმ HTB-ს ეთერში თქვა კიდევაც: სააკაშვილი ლოგინში სექსის მაგივრად საქართველოში კვლავ დაბრუნებაზე და გაპრეზიდენტებაზე მელაპარაკებოდაო.

ასეთი ბინძური მეთოდებით, არეულობებით, შანტაჟის გზით, ქვეყნის, მართლმადიდებლობის გაყიდვით ცდილობს „ნაცმოძრაობა“ და სააკაშვილი რევანშის აღებას და ხელისუფლების ხელში ჩაგდებას.

ექსპერტები მიიჩნევენ, რელიგიური დაპირისპირებები დასავლეთის სპეცსამსახურების მიერ ინსპირირებულია და ქვეყანაში არეულობასა და დესტაბილიზაციას ისახავს მიზნად, „ამღვრეულ წყალში თევზის დასაჭერად“, ხელისუფალთა მუდმივ შანტაჟში ყოფნისთვის, „ნაცმოძრაობის“, როგორც სატელიტებისთვის კვლავ ხელისუფლებაში დასაბრუნებლად და, ზოგადად, რეგიონში მუდმივი არეულობისთვის...

სწორად შენიშნა ჩვენმა პატიოსანმა მუსულმანმა თანამემამულემ და ვეთანხმები – რელიგიური დაპირისპირებების ინსპირირებით ქვეყანაში მშვიდობას უშლიან ხელს. მეტიც, როგორც სპეციალისტებიც შენიშნავენ და ისლამური სახელმწიფოს მაგალითზეც დაკვირვებული თვალისთვის ნათელია, „დღევანდელი „საქართველოს პოლიტიკური პარტნიორები“ არც ტრადიციული ისლამის, მისი უმდიდრესი კულტურისა და ცივილიზაციის მიმართ არიან სიმპათიებით განწყობილნი – მათ რადიკალური ვაჰაბიზმის საფრთხეს უმზადებენო.

გასულ კვირას გაურკვეველი ფინანსური არხებით შექმნილმა ე. წ. „ქართულმა ძალამ“, რომელიც აშკარა შოვინისტურ-ფაშისტური იდეებით ხელმძღვანელობს, რუსთაველის გამზირზე აქცია მოაწყო, სადაც ანტიმუსულმანური ლოზუნგებიც გაისმოდა. ვის წისქვილზეც ასხამს წყალს ახლა, წინასაარჩევნოდ, ქვეყანაში არეულობა და რელიგიათაშორისი დაპირისპირება, დღესავით ნათელია.


ჭელას მეჩეთი

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# როდის დამთავრდება გამოქვაბულის პოლიტიკა საქართველოში?

გვესაუბრება მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ანალიტიკოსი, ბატონი **პეტრე მამრაძე**

**– ბატონო პეტრე, კოალიციაში მყოფი სუბიექტების – ჯერ თავისუფალი დემოკრატების, შემდეგ რესპუბლიკელებისა და ფორუმის განცხადებები ხომ არ გაგონებთ 2002 წლის მოვლენებს – შევარდნაძეს საკუთარი გუნდის – მოქალაქეთა კავშირის „ახალგაზრდა რეფორმატორები“ რომ დაუპირისპირდნენ?**

– დღეს ჩვენთან სხვა პოლიტიკური ვითარებაა. „ქართული ოცნების“ კოალიცია თავიდანვე იყო საკმაოდ ჭრელი და უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში დღემდე არ არსებობს პოლიტიკური პარტია წმინდა პოლიტიკური განმარტებით. მით უმეტეს, კოალიციაში არსებულ ჯგუფებს არაფერი აქვთ საერთო ნამდვილ პოლიტიკურ პარტიებთან, არადა, 180-ზე მეტი პოლიტიკური პარტიაა საქართველოში დარეგისტრირებული.

იცით, რა მინდა ამით გითხრათ?! – კოალიციაში შემავალმა დაჯგუფებებმა დაასაბუთეს ის, რომ არც იციან, რა უნდა გააკეთონ პოლიტიკაში და არც ესმით, საერთოდ, რა არის გასაკეთებელი. მათი ინტერესი არის უცვლელი – სანამ ხელისუფლებაში ვართ, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა საკუთარი კეთილდღეობისთვის ლოზუნგით „ახლა ჩვენი დროა“.

რესპუბლიკელები ფიქრობენ მომავალზე.

არ სურთ შესუსტდეს მათი გავლენები და დაადგინენ შანტაჟის გზას ე. წ. დასავლური ორიენტაციით.

კიდევაც განაცხადა ახლა, ამ იანვარს, ერთ-ერთმა მთავარმა რესპუბლიკელმა ლევან ბერძენიშვილმა: თუ სამომავლოდ შედგება რაიმე კოალიცია რესპუბლიკელების გარეშე, ასეთი კოალიციის წინაშე დაისმება კითხვები კოალიციის პოლიტიკური ორიენტაციის შესახებო. ბერძენიშვილი, რა თქმა უნდა, დასავლური მიმართულების უგულებელყოფის მოსალოდნელობას გულისხმობდა.

მათ მიაჩნიათ, რომ კოალიციაში დარჩენილ პოლიტიკურ ჯგუფებს შორის რესპუბლიკელები დასავლური ორიენტაციის ერთ-ერთი ძალაა, რომელზე უარის თქმა დასავლურ კურსზე უარის თქმას ნიშნავს და დასავლეთიც ასე გაიგებს ამასო.

**– ეს უკვე აშკარა შანტაჟია.**

– ეს არის შანტაჟი, მაგრამ გვახსოვს ალასანიას და მისი გუნდის წევრების განცხადებები კოალიციიდან გასვლის პერიოდში – მე გავდივარ იმის გამო, რომ ვხედავ, ქვეყანამ დასავლური გზიდან გადაუხვიაო. მაშინ დასავლეთმა არ მიიღო ალასანიას ეს განცხადება და აღიარებდნენ საქართველოს დასავლურ პოლიტიკურ ორიენტაციას. ახლა რესპუბლიკელებმა დაიწყეს იგივე კარტის გათამაშება, მიხვდნენ, რომ აღარ მიიღებდნენ შემოთავაზებას კოალიციიდან არჩევნებში მათთან ერთად გასვლის თაობაზე, გადადგეს პოლიტიკურად სწორი ნაბიჯი და გამოაცხადეს, რომ დამოუკიდებლად აპირებენ მიიღონ მონაწილეობა შემოდგომაზე დაგეგმილ არჩევნებში, ანუ დაქვემდებარებულ როლს რადიკალური ქმედებები ამჯობინეს.

**– თუკი დამოუკიდებლად აპირებენ და აქვთ იმედი არჩევნებში წარმატების, რესპუბლიკელები ახლა რატომ არ ტოვებენ პოსტებს?**

– არ აწყობთ. ისინი იყენებენ მათ ხელთ არსებულ ადმინისტრაციულ რესურსებს. იციან, რომ სამი მინისტრი, პარლამენტში პოზიციები და ა.შ. აუცილებელია იმისთვის, რომ ეფექტურად მოემზადონ არჩევნებისთვის.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ, როგორც ზემოთაც მიგანიშნეთ, საქართველოში არავითარი პოლიტიკური პარტიები არ არსებობს, ამას რომ ვამბობ, ვემყარები ცნობილ დასავლელ მეცნიერთა და ექსპერტთა კვლევებს და დიაგნოზი, რომ საქართველოში სუფევს პლურალისტული ფეოდალიზმი, სადაც ბრძოლა მიმდინარეობს რესურსების




დაპატრონებისთვის, უტყუარია.

ორჯერ გახლდით პარლამენტის წევრი და პირადად მე მომისმენია პარლამენტის დერეფანში ასეთი რამ: „რა მინდა პარლამენტში, მაგრამ რა ვქნა, დიდ „მაყუთს“ ისე ვერ მოხსნი, აქ თუ არ მოხვდიო“.

ეგ არის საქართველო დღეს. მარკ ტვენი მე-19 ს-ში წერდა: ვინ არიან ამერიკაში კონგრესმენები და სენატორები? ის ადამიანები, რომლებიც იმ ვადას, რომელსაც ციხეში უნდა ატარებდნენ, კონგრესსა და სენატში ატარებენო.

ეს გაიარა ამერიკამ.

არსებობს ასეთი ფაზები და ეს უნდა გავიაროთ ჩვენც.

2009 წლის ე. წ. „საკნების აქციებს“ გავიხსენებ. მაშინ უცხოელები მეუბნებოდნენ – საქართველო ნამდვილად იმსახურებს უკეთეს ხელისუფლებასო და ინტენსიურად ხვდებოდნენ მაშინდელი ოპოზიციის წარმომადგენლებს, აქციის ორგანიზატორებს. ბოლოს უცხოელებმა მითხრეს: ესენი არიან გამოქვაბულის ადამიანები Cave man და Cave woman და მე მესმოდა მათი. ამბობდნენ: ჩვენ ვურჩევთ გაერთიანდნენ სააკაშვილის წინააღმდეგ, ესენი კი გველაპარაკებიან ერთმანეთის წინააღმდეგ, ერთმანეთის ჩასაძირად, თითქოს სააკაშვილი უკვე წასული იყოს და პირველობას იყოფდნენო...

**– ბატონო პეტრე, იმის მიუხედავად, რომ რესპუბლიკელები სახელისუფლო რესურსებს ფლობენ, არჩევნებში მაინც დაბალ პროცენტებს მიიღებენ?**



– ჩემი აზრით, ბარიერის გადალახვაც გაუჭირდებათ. ისინი არ უყვარს ქართველ ხალხს.

**– ამ ნიშნითაც ხომ არ ჰგვანან ნაციონალებს?**

– 2004 წელს მოსახლეობის 94%-მა მისცა ხმა სააკაშვილს. წარმოიდგინეთ და, ახლაც მიიღებენ ნაცები უფრო მეც ხმებს, ვიდრე რესპუბლიკელები.

**– „ნაცმოძრაობასთან“ კავშირზე ხომ არ წავლენ რესპუბლიკელები? მით უფრო, რომ საერთო იდეური მიმართულებებიც აქვთ?**

– გავიხსენოთ ლევან ბერძენიშვილის განცხადება, როცა თქვა: სააკაშვილის დაპატიმრება და მის წინააღმდეგ საქმის აღძვრა არ შეიძლება, რადგან ის ბევრად უფრო პოპულარულია დასავლეთში, ვიდრე მთელი საქართველოო.

სამწუხაროდ, „ქართულმა ოცნებამ“ იმის ნაცვლად, სამართლიანობა აღედგინათ და მთელ მსოფლიოს დაენახა, რომ საქართველოში იცავენ კანონს, მართლმსაჯულება არ აღასრულეს. პირიქით, მთელ მსოფლიოს აჩვენეს ის, რომ პოლიტიკური დევნა არის საქართველოში.

ჩვენ რომ ვყოფილიყავით შუაგულ ევროპაში და განვითარებული ქვეყნები გვერტყას გარს, არც ტერიტორიული უთანხმოებები გვექნებოდა და არც სამოქალაქო ომს გავივლიდით, გვექნებოდა თანადგომა, დახმარება, ამის მაგივრად, აღმოვჩნდით გეოპოლიტიკურ ჯვარზე გაკრულნი. თუმცა ასეთ სიტუციაშიც რომ თავს გაიტან, მაშინ ხარ უკეთესის ღირსი და მაშინ ხარ, ასე ვთქვათ, მაგარი. თუმცა ყველაფერი კიდევ წინაა, უფრო გონივრული ქმედებების შესაბამისად, შეიძლება, დავძლიოთ კრიზისები და უკეთეს ქვეყნად შევდგეთ.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# როდის დამთავრდება აგენტების, „სტუკაჩების“, „ნასედკების“ ზეობა საქართველოში?

## როდის მივიღებთ ლუსტრაციის კანონს და როდის გადავჭრით იმ ჭიპლარს, რომლითაც უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებთან დღემდე ვართ მიბმულნი?

მას შემდეგ, რაც ქართველი მედასავლეთეების „ფლაგმანი“ ნაცები უსაფრთხოების სამსახურის ინიციატივით გამობრძანდნენ, რასაც დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ მათი სატელიტები, ერთმა ფრიად ჭკუასაკითხავმა კაცმა მითხრა, ჩვენი ქვეყნის უმთავრესი პრობლემა ისაა, რომ დამოუკიდებელი რესპუბლიკა კი გვქვია, მაგრამ იმ სისტემის გაგრძელება ვართ, რასაც საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტი ერქვა, არ მომხდარა კავშირის ჩაჭრა და მისგან განცალკევებაო. რამდენჯერმე იყო მცდელობა, რომ მომხდარიყო ხსენებულ სისტემასთან დაკავშირებული ხალხის ლუსტრაცია, მაგრამ ვერაფერს მივაღწიეთ, საქართველოს ხელისუფლებებმა 25 წლის მანძილზე ლუსტრაციის შესახებ კანონიც კი ვერ მიიღეს. სწორედ ამიტომაა, რომ დღემდე არ ვიცით, რეალურად ვინ მართავს სახელმწიფოს უშიშროების კუთხით, სუკ-ის („კაგებეს“) აგენტები არავის გაუშიფრავს, ასეთი ხალხი ათეულ ათასობითაა და მათ თავიანთი წარსულის გამო, როგორც უნდათ, ისე იყენებენ. რამდენი ასეთი კადრი მუშაობს მარტო უშიშროების სამსახურსა და შსს-ში კი არა, სხვა სახელმწიფო სტრუქტურებშიც საპასუხისმგებლო თანამდებობზე დღემდე არ ვიცით. არადა ეს ხალხი ფაქტობრივად უცხოური სპეცსამსახურების აგენტები არიან, დარწმუნებული ვარ, ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში მრავლად არიან საკუთარი წარსულის მძევლებიო. საქართველოს ხელისუფლებებმა ლუსტრაციის კანონი ვერ მიიღეს თუ არ მიიღეს, ეს კიდევ საკითხავია. არ არის გამორიცხული დღესაც თანამშრომლობდეს მის მემკვიდრე სპეცსამსახურთან. ის ხალხი, ვინც ეროვნულ ღირებულებებს არ უღალატა, გაურკვეველ ვითარებაში მოიშორესო. როცა ხელისუფლებაში ჩანერგილ უცხო ქვეყნების აგენტურაზე ვსაუბრობთ, ვფიქრობთ, მარტო რუსეთზე არ უნდა იყოს საუბარი, მერე ვინ გადაიბირეს სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებმა ეს ცალკე საკითხია, ისე შანტაჟის გზით არც „კაგებეს“ აგენტის გადაბირება უნდა წარმოადგენდეს დიდ პრობლემას, იმის შიშით ეს ყველაფერი არ „გამიბაზრდესო“, მით უმეტეს თუ საზოგადოების თვალში პროდასავლურობაზე აქვს დიდი პრეტენზია, არაფერია გამორიცხული. აქვე არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ორმაგი აგენტის მცნება სამყაროსავით ძველია. სიმართლე გითხრათ, ქართველი პოლიტიკოსების, არასამთავრობო სექტორის თუ მედიის წარმომადგენელთა უმეტესობის პროდასავლელობაში ყოველთვის ეჭვი მეპარებოდა, ეჭვი მათ მიერ უნისონში ატეხილმა წიოკმა გამიძლიერა, რაც ფარული ვიდეოკადრების გავრცელებას მოყვა. იმ დასავლეთში, რომელსაც ვითომდა ეტრფის ეს ე.წ. ელიტა, რომელიმე სახელმწიფო მოხელის სავარაუდო კომპრომატის შესახებაც რომ გახდეს ცნობილი, ისინი სახელმწიფო ინტერესე-



ბიდან გამომდინარე, თანამდებობას ტოვებენ, საქართველოში კი თურმე არავისი გასარჩევი არ ყოფილთა მავანთა პირადი ცხოვრება, ვითომ ვერ ხვდებიან, სინამდვილეში რასთან გვაქვს საქმე.



დავუბრუნდეთ ჩვენი სტატიის თემას და გავიხსენოთ, როგორ გადაწყვიტეს აგენტურის პრობლემა ბალტიისპირეთის პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებმა, მათ დამოუკიდებლობის მიღებიდან მოკლე ხანში მოახდინეს ლუსტრირება, ყველა აგენტი გაშიფრეს და უთხრეს, რომ საპასუხისმგებლო თანამდებობებს ვერ დაიკავებდნენ. იგივე მოხდა გერმანიის გაერთიანების შემდეგაც, გაირკვა, რომ ყოფილი გდრ-ის ყველა მესამე მცხოვრები გერმანული სპეცსამსახურების, ანუ „კაგებეს“ აგენტი იყო. საქართველოში თუ მეტი არა, ნაკლები ნამდვილად არ იქნება ასეთი, მათ შორის პოლიტიკურ სპექტრშიც, აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ისევ „კაგებე“ გვმართავს.

პრეზიდენტყოფილ სააკაშვილისთვის რომ გეკითხათ, რუსეთის „დაუძინებელი“ მტერი იყო, არადა საქართველოს სტრატეგიული ობიექტების უმეტესობა ხონჩით მიართვა რუსეთს, ფეშქაშად კი ტერიტორიებიც დაურთო, იმიტომაც არაერთხელ დასმულა კითხვა, იყო თუ არა მიხეილ სააკაშვილი „კაგებეს“ კადრი. ეს კითხვები მარტო სააკაშვილის მიმართ არ უჩნდება საზოგადოებას, ახლახანს „პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი ირმა ინაშვილი რესპუბლიკელ ლევან ბერძენიშვილს ფეისბუქით ასე გამოეხმაურა - ბერძენიშვილმა „ტაბულას“ ეთერიდან თქვა, მე და ღმერთი სხვადასხვა ლიგაში ვთამაშობთო. ღმერთი სტუკაჩოვების ლიგაში არ არის, იქ ძირითადად წითელი ეშმაკუნები თამაშობენ. ლევან ბერძენიშვილმა, თავად „კაგებეს“ „სტუკაჩმა“ და „ნასედკამ“ მორიგი ცილი დამწამა, ახლა არც მეტი არც ნაკლები, პუტინთან ერთობლივ შეთქმულებაში „მამხილა“ - თინა გამყალბებლოვა, დავით კომუნისტინი და ძმები სტუკაჩოვები თვით პუტინის სამიზნე ყოფილან!!! ებრძვის თურმე ამ ბუმბერაზებს სრულიად რუსეთი და ვერ ერევა, ახლა გოგი თოფაძისთვის მოუმართავთ რამე გვიშველეთო.

ჩვენ არც ირმა ინაშვილის ადვოკატობას ვაპირებთ და არც რესპუბლიკელების ბრალმდებელ-პროკურორობას, მაგრამ ერთს კი ვიტყვით, თუნდაც ამიტომაა საჭირო ლუსტრაციის კანონის მიღება, რომ ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას და ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდეს ამ წამოძახებების ეპოქა. თინა ხიდაშელი თავდაცვის მინისტრად რომ დანიშვნას საზოგადოებაში, რბილად რომ ვთქვათ, არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოყვა. პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი დავით გაგნიძე ქალბატონი ხიდაშელის თავდაცვის მინისტრობას საქართველოს სირცხვილად აფასებს. ისიც ითქვა, რომ ამ ქალბატონის გაუაზრებელი განცხადებები რუსეთთან დაპირისპირებას გაამწვავებდა. საზოგადოებაში გაჩენილ იმ მოსაზრებას, რაღა ვუყოთ, რომ რუსი დიპლომატის გრიგორი კარასინის მიერ გაკეთებული განცხადება, ხიდაშელისთვის გადაგდებული მაშველი რგოლი იყო? ამ საზოგადოებას ისიც კარგად ახსოვს, ქალბატონი თინათინის თანამეცხედრე, აწ პარლამენტის სპიკერი დავით უსუფაშვილი, 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ რომ შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში. ჩვენ ამ ინფორმაციის სიზუსტეზე თავს ვერ დავდებთ, მაგრამ ფაქტია, რომ ამაზე მთელი თბილისი ლაპარაკობს. სხვათა შორის, ძმები ბერძენიშვილების „კაგებესთან“ კავშირზე მარტო ირმა ინაშვილს არ უსროლია გაბრაზებულ გულზე რეპლიკა. რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს, მის წარმატებული კარიერას, რომ „კაგებეშნიკ“ ბიძას უკავშირებენ, ესეც გეცოდინებათ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისაღებ გამოცდებზე ჩაჭრილი მიშას კიევის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტში მოწყობასაც ბიძამისის თემურ ალასანიას დამსახურებად მიიჩნევენ, რადგან ამ ინსტიტუტშიც თურმე ძირითადად „ნომენკლატურული“ პერსონების საახლობლო ირიცხებოდა. რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთმა მოქმედმა პოლიტიკოსმა ღიად თქვა, მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთული „ვოიაჟი“ ჯაბა იოსელიანმა დააფინანსაო, იგულისხმება კიევის ინსტიტუტიდან გარიცხული სააკაშვილის „ცოდნის ამაღლების“ მიზნით ოკეანისგაღმა ვიზიტი. რატომ უნდა დაეფინანსებინა „კანონიერ ქურდს“ „კაგებეშნიკის“ დისწულის სწავლა-განათლება, ეს ხომ ნათლად ადასტურებს კრიმინალური სამყაროსა და „კაგებეს“ ალიანსსო, იკითხა „საერთო გაზეთის“ სანდო და კომპეტენტურმა წყარომ, რომელიც ამტკიცებდა, რომ „შავ სამყაროს“ საბჭოთა კავშირის უშიშროების სამსახური კურირებდა. ამ თემაზე „საერთო გაზეთი“ ადრეც წერდა.

არასამთავრობო სექტორში დაფრთიანებული და შემდეგ მსხვილ საჯარო ფიგურებად ქცეული კონტიგენტიც სერიოზულ ეჭვებს ბადებს საზოგადოებაში, რადგან ვერ გაარკვია, რეალურად ვის ინტერესებს ემსახურება ეს ხალხი. არაფრით გამორჩეული ოჯახების შვილებს, ქონებას ვგულისხმობთ, ბნელ და მშიერ 90-იან წლებში ამერიკულ და ევროპულ პრესტიჟულ უნივერსიტეტებში ჩარიცხვა, რამდენიმე წლიანი სწავლა და დიპლომის მიღებაც მოუხერხებიათ, აქედან გამომდინარე ჩნდება კითხვა, საიდან ამის შესაძლებლობა, როცა ამერიკამდე მარტო ჩასვლა ჯდება 1000 აშშ დოლარი. ვინ იყო ამდენი „სწავლას მოწყურებული“ ახალგაზრდის სპონსორი, შემთხვევით რომელიმე ქვეყნის სპეცსამსახური ხომ არა? ვფიქრობთ, ამ ყველაფერს კარგად ხსნის ჩვენი ანონიმი რესპოდენტის ერთი ადრინდელი ინტერვიუ, რომელსაც, როგორც ჩანს აქტუალობა არ დაუკარგავს. ჩვენ დამოუკიდებლობის მიღებისთვის ვიბრძოდით, მაგრამ წარმოდგენა არ გვქონდა შემდგომში რა უნდა გვეკეთებინა. 80-იანი წლების მიწურულს უამრავი პარტია შეიქმნა, რომლებმაც ერთმანეთს დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა, თუმცა საზოგადოება მაშინვე ხვდებოდა, რომ ეს ყველაფერი ხელისუფლებაში მოსვლას ემსახურებოდა. ამასობაში საკავშირო კომუნისტური პარტია და სუკი (სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი) დროს არ კარგავდნენ, ყველა სამინისტროს, განსაკუთრებით კი უშიშროების და სამართალდამცავ სტრუქტურებს თავისი ერთგული კადრებით აკომპლექტებდნენ, რა თქმა უნდა ეს ქართველი „კაგებეშნიკების“ ხელით ხდებოდა, რომლებიც შემდგომ „წარმატებული“ ბიზნესმენები გახდნენ, ცენტრა-

ლური სუკ-ის გაუქმების შემდეგ, ეს ხალხი, ანუ მათი ერთგული კადრები მსხვილი საწარმოებისა და კომპანიების უშიშროების სამსახურებში გადაანაწილეს. პოსტსაბჭოთა საქართველოში საკვანძო თანამდებობებზეც ეს ხალხი ინიშნებოდა, ეკონომიკური ბერკეტების მქონე ნაძირალების მოვალეობა იყო აქ მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და მოსკოვში გადაგზავნა, მოქმედი საწარმოების დანგრევა-განადგურებისთვის ხელის შეწყობა, კრიმინოგენური სიტუაციის ხელოვნურად დაძაბვა, სამხედრო გადატრიალებისთვის ნიადაგის მომზადება. ჩვენ გვეგონა, რომ ორ მოწინააღმდეგეს, კომუნისტურ პარტიასა და „კაგებეს" ვებრძოდით, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ ამერიკის ხელმძღვანელობა მათთან ალიანსში იყო. მათი საბოლოო მიზანი იყო, რომ ჩვენი მოსახლეობა მიმხვდარიყო რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობის აუცილებლობას და თვითონ წასულიყო ამ ნაბიჯზე. ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი ხვდება, რომ დღეს ზუსტად ეს ვითარებაა. წყაროს განცხადებით, ის ე.წ. საძმოები სწორედ „კაგებეს" ხელდასმით იქნა შექმნილი, მერე ყველა ალაგმეს და გაანადგურეს, უვნებლად მხოლოდ ე.წ. ვერის საძმო გადარჩა, უფრო მეტიც, ყველა მსხვილ ბიზნესში მისი წევრები არიან, ზოგი მაღალჩინოსანიც გახდა, მაგალითად ნიკა რურუა. გიორგი რამიშვილი იგივე „ზარალა" დღესაც ერთ-ერთი სერიოზული ბიზნესმენის სტატუსს ინარჩუნებს, მისი ბიძაშვილი დიმა რამიშვილი (პატარა „ზარალა") თურქეთში ფლობდა ბიზნესს, ამავე საძმოს წევრმა ლევან კაჭარავამ („ტილიკა") „თბილისის წყალი" შეჭამა. წყარო იხსენებს, როგორ აბარებდა სააკაშვილი პრეზიდენტის რანგში ნიკა რურუას ანგარიშს თუ რა გაკეთდა. კითხვა არ გაგიჩნდათ, ვინ იყო რურუა, რომ პრეზიდენტს მისთვის ანგარიში ჩაებარებინა. ნიკა რურუა ამერიკიდან თავის დროზე ზურაბ ჟვანიამ ჩამოიყვანა, რადგან ხვდებოდა რომ საქართველოში მიმდინარე პროცესებს საეჭვო რეპუტაციის ხალხი ჭირდებოდა, რურუას „აღზევება" კი სააკაშვილის დამსახურება ყოფილა. ერთ-ერთი „ზარალას" მამა ცეკას ინსტრუქტორი ყოფილა, იმ პერიოდში საქართველოს კომპარტიაში სულ ოთხი ინსტრუქტორი იყო. მამა რამიშვილის ზეობისას (1987-88 წწ) ე.წ. ვერის საძმო, ოღონდ სხვა სახელით, ე.ი. „კაგებემ" ჩამოაყალიბა, რა უნდოდა რურუას აშშ-ში, თუ რუსეთსა და ამერიკას შორის კავშირი არ იყო. თავის დროზე მიხეილ სააკაშვილიც „ჩანერგეს" შევარდნაძის გარემოცვაში, რომელიც ასევე ზურაბ ჟვანიამ ჩამოიყვანა ამერიკიდან და შევარდნაძეს გააცნო. ქართულ სპეცსამსახურებს დიდი ხნის წინ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ 1984 წელს მოწყობილ ქურდულ „სხადნიაკზე" გადაწყდა შეერჩიათ ახალგაზრდები, რომლებსაც დააფინანსებდნენ და საზღვარგარეთ სასწავლებლად გაუშვებდნენ, დაბრუნების შემდეგ კი ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის მთავრობაში შეაგზავნიდნენ. როგორც წინა სტატიებშიც აღვნიშნეთ, „კაგებემ" 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან იცოდა, რომ საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა და წინასწარ ემზადებოდა პოსტსაბჭოთა პერიოდისთვის. სააკაშვილის შემთხვევა კი გაიშიფრა, მაგრამ რამდენი მისნარი „კაგებესა" და „შავი სამყაროს" მიერ დაფინანსებულ-შეგზავნილია თუნდაც დღევანდელ ხელისუფლებაში, არავინ იცის, ამ საქმესთან დაკავშირებით არანაირი დოსიე არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში ჩვენს სამართალდამცავებს არ გააჩნდათ.

**დავით გაგნიძე:** „აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ე.წ. ვარდების რევოლუციამ გაცილებით დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს ქვეყანას, ვიდრე მონღოლმა დამპყრობლებმა. ვინ იყვნენ ამ რევოლუციის „შემოქმედნი" ადრეც მითქვამს და გავიმეორებ,



ესენი იყვნენ „კაგებეს" აგენტურის შთამომავლები და თავადაც გადაბირებულნი ამ სამსახურის მიერ. იმიტომაც გაყარეს ქართული უშიშროების სამსახურიდან (და არა მარტო ამ უწყებიდან) ეროვნულად მოაზროვნე პროფესიონალი კადრები. მითითებასაც რომ თავი დავანებოთ, ბუნებრივი არ აწყობდათ იმ ხალხის ძალოვან სტრუქტურებში ყოფნა, ვინც მათი წარსული კარგად იცოდა. გასული საუკუნის 90-იანი წლები, საქართველოსთვის უმძიმესი პერიოდი, მასობრივი განუკითხაობა ცალკე გამოკვლევისა და დეტალური გაანალიზების საკითხია და დარწმუნებული ვარ, რომ სახელმწიფო დონეზე დადგება ეს საკითხი. ეს იყო დრო, როცა კრიმინალური ჯინი ბოთლიდან ამოუშვეს, რომლის საცეცებიც ანადგურებდა მორალსა და ზნეობას, ადამიანში ჩამჯდარ სატანისტურ ვნებებს აშიშვლებდა. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო სისხლის, ცრემლის და ფულის კულტის დრო. გერმანიის პოლიციისა და სპეცსამსახურების შემქმნელი ვილჰელმ შტიბერი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ამბობდა, რომ კრიმინალის მოსპობა შეუძლებელია, დანაშაული იყო, არის და იქნება. აუცილებელია კრიმინალური სამყაროს კონტროლი. ამისთვის ერთადერთი გზა არსებობს – ჩვენი კონტროლის ქვეშ უნდა მოექცეს კრიმინალური ელიტაო. საბჭოურ კრიმინალურ სამყაროს ელიტასაც სწორედ სპეცსამსახურები აკონტროლებდნენ, რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აქაურობა დატოვა, რადგან მათ მაინც თავიანთი „კანონები" ჰქონდათ, კალიებივით ვერ მოედებოდნენ ქვეყანას და ასე აღვირახსნილად ვერ გაუსწორდებოდნენ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს. ამ ხალხის ადგილი ე.წ. „ბესპრედელშჩიკებმა" დაიკავეს, რომლებიც მოგვიანებით „ვარდოსნების" სახით მოგვევლინნენ, ოღონდ უკვე ევროპულ კოსტუმებსა და ჰალსტუხებში გამოწყობილები და საბოლოოდ ჩაიგდეს ხელში ხელისუფლების სადავეები. მე მათ ორგანიზებულ-დანაშაულებრივ საზოგადოებას დავარქმევდი. არსებობს ორგანიზებულ-დანაშაულებრივი დაჯგუფება, რომელიც დანაშაულობების ჩადენის მიზნით მყარად ჩამოყალიბებული ჯგუფია. ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, ხსენებული დაჯგუფება, შეიძლება ერთი დანაშაულის მიზნით ჩამოყალიბდეს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში, როცა იგი ცხოვრებამ კი არ შექმნა, არამედ უცხო ქვეყნის ზეგავლენით ჩამოყალიბდა, მიზანიც სულ სხვა იყო. დანაშაულებრივ დაჯგუფებებს წინასწარგანზრახული კრიმინალური მიზნები აქვთ, რომელთა წარმატების შემთხვევაშიც, საბოლოო მიზანი ხელისუფლების მიტაცებაა. თავიდან ამ ჯგუფის წევრები ვერც კი გრძნობენ, რომ მათი „მოღვაწეობა" დაჯგუფების ფარგლებს სცილდება და საზოგადოებად ყალიბდება. თუ დაჯგუფება რამდენიმე ლიდერზეა დამოკიდებული, საზოგადოება უკვე პირთა ჯგუფზეა ორიენტირებული და მნიშვნელობა არ აქვს, რომელი რგოლი გამოაკლდება, მისი შეცვლა თავისუფლად შეიძლება. „კანონიერი ქურდების" დროს ყველაფერი ლიდერზე იყო აწყობილი, მოგვიანებით კი უკვე პირთა ჯგუფი წყვეტს, ვინ გახდეს „კანონიერი ქურდი", ვინ პოლიტიკური ფიგურა, ვინ ბიზნესმენი, ვინ სამართალდამცავი და ა.შ. საბოლოოდ ყველას ის იდეა აერთიანებთ, როგორ მოვიდეს მათი ე.წ. საზოგადოება ქვეყნის სათავეში კანონზე მაღლა დადგეს. როგორც გითხარით, ეს ყველაფერი 90-იანი წლებიდან დაიწყო, თუმცა „მოსამზადებული სამუშაოები" 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ჩატარდა, „კანონიერმა ქურდებმა" თითქოსდა ნებაყოფილობით გადასცეს კრიმინალური „დაფნის გვირგვინი" „ბესპრედელშჩიკებს", სინამდვილეში ეს ვიღაცის ბრძანებით მოხდა. საქართველოს ჯერ „კანონიერი ქურდი" მართავდა თავისი „მხედრიონით", მოგვიანებით „მხედრიონიდან" გამოსული ე.წ. საძმოები განაგებდნენ და დღესაც განაგებენ თავიანთ მიერვე მილებული ე.წ. სახელმწიფო კანონებით, რომლებსაც მათი „ჯიბის" პარლამენტები ღებულობდნენ. ამ საძმოების აწ გარდაცვლილი წევრები სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდნენ, რომ მათი „ღირსეული" წარმომადგენელი „ზარალა" (გიორგი რამიშვილი), რომ საქართველოს სამარცხვინო პრეზიდენტყოფილის წარდგენით, ამერიკელ მილიარდერ დონალდ ტრამპს ჩამოართმევდა ხელს და საქართველოს ფაქტობრივ ბატონ-პატრონად იქცეოდა სხვა მისნაირებთან ერთად. ხომ ხედავთ, „ზარალას" გავლენები არც დღევანდელი ხელისუფლების პირობებში შემცირებულა. ჩვენი ქვეყნის ორგანიზებულ დანაშაულებრივ საზოგადოებას ორი დაჯგუფება წარმოადგენს, რომლიდანაც ერთი უპირობო ფავორიტია, „ბესპრედელშჩიკებმა" მოგვიანებით დემოკრატები დაირქვეს, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ბევრმა მათგანმა „ქართული ოცნების" მანტიაც მოირგო, კოალიციურ ვარიანტში თუ თავად ამ პარტიის სახელით, დიდი მნიშვნელობა არ აქვს და „ბრწყინვალედ" ართმევენ თავს მათ წინაშე დაყენებულ ყველა ამოცანას. ერთი სიტყვით, საქართველოს ორგანიზებულ-დანაშაულებრივმა საზოგადოებამ შესანიშნავად მოირგო ხალხისთვის წამებულთა მანტია, ზოგიერთი მათგანი ხომ ამბობს, ამ ქვეყნის სიყვარულისთვის ვიჯექი საბჭოურ „ლაგერში", და წარმატებით შეასრულა მათ წინაშე დასახული სამივე ამოცანა; პირველი პირნათლად შეასრულა რუსეთის დავალება და მთელ მსოფლიოს დაანახა, რომ ჩვენ შეუმდგარი, ჩამოუყალიბებელი ქვეყანა ვართ და ვერასოდეს ავაშენებთ სახელმწიფოს სხვისი კარნახის გარეშე; უპირობოდ შეასრულა აშშ-ის ყველა დავალება საკუთარი ქვეყნის გაყიდვის საქმეში, ნაცხელისუფლებამ უკადრებელი იკადრა, მასიურად გაყარა აბორიგენი მოსახლეობა, დემოკრატიის პრინციპებს ამოფარებულმა, პრაქტიკულად მოსპო თაობები და მათ ქვეყნის წამყვანი მოაზროვნეებიც ზედ მიაყოლა. ამ ორი ამოცანის შესრულებით მათ შემდგომი „მოღვაწეობისთვის" მნიშვნელოვანი მატერიალური მოგება მიიღეს, თუმცა მიიჩნევენ, რომ მათ უღალატეს და უფრო მეტის „აშენება" შეეძლოთ".











**მანანა სუხიშვილი**

599 51 28 24

# ქალაქია თუ კრემატორიუმი?

## თბილისი შეიძლება მალე კოლაფსურ მდგომარეობაში აღმოჩნდეს

### გვესაუბრება საქართველოს ეკოლოგიური აკადემიის წევრი, პროფესორი თემურ ვეკუა

**— ბატონო თემურ, რა ვითარებაა დღეს ჩვენს დედაქალაქში ატმოსფერული ჰაერის სისუფთავის მხრივ?**

— დასაწყისშივე გეტყვით, რომ თბილისში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება კატასტროფულად მაღალია. დაბინძურების ძირითადი წყარო ავტომობილების გამონაბოლქვია, რომლის დროსაც ორასზე მეტი სხვადასხვა ინგრედიენტი გამოიყოფა. მათ შორის ტყვია, ნახშირჟანგი, ბენზონპირენი და სხვები, ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ჩვენთვის უცნობია, რამდენი ინგრედიენტი იზომება თბილისში, ან საერთოდ, იზომება თუ არა ჯანმრთელობისთვის მაღალი რისკების ინგრედიენტები. ან ითვალისწინებენ თუ არა ინვერსიას. აუცილებელია ვიცოდეთ დამაბინძურებლების ეროვნული სტანდარტები. რას ნიშნავს, გეტყვით. დავუშვათ, რომელიმე ნივთიერება, რომელიც აბინძურებს ჰაერს, რამდენია მისი ზღვრული დასაშვები კონცენტრაცია, ანუ დამაბინძურებელი ნივთიერების რამდენი მილიგრამი შეიძლება იყოს ერთ კუბომეტრ ჰაერში. ეს არის ნორმატივები.

**— მოდით, არამეცნიერული ტერმინებით, უფრო პოპულაროლად გვითხარით, რა გვაქვს დღეს და რა უნდა გაკეთდეს ვითარების გამოსასწორებლად.**

— როგორც უკვე გითხარით, თბილისში ატმოსფერული ჰაერის დაბინძUრების მხრივ კატასტროფული ვითარებაა, რაც გამოწვეულია არსებული ავტოპარკით.

**— კონკრეტულად რა ხარისხის დაბინძურება გვაქვს ახლა თბილისში?**

— ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მხრივ ევროპის დედაქალაქებში თბილისი ბოლო ადგილზეა, ანუ ცუდის მხრივ პირველები ვართ. ჩვენთან მხოლოდ რამდენიმე ინგრედიენტი იზომება. გვეუბნებიან, რომ იზომება ათი ინგრედიენტი და ათივე ნორმაშიაო. ზოგიერთი ნორმის ზევითაც არის, მაგრამ რატომღაც არ ითვალისწინებენ კუმულაციის ეფექტს. ახლა გეტყვით, რას ნიშნავს კუმულაციის ეფექტი. მაგალითად, ადამიანს რომ დავალევინოთ ერთი ბოთლი ღვინო, არაყი, ლუდი ცალ-ცალკე შეძლებს, მაგრამ თუ ყველაფერს ერთად დავალევინებთ, მოკვდება. ამით იმის თქმა მინდა, რომ ათი ინგრედიენტი ცალ-ცალკე შეიძლება იყოს ნორმაში, მაგრამ ჯამური ეფექტი შეიძლება სასიკვდილო იყოს. ამას არავინ ითვალისწინებს არც ატმოსფერული ჰაერის და არც წყლის დაბინძურების გაზომვის დროს.

**— რა შედეგები შეიძLება მივიღოთ მომავალში?**

— ჰაერს აქვს გრძელვადიანი შედეგები, შეიძლება უარყოფითი შედეგი ათი წლის შემდეგ გამოვლინდეს, ეს სხვა საკითხია. თბილისის იმ უბნებში, რომლებიც უფრო გადატვირთულია ტრანსპორტის ნაკადით, გავაკეთოთ მოსახლეობის ჯანმრთელობის მონაცემების სტატისტიკა. ხალხი, რომლებიც მუდმივად იმყოფებიან იმ ჰაერში, არის მაღაზიები, ზოგან გარევაჭრობაც, როგორია მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა. დავინახავთ, რომ აქვთ ფილტვების, იმუნური სისტემისა და ალერგიული დაავადებები.

**— ამ კუთხით ჯერ არავის შეუხედავს პრობლემისთვის. გამოდის, რომ, შეიძლება ქალაქის ერთ უბანში, თუნდაც საბურთალოზე ნაკლები დაბინძურება იყოს, რუსთაველის პროსპექტზე კი მეტი.**

— თბილისში აუცილებლად უნდა გაკეთდეს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების კორექტული რუკა. ეს ნიშნავს, რომ უნდა ჩატარდეს გაზომვები იმ ინგრედიენტებისა, რომლებიც ყველაზე საშიშია ჯანმრთელობისთვის, დავიტანოთ ეს ქალაქის რუკაზე, რომლის მიხედვითაც მივიღებთ თბილისის იმ უბნებს, სადაც არის წითელი ზონები, ცხელი წერტილები, სასიკვდილო წერტილები და ნაკლებად საშიში ზონები. წითელი – ეს სახიფათო ზონაა.

**— მსგავსი კვლევები არასოდეს ჩატარებულა ჩვენს დედაქალაქში?**

— – უკაცრავად, მაგრამ კომუნისტების დროს იყო რაღაც გარკვეული პროგრამები და ტარდებოდა ღონისძიება „სუფთა ჰაერი თბილისს". აქ შედიოდა, ავად თუ კარგად, მანქანების ტექნიკური დათვალიერება, მანქანების მუდმივი კონტროლი მოძრაობის დროს. თუ ავტომობილს დიდი რაოდენობის გამონაბოლქვი ჰქონდა, აჯარიმებდნენ, იყო კიდევ სხვა სადამსჯელო ღონისძიებები. დღეს არაფერი იზომება, ჩვენ სიტუაცია არ ვიცით, რაც იზომება, ისიც არასწორად, მოძველებული მეთოდებით. თუ ინვერსია არ არის გათვალისწინებული გაზომვის დროს, ყველაფერი არის შეცდომით. ჩვენ არ ვიცით, ეროვნული სტანდარტები რამდენ ნივთიერებაზეა. ვიცითო, გვეუბნებიან, მაგრამ თუ იციან და აქვთ, გვაჩვენონ. ყველაზე მთავარი ის გახლავთ, რომ არ ითვალისწინებენ კუმულაციის ეფექტს. გვეუბნებიან, იზომება ათი ინგრედიენტი და აქედან რვა არის ნორმის ფარგლებში, ორი ცოტა გადაცდენილია ნორმიდან. ამ დროს ჯამური ეფექტი შეიძლება კატასტროფული აღმოჩნდეს.

**— რომელი სამსახურია თბილისში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების კონტროლზე პასუხისმგებელი?**

— პასუხისმგებლობა საბაჟოდან იწყება, რომელმაც ქვეყანაში არ უნდა შემოუშვას ბენზინი, რომელიც ტყვიას შეიცავს და ასე შემდეგ. კონტროლი ბენზინის ხარისხზე ქვეყანაში ნაკლებად ხორციელდება. ამის გარდა, თავისი წილი პასუხისმგებლობისა გარემოს დაცვის სამინისტრისაც აკისრია. ასევე ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, თბილისის მერია, რომელმაც ქალაქში ტრანსპორტის მოძრაობა უნდა დაარეგულიროს. ზოგიერთ ქვეყანაში კანონით აკრძალულია შუქნიშანთან ძრავის გამორთვა, რადგან მანქანის დაქოქვისას გამოიყოფა დიდი რაოდენობის გამონაბოლქვი. აუცილებლად უნდა დადგინდეს, თბილისში რომელ ადგილებშია ცუდი მდგომარეობა ჰაერის დაბინძურების მხრივ. თუმცა, სადაც არის მანქანების საცობები, იმ ადგილებში ამას დიდი კვლევა არ სჭირდება.

**— თუ არსებობს სამსახური, სადაც თავს უნდა იყრიდეს თქვენს მიერ ჩამოთვლილი პრობლემები?**

— ეს უნდა იყოს გარემოს დაცვის სააგენტო, რომელიც უნდა ზომავდეს და ზომავს რაღაცას, მაგრამ მე ვამტკიცებ და უცხოელებთან შეხვედრის დროსაც ვთქვი, რომ არასწორად ზომავენ, არასწორ შედეგებს, რეკომენდაციებს გვაწვდიან. ჩვენ არ უნდა მოვერიდოთ აკრძალვით მეთოდებს ტრანსპორტის კუთხით. თუ არ იქნება მკაცრი კანონები, მერწმუნეთ, რომ ქალაქი მალე კოლაფსში აღმოჩნდება. კოლაფსი იქნება ის, რომ ქალაქის მოსახლეობაში მოიმატებს ავადმყოფობები და უკვე მომატებულია. გავიმეორებ, ეს გახლავთ სასუნთქი ორგანოები, დაქვეითებული იმუნური სისტემა და ალერგია. ყველა ესენი არის ეკოლოგიური ეტიოლოგიის წარმოშობის ავადმყოფობები. ჩვენ რომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ვთხოვოთ სტატისტიკური მონაცემები, რომელი ავადმყოფობა როგორ მოძრაობს, დავინახავთ, რომ ყველა მათგანი ჰაერით არის გამოწვეული. ჩვენ რომ უცხოელებს ჰაერის დაბინძურების ზუსტი მონაცემები ვაჩვენოთ, დამერწმუნეთ, აქ არავინ ჩამოვა. წყალთანაც გავაკეთებ მცირე პარალელს. გახსოვთ, ცოტა ხნის წინ თბილისში ამებიოზი იყო გავრცელებული. ეს გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ, უკაცრავად და, მთელი კანალიზაცია მტკვარში ჩაედინება. თავის დროზე 73 წერტილი დავადგინე, რომლითაც არასანქცირებულად ჩადის მტკვარში დაბინძურებული წყალი. ახლა არ ვიცი, მაგრამ ერთი პერიოდი ონკოლოგიური ნარჩენებიც ჩაედინებოდა მტკვარში.



**— ბატონო თემურ, თქვენ მანქანების გამონაბოლქვზე საუბრობდით. ქალაქში არსებული ბენზინგასამართი სადგურები თუ ახდენენ გავლენას ჰაერის დაბინძურებაზე?**

— თუ იცის ვინმემ, რამდენი ბენზინგასამართი სადგური და დისლოკაცია კანონის დარღვევით არის თბილისში. გადით და ნახეთ, თუნდაც თამარაშვილის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლებთან არის ერთიმეორის მიყოლებით ბენზინგასამართი სადგურები. ძველი სტანდარტებით, 60 მეტრით მაინც უნდა იყოს დაცილებული სადგური სახლებისგან. ჩვენ ევროპისკენ მივდივართ, მაგრამ იქაური სტანდარტები რომ მივიღოთ, აქ ყველაფერი უნდა გაქვავდეს. გავაკეთე დასკვნა და ევროინტეგრაციის მინისტრსაც გავუგზავნე. შეხედეთ ჩვენს სადარბაზოებს, ქუჩებს, ნაგვის გატანის სტრუქტურას, რომელიც გვაძლევს ადამიანის კულტურის შეფასებას. რამდენი საზოგადოებრივი საპირფარეშოა ქალაქში. რაც არის, ზოგიერთი სულ რომ არ იყოს, ჯობია. შეკითხვა დავსვი თუ რა პირობებს გვიყენებენ ევროკავშირში გაწევრიანებისთვის ეკოლოგიური კუთხით – პირობები უნდა დაიცვა. თუ ჩასვრილი ხარ, მაშინ შენი ადგილი არ არის ევროპაში. ევროპა ნიშნავს კულტურას, სისუფთავეს და კიდევ ბევრ სხვას. დადებითსაც და უარყოფითსაც. გარდა ამისა, მანქანების სავალი ნაწილის 60 მეტრში სხვადასხვა ნარჩენებით, მათ შორის, ტყვიითაც არის დაფენილი. უბედურება ის არის, რომ იქ პროდუქტებსაც ყიდიან. ყველაფერი ეს მისახედია, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მომავალი თაობა ბავშვობიდანვე ავადდება, ალერგია შემოტანილი ხომ არ არის.

**— ეს ხომ კომპლექსური საკითხია...**

— გეთანხმებით. აქ შეხება შვიდ სხვადასხვა უწყებას და სამინისტროს აქვს.

**— ქალაქის განაშენიანებაზეც ვისაუბროთ. კოსპუსები ისე შენდება, ერთმანეთს არიან მიბჯენილი.**

— ეს ტრაგედიაა. ელემენტარულად, კორპუსებს ხომ აქვს სანიტარული ქსელები. თბილისი უკვე შესულია მუდმივი ავარიების ციკლში. ერთ უბანს წყალი არ ექნება, მეორეგან საკანალიზაციო სისტემა მოიშლება, იქ შუქი გამოერთვებათ. ვერ უძლებს ქალაქი იმ დატვირთვას, რომელიც იყო ადრე გათვლილი.

რას ვუტოვებთ მომავალ თაობას, ამაზე დავფიქრდეთ. ნახეთ, რამდენი ავტოსამრეცხაო და რესტორნებია. სად მიდის მათი კანალიზაცია? ჯერ გარდაბანში და შემდეგ მტკვარში. რას ნიშნავს ინვესტორი? ჩადო, მაგალითად, 5 მილიონი, სამაგიეროდ, ათმაგი უნდა ამოიღოს და ამდენივე ეკოლოგიური ზარალი დატოვოს. ქვეყანაში ინვესტორი რომ შემოდის, უნდა დაუწესო ეკოლოგიური მოთხოვნები. ნარჩენების საკითხი ცალკე თემაა. დასნეულებული საქონლის, თუნდაც ჯილეხიანის სამარხების რუკა არ არსებობს. შეიძლება ადამიანმა იყიდოს მიწის ნაკვეთი და იქ სამარხი აღმოჩნდეს. ვიდრე ევროპელები ჩვენს ნაწარმს იყიდიან, ჯერ ნიადაგს შეამოწმებენ.

**— თბილისის მერიაში ამ საკითხებზე რატომღაც არ საუბრობენ.**

— მერიას აქვს ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახური. ერთი ვნახოთ, რა გეგმები აქვთ. ამათ უცხოელების იმედი აქვთ. ქალაქში ისეთი არეული სიტუაციაა, რომ პრობლემების მოგვარება ზოგჯერ შეუძლებელიცაა. ეკოლოგიის საკითხები ყველა დარგის სპეციალისტების საზრუნავია.



გია ბურდული
551 71 27 07

# „სიყვარული იურიდიულ განმარტებებს არ საჭიროებს...“

უტიფარი ლაპარაკი საქმის კეთების ნაცვლად! – აი, რესპუბლიკელების ლოზუნგი, თუმცა პრაქტიკამ აჩვენა, რომ მთლად უქმად არ მსხდარან და ვიდრე ხელისუფლების მაღალ იერარქიებში გაინავარდებდნენ, ჯერ „კგბ“-ს დამსმენებად უმსახურიათ, შემდეგ კომუნისტურ პარტიაშიც დიდი მოკრძალებით შებრძანებულან, შემდგომ ამისა „ერის კაცებად“ გადანათლულან, მოგვიანებით ყოვლისმცოდნელთა იერსახით – რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციები ჩამოუყალიბებიათ და „კომუნისტური აღტკინებით“ ჩრდილოეთისკენ მოცქირალნი ახლა უკვე დასავლეთისკენ „გადახრილნი“ ივიწყებენ საკუთარ წარსულს! „მადლობა მშობლიურ პარტიას“ (კომუნისტურს) – აი, მათი შინაგანი მდგომარეობა და როგორც ყორანი არ გათეთრდება, ისე რესპუბლიკელების ჩეკისტური წარსული ვერ გაიხეხება.



„საერთო გაზეთის“ წინა ნომერში გესაუბრეთ იმაზე, რომ რესპუბლიკელებს და ნაც.მოძრაობას ერთი ფესვი აქვთ, ერთ კონკრეტულ გარემოში აიყარეს ტანი და ერთი სახელშეცვლილი სისტემა უნოყიერებდათ ნიადაგს.

ვწერდით იმასაც, რომ სააკაშვილის რეჟიმის დროს რესპუბლიკელების ოჯახის წევრები დასაქმებულებიც იყვნენ და მაღალ თანამდებობებზეც მსახურობდნენ, იღებდნენ სოლიდურ ხელფასებს და იმავდროულად, ხალხის თვალის ასახვევად სააკაშვილს ვითომცდა ოპოზიციაში ედგნენ! რესპუბლიკელების მიერ შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციები, მსუყედ ფინანსდებოდნენ დასავლეთიდან და სააკაშვილთან ერთად თვალს ხუჭავდნენ ისეთ დანაშაულებებზე, რომელთა მხილება არათუ აუცილებელი, არამედ მათი პირდაპირი მოვალეობა იყო!

მოკლედ, „რესპუბლიკელების“ მზე, მართალია, 35 წლის შემდეგ, მაგრამ მაინც ნელ-ნელა ჰორიზონტზე ეშვება და ვიდრე საბოლოოდ ჩაქრება, მოდით, კიდევ ერთ ნაკომუნისტარ, დღეს უკვე დემოკრატად გადანათლულ, ევროპული ღირებულებების კომუნისტურად დამცველ ვაჟკაცზე მოგიყვებით, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი ჩააბარა საქართველომ...

როგორც ბატონი დავითის ოფიციალური ბიოგრაფიიდან ირკვევა, იგი, პარტბილეთით ჯიბეში ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას 1989-1995 წწ. პერიოდში საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი და იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ყოფილა! შემდეგ სახელმწიფო საბჭოს წამყვანი იურიდიული მრჩეველიც გამხდარა, შევარდნაძის აპარატის მთავარი იურიდიული მრჩეველი, იმავდროულად, საკონსტიტუციო კომისიაში პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელიც ყოფილა და ა.შ., ხომ?

მაგრამ... ბატონი დათოს ბიოგრაფიაში (არადა, ეს სავალდებულოა) არსად წერია ის, რომ იგი კომუნისტური პარტიის წევრი გახლდათ და რომ ამ პარტიაში გაწევრიანდა ამა და ამ წელს და პარტიის რიგები დატოვა კონკრეტულ წელსა და რიცხვში!!!

მის ბიოგრაფიაში აგრეთვე არსად იკითხება – სინამდვილეში რამდენი შვილი ჰყავს, ნაცვლად მითითებული ორი ვაჟისა – ალექსანდრეს და გრიგოლის გარდა!

დიახ, ბატონი დავითის ოფიციალურ ბიოგრაფიაში, ვერსად ვკითხულობთ მის კიდევ ერთ შვილზე, უფროს ვაჟზე, რომელსაც, მართალია, მამა საგულდაგულოდ კი მალავს, მაგრამ ეს ისტორია დღევანდელი პარლამენტის გარდა, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმაც შესანიშნავად იცოდნენ და საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა ხომ იცოდა და იცოდა!

პირადი ცხოვრება ხელშეუხებელიაო! დიახ, ხელშეუხებელია იქამდე, ვიდრე ესა თუ ის პიროვნება სახელმწიფო მოღვაწე გახდება და ვიდრე ამ ჩინოვნიკს ხალხი უხდის ხელფასს!!! და, რადგან ეს ასეა, მოდით, დავით უსუფაშვილის შვილზე ვისაუბროთ, რომელსაც აგრეთვე დავითი ჰქვია და რომელსაც მამისგან მხოლოდ გვარი განასხვავებს, რადგან მამამ შვილს გვარი – უსუფაშვილი კანონით არ მიაკუთვნა!!!



„ახალგაზრდობის შეცდომა“ – ასე განმარტავს იურისტი დავით უსუფაშვილი პირველი შვილის დაბადების ფაქტს! იმავდროულად, პატარა ბავშვს უფლებას ართმევს, ატაროს ბიოლოგიური მამის გვარი და მთელ ცხოვრებას უმწარებს! რადგან გვარი უეჭველად უნდა ჰქონოდა – პატარა დათო დედის გვარით დაარეგისტრირეს და იმ დროიდან დავით უსუფაშვილის სიყრმის შვილი დედის გვარით წარდგა ბაღში, სკოლაში და შემდგომ უკვე იმ უმაღლეს სასწავლებელში, სადაც ზრდილ, ნიჭიერ და შრომისმოყვარე ახალგაზრდად აფასებდნენ პროფესორ-მასწავლებლები!!!

როგორც ეტყობა, აწ უკვე პარლამენტის თავმჯდომარეს სინდისის ქენჯნამ იმ ასაკში შეახსენა თავი, როდესც მის შვილს გავლენიანი მამის ხელისშეწყობა დასჭირდა, ჰოდა, მამამ არც მეტი და არც ნაკლები – საკუთარი შვილი იმ ბანაკში მიიყვანა, რომელსაც საზოგადოება „ნაცმოძრაობის“ სახელით იცნობს და რომლის ბელადიც, შევარდნაძისდროინდელ სახელმწიფო საბჭოს იურიდიული მრჩეველისათვის კარგად ნაცნობი იყო! ანუ დავით უსუფაშვილმა პირველი ვაჟი მიშა სააკაშვილს მიაბარა „ნაცმოძრაობის“ ახალგაზრდულ აქტივში, მაგრამ იქიდან ხელისუფლების შეცვლამდე თუ შეცვლის შემდეგ, მისი ვაჟი საკუთარი ნებით წამოსულა!

ძვირფასო მკითხველო! როგორც თავში აღვნიშნე – პირადი ცხოვრების უფლება თითოეულ ჩვენთაგანს აქვს, იქნებ იურისტმა და დღევანდელმა პარლამენტის თავმჯდომარემ განმარტოს – რა მოსაზრებით უმალავს საზოგადოებას პირველი შვილის არსებობის ფაქტს, თუკი დღეს ყველაფერზე საუბრის და ყველაფრის კეთების უფლება დაშვებულია?!

კი, ბატონო, თუ სურს, ნუ გვიპასუხებს, მაგრამ იქნებ ეყოს გამბედაობა და ის მაინც თქვას, რომ – თავის დროზე, მის მიერ უარყოფილი დედა-შვილი სწორედ იმ ბანაკში რატომ მიიყვანა სამუშაოდ, რომელსაც „რესპუბლიკური პარტია“ ხალხის თვალის ასახვევად თითქოსდა ებრძოდა?! ისიც ხმამაღლა თქვას, რომ მისი მეუღლის თინა ხიდაშელის ალალი ძმაც „ნაცების“ შსს-ში მუშაობდა და ბოლოს ისიც განგვიმარტოს, რის საფუძველზე გაათავისუფლეს იგი დაკავებული მაღალი თანამდებობიდან?!

ამასწინათ „საერთო გაზეთში“ ჩემს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში ზურაბიშვილის პატიმრობის შესახებ რომ ვწერდი, ხომ აღმოჩნდა სიმართლე და „რესპუბლიკელმა“ დავით ზურაბიშვილმა ერთ-ერთ საინფორმაციო სააგენტოსთან ხომ დაადასტურა, რომ წარსულში დაპატიმრებული მართლაც იყო? ოღონდაც ჩვეული მიკიბვ-მოკიბვით არ უთქვამს მთავარი – რა მუხლით იყო დაკავებული და რატომ გაათავისუფლეს ვადაზე ადრე?! აქვე ვაანონსებ! ზურაბიშვილი რატომაც დააპატიმრეს და თვენახევარი რატომ იჯდა ციხეში, უახლოეს მომავალში დავწერ!

ასე რომ, ვიდრე „რესპუბლიკელებს“ მზე საბოლოოდ დაუბნელდებათ, საქართველომ უნდა იცოდეს – ვის აძლევს ხმას არჩევნებზე და ისიც უნდა იცოდეს, სინამდვილეში რას წარმოადგენენ ამა თუ იმ პარტიების ლიდერები როგორც პირადი ცხოვრების კუთხით, ასევე საიდუმლოდ დაფლული კავშირების შესახებ, რომელსაც ასე საგულდაგულოდ უმალავენ საზოგადოებას!



როგორც კი დავით უსუფაშვილის უფროსი ვაჟის შესახებ ინფორმაცია მივიღე, ჩემს „ფბ“ გვერდზე იმავე ადამიანმა გამომიგზავნა დედა-შვილის ფოტოებიც... ჩემდა გასაკვირად, ფბ პოლემიკის დროს, შემოგვიერთდა თვითონ უსუფაშვილის ვაჟიც და ჩაერთო პოლემიკაში ზუსტად მაშინ, როდესაც მე დავსვი ასეთი შეკითხვა – კი, მაგრამ ასეთი კარგი შვილის დამალვას რა სინდისით კადრულობს უსუფაშვილი-თქო? „მე არსადაც არ ვიმალები, ქალბატონო ირა“, – მომწერა მან და მეტი აღარაფერი დაუწერია... თუმცა, ყველაზე ძალიან ამ მიმოწერაში, იცით, რამ განმაცვიფრა? არცერთი ზედმეტი სიტყვა „შენ ვინ გეკითხება“, ვინ მოგცა უფლება სხვის ცხოვრებას რომ განიკითხავ“ და ა.შ., იმ ბიჭს არ დასცდენია და ეს იცით, რატომ? იმიტომ, რომ ალბათ გულში ჯერ კიდევ ბავშვობიდან ოცნებობდა ყველას სცოდნოდა მისი მამა ვინ იყო, ყველას სცოდნოდა – ბაღელს, სკოლელს, თანაკურსელს და თუნდაც იმ მეზობლებს, რომლებსაც ასე უყვართ მსგავსი ამბები!

ჰოდა, ამიტომ, ბატონო დავით უსუფაშვილო, იმიტომ, რომ მეც გიხდით ხელფასს (ისევე, როგორც მთელი საქართველო) აღიარეთ, რომ რაც დღეს „საერთო გაზეთში“ დაიწერა, სიმართლეა და აღიარეთ ისიც, რომ შვილის დამალვა ბიოგრაფიაში – მამაკაცის მხრიდან ყველაზე ულირსი საქციელია!!!

ერთი ლექსი გამახსენდა თქვენს მიერ „ახალგაზრდობის შეცდომად“ მონათლული ფაქტის გამო რატომღაც და ეს წერილიც ამ ლექსის ერთი სტრიქონით მინდა დავამთავრო... „სიყვარული იურიდიულ განმარტებებს არ საჭიროებს.“

**ირინე გოგოსაშვილი**
555 254 335

# ძლიერი რეგიონები


გორი

## გორში კიდევ რამდენიმე ბაგა-ბაღი გაიხსნა

გორის მე-12 ბაგა-ბაღში 3 სააღმზრდელო ჯგუფი გაიხსნა და მთლიანობაში 7 ჯფუფითა და 250 აღსაზრდელით დაწესებულება სრული დატვირთვით ამუშავდა.

ახალი აღსაზრდელები დღეს მერიის განათლების განყოფილების თანამშრომლებმა მოინახულეს და სააღმზრდელო პროცესსაც დაესწრნენ.

მე-12 ბაგა-ბაღის შენობა 2012 წლის დეკემბერში ძლიერი ხანძრის შედეგად დაიწვა. ბაღმა ფუნქციონირება 2015 წლის 24 დეკემბერს აღადგინა, როცა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა და ოფიციალურად გაიხსნა.

დამატებითი ჯგუფებისთვის ინვენტარისა და სასწავლო მასალის შესაძენად საჭირო თანხები ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მიმდინარე წლის 16 მარტის საკრებულოს სხდომაზე მიღებული დადგენილებით აისახა.

განათლების განყოფილების ხელმძღვანელის ნინო ბერიანიძის განცხადებით, დღეისათვის ქალაქ გორში 18 მუნიციპალური საბავშვო ბაგა-ბაღი ფუნქციონირებს, რომლებიც 3338 აღსაზრდელს ემსახურება და რადგან მოთხოვნა უფრო მეტია, ბაღების სერვისის უფრო მაღალი ხელმისაწვდომობის მიზნით, მერიის შესაბამისი სამსახურები სადგურის დასახლებაში ახალი ბაგა-ბაღის მშენებლობის საკითხს აქტიურად განიხილავენ.

## კახეთის გუბერნატორმა გაეროს ელჩებს უმასპინძლა

გაერო-ში აკრედიტებულ მუდმივ წარმომადგენლებს კახეთის გუბერნატორმა ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან და საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად კახეთში უმასპინძლა. გაერო-ში კოსტა-რიკის, ფიჯის, გვატემალას, ჰონდურასის, მალავის, პანამის, სიერა-ლეონეს, ტანზანიისა და ზამბიის ელჩებმა ყვარელი დაათვალიერეს. კახეთის გუბერნატორმა ირაკლი შიოლაშვილმა და გაერო-ში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა კახა იმნაძემ დიპლომატებს კახეთის რეგიონის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს.

ელჩები ყვარელში კომპანია „მეღვინეობა ხარებას" ესტუმრნენ, სადაც გვირაბში მდებარე ღვინის საცავი დაათვალიერეს. დელეგაციის წევრებმა დააგემოვნეს ღვინო და მონაწილეობა მიიღეს პურის გამოცხობასა და ჩურჩხელის ამოვლებაში.

გაერო-ში სხვადასხვა ქვეყნის მუდმივი წარმომადგენლები საქართველოში მიმდინარე რეფორმებს და რეგიონში არსებულ ვითარებას 28 მარტიდან ეცნობიან. ვიზიტის ფარგლებში, მათ შეხვედრები გამართეს როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ესტუმრნენ იუსტიციის სახლს და შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, აგრეთვე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის რეგიონალურ ოფისს, დაათვალიერეს დევნილთა დასახლებები.

## დუშეთი: გამოფენა კულტურის სახლში

დუშეთში, კულტურის სახლის ფოიეში მოეწყო გამოფენა „თანამედროვე ქართული სახელმწიფო სიმბოლოები", რომლის ორგანიზატორია პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო.

წარმოდგენილი იყო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ შექმნილი და დამტკიცებული საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები, მათ შორის ავტონომიური რესპუბლიკის, თვითმმართველი ორგანოების გერბები და დროშები, სახელმწიფო და უწყებრივი ჯილდოები, უნიფორმები, ფულადი ნიშნები და სხვ.

ასეთი გამოფენის მიზანია სახელმწიფო სიმბოლოების პოპულარიზაცია, საზოგადოების ინფორმირება, თუ როგორ ვითარდება თანამედროვე ქართული სიმბოლიკა, სახელმწიფო ატრიბუტიკა, მათ შორის ნუმიზმატიკა, ჰერალდიკა.

გამოფენის გახსნას ესწრებოდნენ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვაჟა ჩოხელი, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ლაფანაშვილი, საზოგადოების წარმომადგენლები.


დუშეთი

## „ბლაუენშტაინ საქართველოს" ფერმები რაჭაში

18 მილიონი ლარის ოდენობის ინვესტიცია, რამდენიმე საწარმო რაჭაში და 60-მდე დასაქმებული ადამიანი, – ეს კომპანია „ბლაუენშტაინ საქართველოს" საქმიანობის ანგარიშია, რომლის პრეზენტაციას საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი დაესწრო.

„ბლაუენშტაინ საქართველოს" სათავო ფერმა რაჭის რეგიონში, სოფელ შარდომეთში მდებარეობს. მესაქონლეობის დარგში ერთ-ერთი მოწინავე კომპანია, შვეიცარიელ პარტნიორებთან თანამშრომლობით, აწარმოებს ნატურალურ და ხარისხიან პროდუქციას ევროპული სტანდარტების დაცვით.

პრემიერმა კომპანიის დამფუძნებლებს, მაქს ბლაუენშტაინსა და ირაკლი კერვალიშვილს წარმატებული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მთავრობის მოტივაციაა, პროექტი კიდევ უფრო განვითარდეს.

„ვფიქრობ, ამ პროექტის პოტენციალი ასმაგია. ის საპილოტე მოდელი, რომელიც საქართველოში დაინერგა, ყველაზე მეტად ესადაგება ქართულ სასოფლო-სამეურნეო წარმოების კულტურას და პროექტში ჩართული თითოეული ადამიანის მოტივაციას. როდესაც 2013 წელს პირველად შევხვდით და თქვენ ეს პროექტი წარმოადგინეთ, მივხვდით, რომ ეს არის მოდელი, რომელიც წვრილ მეწარმეს უნარჩუნებს მესაკუთრის ამბიციას და ამავე დროს იძლევა საშუალებას, დაინერგოს საუკეთესო ევროპული ტექნოლოგიები საქართველოში", – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, პროექტი ასევე ქმნის დაფინანსების საშუალებას და მასშტაბის ეკონომიას, რაც კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას უზრუნველყოფს. ეს არის მოდელი, რომელიც შეიძლება, საქართველოს ყველა რეგიონში გავრცელდეს და კომპანიის დამფუძნებლებს ამ მიმართულებით მთავრობის მაქსიმალური მხარდაჭერის პირობა მისცა.

პრემიერ-მინისტრმა „ბლაუენშტაინ საქართველოს" დამფუძნებლებს მადლობა გადაუხადა.

„ბლაუენშტაინ საქართველო" უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში დამატებით 20 ფერმის შექმნას, ახალი მაღაზიების გახსნას და მერძეული ფერმების განვითარებას გეგმავს.


აბაშა

## აბაშა: სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები

აბაშის მუნიციპალიტეტში „მცირემიწიან ფერმერთა 2016 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის" პროგრამის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები გრძელდება.

აბაშის მუნიციპალიტეტში, ქალაქის ტერიტორიაზე, ე. წ. ჭალის მასივში, შპს „მექანიზატორის" შვიდმა ტრაქტორმა მიწის დამუშავება დაიწყო. აბაშის მუნციპალიტეტის გამგებელი მამუკა კვიტაშვილი ხვნის პროცესის დაწყებას დაესწრო და მიწის მეპატრონეებს შეხვდა. მასთან ერთად იმყოფებოდნენ გამგებლის მოადგილე გია კუცია და ქ. აბაშის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელი დავით ცანავა.

## მესტია: მიხეილ ხერგიანის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო

მესტიის მიხეილ ხერგიანის სახელობის №2 საჯარო სკოლაში „კლდის ვეფხვად" წოდებული მთამსვლელის, მიხეილ ხერგიანის დაბადების დღისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა, რომელსაც მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

საღამო გახსნა №2 საჯარო სკოლის დირექტორმა ნატო გვარლიანმა. მესტიის წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა გიორგიმ (ჩართოლანი) დალოცა დამსწრე საზოგადოება და აღნიშნა მიხეილ ხერგიანის ღვაწლი სვანეთის და მთელი საქართველოს წინაშე.

სახელოვანი მთამსვლელი გაიხსენეს მიხეილ ხერგიანის მოსწავლეებმა, გამოჩენილმა მთამსვლელებმა აფი გიგანმა, რომელმაც ღირსეულად გააგრძელა დიდი მთამსვლელის გზა და მრავალჯერ ასახელა სვანეთი და საქართველო საზღვრებს გარეთ, მიშა გოშთელიანმა, ჯენერ გვარლიანმა და ვიტალი მარგიანმა. საღამოს ესწრებოდა მიხეილ ხერგიანის და ნაზო ხერგიანი. ქალბატონმა ნაზომ დამსწრე საზოგადოებას გააცნო ახალი წიგნი „დღიურები", რომელიც დაფუძნებულია მიხეილ ხერგიანის პირად დღიურებზე. მოსწავლეებმა წაიკითხეს მიხეილ ხერგიანის ბიოგრაფია და აჩვენეს ფილმი ხერგიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

## სენაკის მუნიციპალიტეტში სოფლად პრიორიტეტების განსაზღვრის ეტაპი დასრულდა

სენაკის მუნიციპალიტეტის თოთხმეტივე ადმინისტრაციულ ერთეულში დასრულდა საერთო კრებები „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების შესარჩევად. შეხვედრები ძირითადად კითხვა-პასუხისა და მსჯელობის რეჟიმში მიმდინარეობდა. ადგილობრივმა მოსახლეობამ სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლების წინაშე გამოკვეთა საკითხები, რომელთა გადაწყვეტა მათთვის უმნიშვნელოვანესია. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროგრამა,

# ძლიერი საქართველოსთვის


სენაკი

ადგილობრივი მნიშვნელობის საზოგადოებრივი საჭიროებების მოგვარებასთან ერთად, უზრუნველყოფს თვითმმართველობის განხორციელებაში მოსახლეობის ჩართულობასა და დასაქმებას.

სენაკის მუნიციპალიტეტისთვის 2016 წლის სოფლის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის განსახორციელებლად 653 839 ლარია გამოყოფილი. მიმდინარე წელს განსახორციელებელი პრიორიტეტები, რომლებიც კრების ოქმებშია დაფიქსირებული, გადაეგზავნება მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის სამსახურებსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. შესასრულებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტირებისა და სატენდერო პროცედურების დასრულების შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებში სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება.

აღსანიშნავია, რომ 2013-2015 წლებში პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობის სამუშაოები 435 ობიექტზე განხორციელდა, რაზეც 1 987 292 ლარი დაიხარჯა.

## ახალციხე: შოთა რუსთაველის იუბილე და კონკურსი კალიგრაფიაში

იუნესკომ 2016 წელი შოთა რუსთაველის წლად გამოაცხადა. აღნიშნულთან დაკავშირებით, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახურმა მეხუთე კლასის მოსწავლეებს შორის კალიგრაფიაში კონკურსი მოაწყო.

ღონისძიებაში მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის 19 საჯარო სკოლა, საუკეთესო ხელნაწერებიის ავტორები ხუთკაციანმა ჟიურიმ გამოავლინა.

პირველ ადგილზე ვალის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე მაგდა ჩიტაშვილი გავიდა, მეორეზე – ანის საჯარო სკოლის მოსწავლე მზია კაპანაძე, ხოლო მესმაე ადგილი სოფელ აწყურის საჯარო სკოლის მოსწავლეს ნინი დვალიშვილს ხვდა წილად.

ჟიურის წევრებმა საუკეთესო მხატვრული წერის ნომინაცია ვალის მეორე საჯარო სკოლის მოსწავლე სალომე მღებრიშვილს მიანიჭეს.

საპრიზო ადგილზე გასულებს საჩუქრად „ვეფხისტყაოსანი“ და სიგელები გადაეცათ. საჩუქრის გარეშე არც სხვა კონკურსანტები დარჩენილან. მათ გამგეობისგან სასაჩუქრე ნაკრებები გადაეცათ.

## გამწვანების აქცია ბოლნისში

30 მარტს ბოლნისში გამწვანების ფართომასშტაბიანი აქცია


ბოლნისი

გაიმართა. ყოფილი სასროლეთის ტერიტორიაზე 5 ათასი ნერგის დარგვაში მონაწილეობდნენ როგორც ხელისუფლების, ისე მოსახლეობის წარმომადგენლები.

ელდარისა და კავკასიური ფიჭვის, ქართული მუხის, საპნის ხის, იფნის, თრიმლისა და ფშატის ნერგების დარგვაში აქტიურად იყვნენ ჩართული ქვემო ქართლის გუბერნატორი პაატა ხიზანაშვილი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან, ბოლნისის გამწვანებისა და ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად. მასობრივ აქციაში მონაწილეობდნენ აგრეთვე ადგილობრივი ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

აქციის ფარგლებში ნერგები ასევე დაირგო მუნიციპალიტეტში მდებარე მწვანე მომავლის ბაღში, სადაც უკვე ფუნქციონირებს წვეთოვანი მორწყვის თანამედროვე სისტემა. ასეთივე სისტემა დამონტაჟდება ყოფილი სასროლეთის ტერიტორიაზეც.

## მარნეულის გამგეობა ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებას გეგმავს

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინიციატივით ნარჩენების მართვის საკითხებზე გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელზეც მოწვეული იყვნენ საკითხით დაინტერესებული მხარეები, მუნიციპალიტეტში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციის, კერძო სექტორის წარმომადგენლები და თვითმმართველობის თანამშრომლები.

სამუშაო შეხვედრას გამგებელი მერაბ თოფჩიშვილი უძღვებოდა, რომელმაც მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და მისი გადაჭრის გზებზე ილაპარაკა.

სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: მუნიციპალიტეტში არსებული ნარჩენების კლასიფიკაცია, მისი შეგროვების ტექნოლოგიები, დამუშავება და ამ მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განხორციელებული პროექტები.

გამგებლის განმარტებით, მუნიციპალიტეტი მზადაა, განახორციელოს ეს პროექტი, ნარჩენების სეპარირებისთვის განკუთვნილი ყუთების დასადგმელად კი მხარდაჭერა აღნიშნულ საკითხზე მომუშავე ორგანიზაციებს სთხოვა.

შეხვედრაზე განიხილეს აგრეთვე მუნიციპალიტეტის მხრიდან ნარჩენების მართვის სერვისის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის აუცილებლობა და მათი ცნობიერების ამაღლება.

## კასპი: სოფელ ოკამში საჯარო სკოლის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

„ათასწლეულის გამოწვევის ფონდის“ ფარგლებში მიმდინარეობს ოკამის სკოლის რეაბილიტაცია, რომელიც 600 მოსწავლეზეა გათვლილი და რეაბილიტაციის შემდეგ ყველა თანამედროვე სტანდარტს დააკმაყოფილებს. ამჟამად სკოლაში 400 მოსწავლე სწავლობს და მალე მათ სწავლის საუკეთესო პირობები ექნებათ.

სარეაბილიტაციო სამუშაოების გასაცნობად სოფელში იმყოფებოდნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, შიდა ქართლის მხარის გუბერნატორის მოადგილე ამირან შავშიშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე


კასპი

მანუჩარ მერაბაშვილი და კასპის რესურსცენტრის წარმომადგენლები.

## შუახევი: საინვესტიციო ფორუმი გოდერძის სათხილამურო კურორტზე

2016 წლის 2 აპრილს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ ორგანიზებით, გოდერძის სათხილამურო კურორტზე საინვესტიციო ფორუმი გაიმართა, რომელსაც საქართველოს ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელთან არჩილ ხაბაძესთან ერთად დაესწრო.

საინვესტიციო ფორუმში, რომელზეც ბიზნეს-სექტორის 30-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა, გოდერძის კურორტის საინვესტიციო შესაძლებლობები განიხილეს. პოტენციურმა ინვესტორებმა მიიღეს ინფორმაცია არსებული მიწის ნაკვეთების შესახებ და ასევე გაეცნენ ახალი სასტუმროს პროექტს, რომელიც, დაინტერესების შემთხვევაში, გარკვეული ვალდებულებებით შესაძლებელია გადაეცეთ მფლობელობაში.

საქართველოს მთავრობა აქტიურად არის ჩართული სამთო-სათხილამურო კურორტების განვითარებაში. კურორტზე ინვესტიციების განხორციელება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ტურიზმის განვითარებას. საბოლოო გეგმის მიხედვით, კურორტმა ერთდროულად 7 ათასი დამსვენებლის მიღება უნდა შეძლოს.

## ხულო: ქალთა ოთახი

ხულოში მუნიციპალიტეტის „ქალთა ოთახი“ გაიხსნა. ახალი მუნიციპალური სერვისი შარშან დეკემბერში შეიქმნა და მისი მთავარი მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალბატონების გააქტიურება, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა და ეკონომიურად გაძლიერება. „ქალთა ოთახის“ გახსნას ესწრებოდნენ დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დეკემბრის შემდეგ ხულოს „ქალთა ოთახმა“ რამდენიმე ასეულ ვიზიტორს უმასპინძლა. აქ მოსულებს შეუძლიათ მიიღონ კონსულტაცია მათთვის საჭირო საკითხებზე, სერვისსა და პროგრამებზე, ინფორმაცია განათლების, ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობის შესახებ.

ქალთა ოთახი ასევე აღჭურვილია საბავშვო კუთხით და ბიბლიოთეკით.


ხულო

# ჟოზეფ დოლი თავისას აბრახუნებს და ნათლად მიგვანიშნებს, რომ ვიზალიბერალიზაციის საფასური „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნებაა



„ევროპის სახალხო პარტიის“ პრეზიდენტმა ჟოზეფ დოლიმ ტელევიზიით ნათქვამ „ნაცმოძრაობის“ დამცველ და მოქმედი ხელისუფლების დამშანტაჟებელ სიტყვას საქმე მოაყოლა და საქართველოს ეწვია, თუმცა, სიცრუეა – საქართველოს კი არ ეწვია, არამედ, გიგი უგულავას, ვანო მერაბიშვილსა და ბაჩო ახალაიას თბილისში, ე.წ F„მატროსოვის ციხეში“ ეწვია.

მხოლოდ ორ რამეს კითხულობს გაბრაზებული ხალხი, უპირველესად, ხელისუფლების მისამართით (უცვლელად) – „საქართველოს ხელისუფლებავ, რომელი კანონით იხელმძღვანელეთ და რატომ შეუშვით ეს უცხოელი გარეწარი (არავითარი დიპლომატი, რომელმაც პოლიტპატიმრებად გამოაცხადა მერაბიშვილი, ახალაია და უგულავა) ციხეში კაცისმკვლელებთან, მწამებლებთან და გამაუპატიურებლებლთან?“ და მეორეს, რომელიც პირადად ბატონ დოლის ეკუთვნის: – „ქვეყანას, რომელსაც ვარძია, გელათი და სვეტიცხოველი აქვს, იქ ჩამოხვალ და მხოლოდ უგულავას, ახალაიას და მერაბიშვილს მოინახულებ... ჟოზეფ დოლი, თქვენ მანიაკი ბრძანდებით?“

ბატონმა დოლიმ, კი, გადაუხადა მადლობა ხელისუფლებას იმისთვის, რომ საშუალება მისცა ხანგრძლივი საუბარი ჰქონოდა ამ სამ ადამიანთან, მაგრამ ნუთუ დოლის ერთი მადლობა იმდენად ფასობს, რომ ფეხზე დაიკიდოს საქართველოს ხელისუფლებამ საკუთარი ხალხის წყენა?

ბატონი დოლი, „ნაცმოძრაობის“ სტუმარი, მათდამი უცნობი ვალდებულების, მართლაც უმწიკვლო პირადი სიმპათიების თუ კიდევ სხვა რაიმე მიზეზის გამო ეწვია თავისუფალი სასამართლოს მიერ დამნაშავეებად ცნობილ პირებს საპატიმროში, მხოლოდ თვითონ იციან, მაგრამ სამიდან ერთის ისეთი სიტყვა გამოიტანა, გვერდს ვერ აუვლის კაცი: – „ერთ-ერთმა მათგანმა მითხრა, რომ მუშაობს თავის თავზე იმისთვის, რომ ციხიდან გაბოროტებული არ გამოვიდეს და პოზიტივი მაინც გამოიტანოს იქიდან – ეს ჩემთვის ძალიან პოზიტიური იყო. სამივე იბრძვის იმისთვის, რომ საქართველო რაც შეიძლება მალე გახდეს ევროპული ქვეყანაო“ – გადმოგვცა „ავი ტროიკის“ გულისამაჩუყებელი „მიზანი“.

ისინი რისთვისაც იბრძოდნენ და ახლა უკვე ფაფხურობენ, დოლიმ თუ იცის ცხრა მთას იქით, აგერ, აქვე, მათი პიროვნებების უკეთ მცოდნე ხალხმა დოლიზე უკეთ იცის, მაგრამ ძალიან საინტერესოა, ეს სიტყვები თვით დოლიმ მოიგონა; სამიდან ერთმა მუღამი დაუჭირა დოლის; რომელიღაც მართლა ასეა განწყობილი თუ რასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ბატონი დოლი რომ რაღაც, უშნოდ არახუნებს სიტყვებს, ფაქტია – თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ სამართლიანად არ თვლის მათ პატიმრობას.

ბატონმა პაატა ქურდაძემ დოლის მატროსოვის ციხეში (არავითარ შემთხვევაში თბილისში, ან საქართველოში!) ჩამობრძანებამდე ბრძანა და შეუძლებელია არ დაეთანხმო: – „ამ ტიპს, ასეთი, ყოვლად საბოტაჟური ინტერვიუს გამო, თავმოყვარე ქვეყანაში ლაყე კვერცხებში „ამოხდიდნენ“ ლაყე სულს, თუ კიდევ ეყოფოდა თავხედობა და ჩასვლას გაბედავდა, მაგრამ ეს მხოლოდ... თავმოყვარე ქვეყნებში... ნუ დაიძაბებით, ეს ჩვენ არ გვეხება... პირიქით, მისი ქართველი პარტნიორები წითელი ხალიჩით დახვდებიან და აცრემლებულები მოუყვებიან როგორ მრავლდებიან საქართველოში ევროსკეპტიკოსები და რომ ამაში დამნაშავე, თვითონ სულაც არ არიან; არც „ევროპის სახალხო პარტია“ და მისი უპასუხისმგებლო, რაღაც, კლანური სოლიდარობის გამომხატველი განცხადებები, რომელიც საბოლოოდ მთელ საქართველოს დაბოღმავს ევროპაზე და მართლაც შეცვლის მისი დიდი ნაწილის ვექტორს.



სულ მიკვირს იმ ხალხის, რომლებიც დღემდე ვერ ამჩნევენ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ მხოლოდ ჯოხს არჭობს ისედაც ურემივით ჭრიალით, ნელა მიმავალ საქართველოს ბორბლებში და ყველანაირად ცდილობს მის კიდევ უფრო დამუხრუჭებას. ის, რასაც ეს კაცი ამბობს, უფრო სწორად, კითხულობს, არის პირდაპირი სამხილი ამ „ერთიანი საბოტაჟური მოძრაობის“ წინააღმდეგ“.

რა თქმა უნდა, ყბადაღებული ვიზალიბერალიზაციის საკითხს გვერდს როგორ აუვლიდნენ ე.წ ჟურნალისტები, ამ საკითხს ხომ ვითომ ბატონი დოლი წყვეტს... რა თქმა უნდა, მანაც უშურველად გასცა გაურკვეველი „ბლიაბლია“ პასუხი, მაგრამ უმთავრესი არ დაავიწყდა „მე მაკრიტიკებენ, მაგრამ შემიძლია გავცე პასუხი – მინდა, რომ საქართველო სამართლებრივი, თავისუფალი და ევროპული სახელმწიფო იყოს, ეს არ დამავიწყდება. ერთიც უნდა ვთქვა, მე გავაგრძელებ მუშაობას „ნაციონალურ მოძრაობასთან“ რომელიც იცავს ამ სამ ადამიანს და იმ ევროპულ მომავალს, რომელიც საქართველოს აქვსო“. მეტი ღიად რა და როგორღა თქვას ამ კაცმა?

სოციალური ქსელი ბობოქრობს: საქართველოს 90%-ს უფულობის გამო, ქვეყანა კი არა, უბანი ვერ დაგვიტოვებია, სოფელში ჩასვლა გვენატრება! გაიკეთეთ ეგ „სიკეთე“ უკან, თუ მისი საფასური „ნაცების“ ხელისუფლებაში დაბრუნებაა!

„მე ის კი არ მაკვირვებს, დოლი ციხეში რომ შეუშვეს იმ კრიმინალებთან, ის უფრო მაკვირვებს, რატომ გამოუშვეს იქიდან.“..

როგორც ევროპული საინფორმაციო სააგენტო world news ავრცელებს, მიხეილ სააკაშვილმა საქართველოსთვის ვიზა-ლიბერალიზაცია დაბლოკა „ევროპის სახალხო პარტიის“ მეშვეობით. თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი შეხვდა ჟოზეფ დოლის და „ევროპის სახალხო პარტიის“ შემდგომი დაფინანსების საკითხი გადაწყვიტეს; რომ შესაძლოა, დოულის პოლიტიკური კარიერა სააკაშვილთან ბინძურ გარიგებებს შეეწიროს.

არავინ ამბობს იმას, რა არის სინამდვილეში ეს „ვიზალიბერალიზაცია“, რაც პრობლემური იქნება საქართველოსთვის და მოსახლეობას უქმნიან ყალბ მოლოდინს. უპირველესად, მოსახლეობას არავინ ეუბნება, რომ არ არის საუბარი ევროპაში მუშაობის საშუალებისა და უფლების მიცემაზე.

ჟოზეფ დოლის ხედვითა და სურვილით, ვიზა-ლიბერალიზაცია პირდაპირ უნდა იყოს მიბმული „ნაცმოძრაობის“ კეთილდღეობასთან, თუმცა, თვით ვიზალიბერალიზაციის მიღება რა დადებითისა და უარყოფითის მომტანია, არავინ საუბრობს.

საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი, საფრანგეთი-საქართველოს ურთიერთთანამშრომლობის გენერალური ასამბლეის აღმასრულებელი დირექტორი **სულა სულაშვილი:**

არსებობს ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა და ეხება 2009 წელს ევროკავშირის მიერ მიღებულ სავიზო კოდექსს, რომელიც ძალაში შევა ვიზალიბერალიზაციის ამოქმედებისთანავე – ეს გახლავთ რეადმისიის კანონი.

რაში მდგომარეობს პრობლემა – ეს ეხება არალეგალური მიგრანტების რეადმისიას, რომელიც ითვალისწინებს ევროპის ტერიტორიაზე არალეგალურად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების უპირობო დეპორტაციას, რომლის ფინანსური მხარე, ხელშეკრულების გათვალისწინებით, პირად პასუხისმგებლობაზე აიღო საქართველოს მხარემ.

ამ პროცესს ნამდვილად ექნება ეკონომიკური და სოციალური შედეგები, ვინაიდან, გარდა იმისა, რომ ასიათასობით ემიგრანტის სამშობლოში დაბრუნებას სჭირდება უამრავი რეფორმის უზრუნველყოფა (რისთვისაც საქართველოს საჯარო ინსტიტუტებს დიდი მუშაობა მოუწევთ), არსებობს მეორე სეგმენტი, რომელზეც დიდ ზეგავლენას მოახდენს. ეს გახლავთ უამრავი ქართული ოჯახი რომლებიც დამოკიდებული არიან ოჯახის იმ წევრის ფულად გზავნილებზე რომლებიც არალეგალურად მუშაობენ ევროკავშირის ქვეყნებში. იგივე ეხება მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც, შესაძლოა, შევიდნენ ევროკავშირში საქართველოს გავლით და პასუხისმგებლობის ტვირთს აკისრებს მხარეს, რომელიც ახორციელებს რეადმისიას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოსახლეობის 28,9% ემიგრაციაშია. მათი 80% არალეგალურად მომუშავე მიგრანტია და სწორედ ეს ემიგრანტი წარმოადგენს ოჯახში შემოსავლის ერთადერთ წყაროს.

როცა ვაანალიზებთ დადებით და უარყოფით შედეგებს, ყოველთვის გასათვალისწინებელია რომ ვიზალიბერალიზაციის პერსპექტივა, მიუხედავად სერიოზული პრობლემებისა, აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს და შესაძლოა, დადებითი გავლენა იქონიოს როგორც ფიზიკური პირების ინტერესებზე, ისე, მთლიანად ქვეყნის განვითარებაზე და ეს დამოკიდებულია საქართველოს ხელისუფლების მოქნილობაზე. მიუხედავად ამ საკითხების მნიშვნელობისა, ძალიან სუსტად არის შესწავლილი ევროკავშირისკენ მობილურობისა და მიგრაციის დინამიკა და მასთან დაკავშირებული საკითხები.

საზოგადოების დიდმა ნაწილმა, პოლიტიკოსების, ექსპერტების, მედიასაშუალებებისა და ამ პროცესში პირდაპირ მონაწილე მხარეების ჩათვლით, ძალიან ცოტამ იცის იმის შესახებ, თუ რა სარგებლობა შეიძლება მიიღონ მათ და რის ფასად. სამწუხაროდ, საქართველოს არც წინა და არც ამჟამინდელ ხელისუფლებას არ უწარმოებია კვლევები და არ წარმოუდგენია საკუთარი დასკვნები იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ამ შეთანხმების აღსრულება მათი ძალაში შესვლიდან სამი თვის შემდეგ.

საზოგადოების დიდმა ნაწილმა არ იცის როგორ ხდება რეადმისიის კანონის ინტერპრეტაცია და როგორ აღიქვამს საქართველოს მოსახლეობა ამ საკითხთან დაკავშირებულ შესაძლო რისკებს. საქართველოს ხელისუფლებამ დღემდე არ იცის რა დაუჯდება საქართველოს საკუთარი არალეგალური მიგრანტების მიღება და რეინტეგრაცია, რაც თავის მხრივ, გავლენას მოახდენს დასაქმებასა და შრომის ბაზარზე არსებულ შესაძლებლობაზე.

**გიორგი ჩხეიძე**

# როგორ მოვიქცეთ მაშინ, როცა „ჟვანიას კლინიკას“ აქვს სურვილი დიაგნოზის დასმის და არ გააჩნია ლაბორატორია, „ციციშვილის კლინიკას“ კი აქვს ლაბორატორია და არ აქვს დიაგნოზის დასმის სურვილი?!.

ძვ. წ. 400 წელს მედიცინის მამად წოდებულმა დიდმა ბერძენმა – ჰიპოკრატემ დაწერა „ჰიპოკრატეს ფიცი“ და ამ მორალური კოდექსით ექიმები, წესით, დღემდე უნდა ხელმძღვანელობდნენ... მაგრამ, დრო იცვლება და თუ ადრე მთავარი ის იყო, რომ ავადმყოფი განკურნებულიყო, ახლა მთავარია: პაციენტს დაზღვევა აქვს თუ ხელზე იხდის? დღეში რამდენი პაციენტის განსინჯვას მოასწრებ? და საერთოდაც, თუ არ განიკურნება და დიდხანს მოთავსდება საავადმყოფოში – უკეთესი, იმიტომ რომ, მეტს გადაიხდის...

ციციშვილის ბავშვთა ახალ კლინიკაში ყოფნისას იქ დავტოვე პაციენტი, რომელიც კლინიკაში უკვე 20 დღეა წევს, რადგან შემოვიდა ფილტვის ანთებით და შემდგომ იქვე გადაედო ვირუსული ინფექცია... ამასობაში შეიძლება აპენდიციტმა შეაწუხოს და ქირურგიულში გადაიყვანონ...

მარტო საქართველოში გეტყვის ექიმი, რომ არ სცალია, რადგან შენს გარდა კიდევ 80 პაციენტი ჰყავს, და დასძენს, რომ ბევრი არ უნდა მოვითხოვოთ ექიმისგან, რომელსაც ერთი პაციენტისგან 2,50 ლარი ერიცხება.

არ ვიცი ზუსტად, მართლა 2,50 ერიცხება ექიმს თითო პაციენტის გასასინჯად თუ არა, მაგრამ, ასეც რომ იყოს, ჩვენ, კლინიკას, ბევრად მეტს ვუხდით. მაგალითად, მე, 7 დღეში სახელფასო ფონდისთვის 333 ლარი მაქვს გადასახდელი, შესაბამისად, ანაზღაურების საკითხი ექიმმა კლინიკის მენეჯერთან უნდა განიხილოს და არა ჩემთან და მაინც აღარ ვაპირებ ხალათის ჯიბეში ფული ჩავუკუჭო...

დიაგნოზის დასმა ქართულ მედიცინაში ყველაზე გრძელვადიანი, რთული და დამღლელი პროცესია. ზუსტად ორი წელი ვატარე საკუთარი შვილი ექიმებთან, სამჯერ მეწვა „ამტელის კლინიკაში“ – გავაკეთეთ ენდოკრინული კვლევები, ავიღეთ ტესტები ინფექციურ დაავადებებზე, ჭიების არსებობა-არარსებობითაც დავინტერესდით, მაგრამ დიაგნოზი ისევ და ისევ ვერ მივიღეთ. პირად საუბარში ამბობდნენ, რომ ეს ასთმაა. ნიშნავდნენ ძვირადღირებულ ჰორმონალურ ასთმის მედიკამენტებს.

მოკლედ, მივხვდი, რომ არ გვივარგა კი არა, არ გვაქვს ჯანდაცვის სისტემა. არ გვივარგა კი არა – გასაუქმებელია ზოგიერთი საავადმყოფო. ექიმად უნდა მუშაობდეს კი არა საავადმყოფოს კარსაც კი არ უნდა აღებდეს ზოგიერთი ექიმი...

აი, ამ საკითხებისთვის მართლაც ღირს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ბრძოლა, ეს საკითხები მართლა ყველას გვეხება, მეხანძრიდან დაწყებული, მასწავლებლით დამთავრებული...



თითქოს არ ვართ ისე მორიდებულნი, რომ ექიმს სათქმელი ვერ ვუთხრათ, არც მშიშრებს ვგავართ, რომ სადაზღვევო კომპანიების გვეშინოდეს, არც გულჩვილნი ვართ, რომ სახელმწიფო გვეცოდებოდეს, რაკი საყოველთაო დაზღვევას აფინანსებს... იქნებ, არც ვიცით, რა უნდა მოვითხოვოთ? ის არ ვიცით, რომ როცა ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში შესასვლელად, ერთჯერად, მაგრამ უკვე მრავალჯერ გამოყენებულ, სისხლით თუ სხვა ნაცნობ-უცნობი ლაქებით დათითხნილ ხალათს გვაწოდებენ, ახალი რომ უნდა მოვითხოვოთ? რადგან, თუ ხალათს იმიტომ გვაცმევენ, რომ ინფექცია და მიკრობი არ მივიტანოთ ავადმყოფთან, მაშ, სად არის ლოგიკა, როცა ვიღაცის ნაცვამ და დასვრილ ხალათს გაწვდიან? ეს ხომ იგივეა, რომ პირბადე მოიხსნათ და მისი გაკეთება შემოგვთავაზოთ? ან, იქნებ, ის არ ვიცით, რომ პაციენტთან, რომელსაც ფილტვის ანთება აქვს, არ შეიძლება პალატაში იწვეს ავადმყოფი, რომელსაც მწვავე ვირუსული ინფექცია აქვს? ან საავადმყოფოში როცა გვეუბნებიან, რომ თქვენს შვილს ვირუსული ინფექცია აქვს, მხოლოდ ფიზიოლოგიური ხსნარით მკურნალობენ 5 დღე და გამოწერისას ნიშნავენ მედიკამენტებს? მართლა გვჯერა, რომ იმ 5 დღეშიც არ სჭირდებოდა ავადმყოფს მედიკამენტი? სად მიდის მედიკამენტები, რომლებსაც პედიატრიულ განყოფილებას ასეთი პაციენტებისათვის ამარაგებენ? თუ არ არის საჭირო წამალი, ან რა ვუპასუხოთ ბავშვს, რომელიც ხმამაღლა დასვამს კითხვას – აქ იმიტომ მაჩერებთ, რომ ფიზიოლოგიური ხსნარით მმკურნალობთო? ან რითია დაკავებული მკურნალი ექიმი განყოფილებაში, თუ მთელი დღის მანძილზე ვერ იცლის, რომ პაციენტი ნახოს ან მშობელს კითხვაზე უპასუხოს? – ეს ის მარტივი კითხვებია, რომელსაც ყველა ავადმყოფი ან მისი მეურვე უნდა სვამდეს, და მაშინ აღარ დაიკარგება იმ თითო-ოროლა ადამიანის ხმა, ადამიანის, რომელიც ხამამაღლა სვამს კითხვას, აპროტესტებს და ითხოვს... ანუ მე, მარტოხელა დედას, რომელიც სოციალურად დაუცველია, უნდა წამეყვანა ჩემი 11 წლის შვილი, რომელსაც იმ მომენტისათვის მაღალი არტერიული წნევა ჰქონდა სახლში, მეშოვნა ფული, წავსულიყავი ისევ იმავე კლინიკაში, ან სხვა კლინიკაში, გადამეხადა კონსულტაციის და ანალიზების ფული და მაშინ ან მეტყოდნენ დიაგნოზს, ან ვერა... ამას რომ მივხვდი და თან თქმა გავბედე, გაბრაზდნენ და ცოტათი დამტუქსეს კიდეც, ჩემს შვილს კი სასწრაფოდ ნევროლოგი მოუცუნცულეს და ძალიან გაკვირვებულნი დარჩნენ, რომ „გაღიზიანებული და პრობლემური დედის“ შვილს ნევროლოგიური პრობლემები არ აღმოაჩნდა...



ახლა, ვზივარ სახლში, ვზივარ და ვფიქრობ, „ჟვანიას კლინიკას“ ჰქონდა სურვილი დიაგნოზის დასმის და არ გააჩნდა ლაბორატორია, „ციციშვილის კილინიკას“ კი – აქვს ლაბორატორია და არ აქვს დიაგნოზის დასმის სურვილი... სად წავიყვანო ჩემი შვილი, სად ვიპოვნო ექიმი, რომელსაც იმიტომ კი არ აცვია თეთრი ხალათი, რომ მის დედიკოს ან ბებიკოს მოსწონდა თეთრხალათიანები, არც იმიტომ აცვია, რომ ამ ხალათის საშუალებით ბოლო მოდელის ჯიპი იყიდოს, არამედ, იმიტომ რომ ეს მისი მოწოდებაა და იქნებ არსებობდეს სადმე ასეთი ექიმი, რომელმაც, თუ არ იცის – წაიკითხავს, კონსულტაციას გაივლის კოლეგებთან – ოღონდ დაგვეხმარება, მაგრამ მანამდე ის უნდა მოვიფიქრო, რა გზით გადავუხადო 888 ლარი კლინიკას, რომელმაც დაუზუსტებელი დიაგნოზით და შემდგომ მოქმედებასთან დაკავშირებით – კონსულტაციის გარეშე ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, გამოგვაგდო კლინიკიდან?!.

თამო კეჟელავა
555 46 08 04

# როცა ქვეყანას განათლების „ფინთიკოსა“ მინისტრი ჰყავს, იქ ყველაფერი დასაშვებია

განათლების სისტემაში რომ სერიოზული პრობლემებია, ამაზე ყველა თანხმდება და ეს თემა საკამათო არაა. სამინისტროში რომ განუკითხაობა და ქაოსია, იქედანაც ჩანს, რომ სამი წლის წინ არც მარგველაშვილისა და არც სანიკიძის სახელზე დაწერილ განცხადებებზე პასუხი დღემდე არ მიმიღია. ნამდვილად სირცხვილი და თავის მოჭრაა, ქვეყანაში გყავდეს როინ მეტრეველი, ოთარ კვესიტაძე, ელიზბარ ჯაველიძე, ვანო კიღურაძე და განათლების მინისტრი რომელიღაც კერძო უმაღლეს სასწავლებელში „ზავხოზად“ ნამუშევარი ვინმე თამარ სანიკიძე იყოს. შეგახსენებთ, რომ ერთ-ერთ მთავრობის სხდომაზე, გადატანითი მნიშვნელობით, ქალბატონი სანიკიძე კერკეტ კაკალს შეადარეს.

ზემოიმერული განმარტებით კერკეტი კაკალი კაკლის ხის ის მცირე ზომის ნაყოფია, რომელსაც სქელი და მაგარი ხეჭო, ანუ კანი აქვს, ხოლო ნაყოფი მცირე და გამოუსადეგარი, რადგან ძნელად ამოსაღებია. აი, ზუსტად ესაა ქალბატონი სანიკიძე, რომელსაც მე „ფინთიკოსა“ მინისტრი შევარქვი და არის კიდევაც. დარწმუნებული ვარ, სხვა ვინმე გენიოსიც რომ დაგენიშნათ მის ადგილზე, ვერაფრით მოახერხებდა და შეძლებდა განათლების სისტემის იმ დონეზე დაყვანას და ისე გაბითურებას, რა მდგომარეობაშიც იგი დღეს არის.

მიუხედავად, მისგან ასეთი აგდებული დამოკიდებულების გამო დიდი წყენისა, რიგი ობიექტური მიზეზების გამო, მათ შორის მისი ოჯახის დიდი პატივისცემისა, განსაკუთრებით მამიდამისისა, ღმერთმა იცოდეს, არაფრით არ მინდოდა მისი გაკრიტიკება. იმის მაგიერ, რომ ქალბატონ მინისტრს მასწავლებლისათვის ჩამოწერილი სკამისა და მაგიდის თხოვებისათვის, ლომაიასა და ვინმე კაკუტიას მიერ სამსახურიდან მოხსნილი, 16 წლის დირექტორობის სტაჟის მქონე პროფესორის შელახული უფლება აღედგინა, განცხადებაზე პასუხსაც არ მაძლევს. ვერაფრით ვხსნი, რატომ აქვს მისთვის ასეთი პრინციპული მნიშვნელობა, რომ არათუ აღმადგინოს, განცხადებაზე პასუხიც არ მომცეს. მაგრამ ჩემს მოთმინებასაც აქვს საზღვარი.

როცა ამ მიმართებით მან საკუთარ მამას, პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარეებს, კიღურაძესა და ბესელიასაც კი არ გაუწია ანგარიში და წერილზე მაინც არ მიპასუხა, საბოლოოდ აივსო ჩემი მოთმინების ფიალა, რადგან მისი ქმედება უკვე უპატივცემულობის ყველა ზღვარს გასცდა და თავხედობაში გადაიზარდა. ამიტომ, მეც უფლებას ვიტოვებ ეთიკის ნორმები ნაწილობრივ დავარღვიო და ამჯერად მისი მცირე კრიტიკით შემოვიფარგლო. სერიოზული კრიტიკისათვის კი მის სახელზე ღია წერილს ვამზადებ, სადაც უფრო ღრმაშინაარსიანად გავაცნობ საზოგადოებას ქვეყნის განათლების მინისტრის საქმიანობას. რაც შეეხება ტერმინ „ფინთიკოსას“, ეს ტერმინი ბატონ დავით მხეიძეს დავესესხე, როდესაც მან „ფინთიკოსა“ მასწავლებლად გრიგოლიას ყოფილი შოუების მუდმივი მონაწილე და „იმედის“ ეთერში ეკრანზე აქციზური მარკასავით მიკოსებული პუბლიცისტი თუ მასწავლებელი, ვინმე ნათია მეგრელიშვილი მოიხსენია. ბატონო დავით, განათლების სისტემა აიტანს ერთ „ფინთიკოსა“ მასწავლებელს და ამით ქვეყანა ნამდვილად არ დაიქცევა, მაგრამ როცა მინისტრია „ფინთიკოსა“, ეს ქვეყნის უბედურებაა.

რატომ არის, რომ არცერთ მინისტრს და მათ მოადგილეებს მიღება არ აქვთ. რატომაა, რომ ისინი განცხადებებსაც კი არ კითხულობენ და მათი ბედი სამინისტროს წვრილფეხა თანამშრომლებს აბარია მაშინ, როცა ამ წვრილფეხა თანამშრომლების 95% განათლების სამინისტროში ლომაია-შაშკინის, ჩიორა თაქთაქიშვილის, მერი გაბაშვილისა და ინტრიგან-მომჩივანი ვინმე კაკუტიას მოყვანილი კადრებია, როგორ ფიქრობთ, ისინი ახალი ხელისუფლებისათვის სასიკეთო საქმეს გააკეთებენ?

მინისტრების ასეთი მედიდური და ბიუროკრატიული დამოკიდებულების ბრალია, რომ ხალხის საკმაოდ დიდი ნაწილი განაწყენებულია, და ეს წყენა შემდგომში, მთლიანად ხელისუფლებაზე გადმოდის. უამრავი საკითხებია, რომლთა მოგვარება სამინისტროს დონეზე უმტკივნეულოდ შეიძლება, რაც მათთვის არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს და ხალხიც კმაყოფილი იქნება, მაგრამ არ აკეთებენ. იციან, რომ მინისტრთან ვერ შეხვალ, არ მიგიღებს. ისიც იციან, რომ არც ზემდგომ ინსტანციაში მიგიღებენ, განცხადების კითხვით კი არც ზემდგომში იკლავენ თავს და ისევ მათ უგზავნიან უკან. ესენიც, დაუსჯელობის სინდრომით გათამამებულნი, პასუხსაც არ გაგცემენ და ასე გრძელდება დაუსრულებლივ. მათი ასეთი ქმედებების შედეგია, რომ ხალხში უკმაყოფილებამ იმატა და ორთქლის გამოსაშვებად „რუსთავი-2“-ში გარბიან. მივესალმები ბატონი კვირიკაშვილის წინადადებას, შეიქმნას სტრუქტურა, რომლის საშუალებით მოხდება ამ თავნება მინისტრების საქმიანობის გაკონტროლება.

დიდ თანამდებობას არ ვითხოვ, დამნიშნეთ ამ სამსახურში განათლების სამინისტროს კურატორად, სამეცნიერო ხარისხიც მაქვს და სამეცნიერო წოდებაც, ამასთან პედაგოგიური მუშაობის 45-წლიანი სტაჟი. აი, მაშინ კი მის საქმიანობას ბოლომდე ჩამოვხსნი ნიღაბს და ქვეყანას დავანახებ, თუ რა დონის მინისტრია ქალბატონი სანიკიძე. ამდენი ხნის მანძილზე ვერც ერთ ინსტანციაში რომ ვერაფერს მივაღწიე და პასუხიც არავინ მაღირსა, ბოლოს ზუსტად ერთი წლის წინ, 2015 წლის მარტში, პრემიერ-მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს მივმართე განცხადებით. პარალელურად ასლები დავუგზავნე ხელისუფლების სხვადასხვა შტოს უმაღლესი თანამდებობის პირებს, მათ შორის თვით განათლების მინისტრს და ეკა ბესელიასაც.

ყველასგან მომივიდა პასუხი, რომ განცხადება გადაუგზავნეს ადრესატს პროფილის შესაბამისად, ძირითადად კი განათლების სამინისტროსა და პროკურატურას. ამ წერილებიდან მხოლოდ ქალბატონ ეკა ბესელიას ეწერა „პასუხი აცნობეთ განმცხადებელს და კომიტეტსო“. პასუხი მაინც რომ ვერ მივიღე, ვიფიქრე, ქალბატონი მინისტრი მე რომ აბუჩად მიგდებს კი ვიცი, მაგრამ იქნებ პარლამენტს მაინც სცა პატივი და მოთხოვნილებრისამებრ, ქალბატონ ბესელიას პასუხი გაუგზავნა-თქო. დავუკავშირდი ბესელიას აპარატს და მითხრეს, რომ კი ბატონო, განათლების სამინისტროდანაც და პროკურატურიდანაც მივიღეთ პასუხიო. კაცი ამ პასუხებს რომ წაიკითხავს, შენი თავი და ის ქვეყანა შეგეცოდება, რომელსაც ასეთი განათლების მინისტრი ჰყავს. სამწუხაროდ, გაზეთის ფორმატი არ იძლევა საშუალებას, რომ ეს პასუხი გამოვაქვეყნო, თუ არა თქვენ თვითონ დარწმუნდებოდით მის “ფინთიკოსობაში”. თუ ვინმე, ამ მართლა „ფინთიკოსა” მინისტრის მიერ ხელმოწერილ პასუხში რაიმეს გაიგებს და იმის შინაარსს ამიხსნის, კიდევ ერთხელ საქვეყნოდ მოვიხდი ბოდიშს.Eეს პასუხები ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ თუ უგულავამ მარტო ჩემი ნაკვეთი აქცია ბავშვთა სათამაშო მოედნად, ამ ხელისუფლებამ ქვეყანა გადააქცია ბავშვების სათამაშოდ. ქალბატონი თამარ სანიკიძის პასუხი ისეა აცდენილი დროსა და სივრცეს, როგორც თვითონ განათლების სამინისტოს.

ნოდიამ ის მაინც გააკეთა, რომ ეს უვიცი დედაკაცი და ინტრიგან-მომჩივანი ვინმე კაკუტია სამინისტროდან მაინც გააგდო. სანიკიძემ კი ისედაც ნაციონალებით გადატენილ სამინისტროს, ჩიორა თაქთაქიშვილის ეს განუყრელი დაქალი და თანამოაზრე კაკუტიაც მიუმატა და როგორც ამბობენ, მის ჭკუაზე ამართვინებს პროფესიულ განათლებას. კადრების ასეთი შერჩევის ბრალია, რომ ქვეყნის განათლების სისტემა ისე დაეცა და იმ დონეზე გამასხარავდა, რომ მასწავლებელი, ვინც მოსწავლეს ცოდნა უნდა მიცეს, თვითონ აღმოჩნდა უცოდინარი. ეს რომ ასეა, ახლახან ჩატარებულმა მასწავლებელთა სასერთიფიკაციო გამოცდების შედეგებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა. დარწმუნებული ვარ, საერთოდ რომ არ არსებობდეს ეს სამინისტრო, შედეგი ბევრად უკეთესი იქნებოდა. რად გვინდა და რისთვის ვყრით ამდენ ფულს წყალში, იმისათვის რომ ქალბატონმა მინისტრმა, ხან ამერიკაში ისეირნოს და ხან არგენტინაში? სამინისტროს კორიდორებში სიარულისას კი ფეხსაცმელმა თითები რომ არ ატკინოს, ფაჩუჩებისათვის 12000-იანი ხალიჩა იყიდოს? მოკლედ ამ გაღატაკებული მოსახლეობის ხარჯზე მოიწყვეს “ბიჭებმა” ცხოვრება.

ძალზე სამწუხარო ფაქტია, რომ განათლების სისტემის ნგრევა დამოუკიდებელ საქართველოში დაიწყო, რამაც ნაცების მმართველობის პერიოდში პიკს მიაღწია. მოღალატე ლომაიამ სააკაშვილის მითითებითა და მხარში დგომით მიწასთან გაასწორა მეცნიერება და მთლიანად დაანგრია განათლების სისტემა. იმისათვის, რომ ბზარი შეეტანა საკმაოდ მყარ და ტრადიციულად ძლიერ პედაგოგიურ კორპუსში, იქ ადგილები გაეთავისუფლებია და უვიცი ნაცაქტივისტები დაესაქმებინა, დაიწყო სახელოვანი ავტორიტეტული და პრინციპული პროფესიონალი მასწავლებლების სკოლიდან გაყრა.

მიზეზი ძალზე ბანალური და თითიდან გამოწოვილი იყო. თითქოს სკოლებში მოსწავლეთა უფლებები ირღვეოდა. მოსწავლის უფლება რომ არ დარღვეულიყო და მისი თავისუფლება არ შეზღუდულიყო, მასწავლებელს მისთვის ხმამაღალი სიტყვა არ უნდა ეთქვა, გაკვეთილზე მოსწავლეს თავისუფლების უფლება არ უნდა შეზღუდვოდა და რაც უნდოდა, ის უნდა გაეკეთებინა.

მოსწავლეებს უფლება მისცეს აერჩია მასწავლებელი. ასეთივე პოლიტიკა გაატარეს უმაღლეს სასწავლებლებშიც. სასწავლო დაწესებულებები დაიცალა პრინციპული და თავისი საქმის მცოდნე პროფესიონალი მუშაკებისაგან. მყარად დამკვიდრდა თეზა „მოსწავლე ყოველთვის მართალია“ და ყველამ მათი დაცვა დაიწყო ისე, რომ აღარავის ახსოვდა მასწავლებელთა შელახული უფლება. ასე თანდათანობით გადავიდა ძალაუფლება მოსწავლეებისა და სტუდენტების ხელში. ამან გამოიწვია ის, რომ მოსწავლეებმა სკოლების მართვა დაიწყეს, სტუდენტებმა კი უმაღლესი სასწავლებლების. აბა, უნივერსიტეტიდან როინ მეტრეველს რომ გაუშვებ და მის ადგილზე ლორთქიფანიძეს, ხუბუას და კვიტაშვილს მოიყვან, სხვა რა შედეგს უნდა ელოდო.

არც ჩვენი „ფინთიკოსა“ მინისტრი ჩამორჩა თავის წინამორბედებსა და იგივე კურსს უცვლელად ატარებს.

რაც ახლა თბილისის უნივერსიტეტში ხდება, არა მარტო სტუდენტების უფლებამოსილებას, არამედ ყოველგვარ ზღვარს სცილდება. დააკვირდით მათ ქცევას, როგორ გამომწვევად ელაპარაკებიან რექტორს, აკადემიური საბჭოსა და სენატის წევრებს დარბაზში არ უშვებენ და ხელს უშლიან თავისი მოვალეობის შესრულებაში. როგორ მედიდურად ზიან დარბაზში და პრეზიდენტის წარმომადგენელს როგორი იერით ხვდებიან. კაცი ხელს ართმევს აქციის მონაწილეებს, ისინი კიდევ პირველ რიგში მსხდარნი, ფეხიფეხშემოდებულები მისალმებისას ფეხზე ადგომასაც არ კადრულობენ, ისეთ პოზას ღებულობენ და ისე ამადლიან ხელის ჩამორთმევას, თითქოს დიდი მოწყალება გაიღეს.

ახლა, ქალბატონი სანიკიძისა და ბერძენიშვილის ადვოკატად რომ არ გამოვდგები, ეს ყველამ იცის, ვისაც ერთი ჩემი წერილი მაინც წაუკითხავს, მაგრამ რა უბედურებაა, მინისტრს ასეთი ტონით ელაპარაკო და ულტიმატუმი წაუყენო. ბერძენიშვილია კიდევ და, ყველამ კარგად ვიცით, ვინც არის და რასაც წარმოადგენს, მაგრამ ის დეპუტატია და შენ რომ სტუდენტი ხარ, არ გაქვს იმის უფლება მას ასე ელაპარაკო.

ამ პროცესმა ნათლად დაგვანახა, თუ როგორაა დაცემული და მიწასთან გასწორებული მინისტრების, დეპუტატებისა და სახელმწიფო მაღალ სტრუქტურებში მოკალათებული ჩინოვნიკების ავტორიტეტი.

ამ ფონზე თვალშისაცემია განათლების მინისტრის აქტიურობა, რომელიც ხან მშვიდობის მტრედისა და ხანაც მედიატორის როლში წარმოჩინდება. საკმაოდ შეფარულად მოქმედებს და გულმოდგინედ ფარავს რექტორის თანამდებობიდან გადაყენების გულში ჩადებულ მზაკვრულ ზრახვას. შეხვდა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს წევრებს. შეხვედრის შემდეგ კმაყოფილმა განაცხადა: რექტორის საკითხის გადასაწყვეტად დრო მოითხოვესო. ვინ ეკითხება მინისტრს ავტონომიური უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს წევრებს ჭკუა დაარიგოს, რეკომენდაციები მისცეს და მოქმედების გეგმა დაუსახოს.

მე ვეკითხები ქალბატონ მინისტრს, რომელიც მასწავლებელთა სასერთიფიკაციო გამოცდების შედეგთან დაკავშირებით აცხადებს: შედეგი არასახარბიელო, მაგრამ უსაშველოც არ არისო და რაღაც უსუსურ არგუმენტს ასახელებს, ბევრი ჩაჭრილი მინიმალურ ზღვართან მიახლოებული იყოო. კი მაგრამ პაპავას, რომ მენეჯმენტს უწუნებ, თქვენს მენეჯმენტსა და პასუხისმგებლობაზე რატომ არაფერს ამბობთ? როცა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა ფაქტიურად არ მიმდინარეობს და კორპუსები ცარიელია. როცა ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტებს დიპლომებს აღარ აკეთებინებენ, მერე სახელმწიფო გამოცდებიც გააუქმეს და კვალიფიკაციასაც ვეღარ იღებენ. ვისი ბრალია ეს ყველაფერი?

ბატონ გიორგი მარგველაშვილზე გული ძალიან მწყდებოდა, 3-წელი გავიდა და განცხადებაზე პასუხი დღემდე არ მომწერა-თქო. კაცი ისეთი აქტიური და მდიდარი სექსუალური ცხოვრებით ყოფილა დაკავებული, აბა, ჩემი წერილის წასაკითხავად საიდან მოიცლიდა. ბატონო გიორგი, ამიტომ ამას გულწრფელად გპატიობთ და გულში წყენის ნატამალსაც არ ვიტოვებ. თქვენ ისეთი კარგი საქმით ყოფილხართ დაკავებული, მაგ საქმესთან შედარებით ჩემი განცხადება და მასზე პასუხისგაუცემლობის წყენა რა მოსატანია და საყვედურის სათქმელად ენა როგორ მომიბრუნდება. მაგრამ ეს უსაქმური სანიკიძე რაღას აკეთებს, და რითაა ასე დაკავებული, წერილზე პასუხს რომ არ მცემს, ვერაფრით გამიგია.

ომარ გოცაძე
555 33 55 36.

იბეჭდება შემოკლებით

# ჭარბი წონა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებები

თუ თქვენი წონა ნორმას 10%-ით აღემატება, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკი, მათ შორის, ინსულტისა და კორონარული უკმარისობისა, უფრო იზრდება. ცხიმის მატება ხელს უწყობს სისხლის წნევისა და ქოლესტერინის მომატებას, ასევე ინსულინისა და დიაბეტის რეზისტენტობას, რაც გულის დაავადებათა გამომწვევი ყველაზე უფრო გავრცელებული მიზეზებია.

თუმცა, დამტკიცებულია, რომ ჭარბი წონა თავისთავად უკვე წარმოადგენს გულის დაავადების გამომწვევ რისკის ფაქტორს. ესე იგი, მსუქანი ადამიანი შესაძლოა დაავადდეს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით იმ შემთავევაშიც კი, თუ მას სხვა დარღვევები არ აწუხებს. კიდევ უფრო მატულობს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკი, თუ ცხიმი კანქვეშ არათანაბრადაა განაწილებული და მუცლის არეშია კონცენტრირებული, რის შედეგადაც სხეულის ფორმა ვაშლისებური ხდება.

აბდომინალური გაცხიმოვნება გულის დაავადებების რისკს ზრდის იმ შემთხვევაშიც კი, თუ სხეულის მასის ინდექსი ნორმას არ აღემატება. ის ადამიანები, ვის სხეულშიც ცხიმი თანაბრად



მაშინაც კი, თუ მათი სხეულის მასის ინდექსი ბევრად მაღალია. გულ-სისხლძარღვთა დაავადების რისკი მატულობს მემკვიდრეობითობის შემთხვევაშიც.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის გასაძლიერებლად საჭიროა აქტიური ცხოვრებით ცხოვრება და სპორტის აერობული სახეობებით დაკავება. ჭარბი წონა დამატებით ზეწოლას ახდენს გულის კუნთზე, რომელიც ფიზიკური აქტივობების არარსებობის გამო დასუსტებულია. ამიტომ რეკომენდებულია ყოველდღიური ფიზიკური დატვირთვა.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის აუცილებელია რაციონალური დაბალანსებული კვების დიეტის დაცვა. თუ წონაში დაკლება აუცილებლობას წარმოადგენს, შეამცირეთ რაციონის კალორიულობა. ამის გარდა, მიირთვით ისეთი პროდუქტები, რომლებშიც სასარგებლო ნივთიერებები შედის.

**ანტიოქსიდანტები.** A, C, E ვიტამინები, თუთია და სელენი იცავენ გულს, შლიან თავისუფალ რადიკალებს, რომლებიც ორგანიზმში დაჟანგვის პროცესში წარმოიქმნება.

ბეტა-კაროტინი, რომელიც ორგანიზმში A ვიტამინად გარდაიქმნება, დიდი რაოდენობით არის ნარინჯისფერ, წითელ, ყვითელ და მუქი მწვანე შეფერილობის ხილსა და ბოსტნეულში.

C ვიტამინით მდიდარია პომიდორი, მწვანე სალათის ფურცლები, ციტრუსები და კენკროვანი ხილი.

ვიტამინი E დიდი რაოდენობით არის მცენარეულ ცხიმებში, ნიგოზში, მზესუმზირასა და მწვანე ფერის ბოსტნეულში. ნიგოზში, თესლეულ კულტურებში, ხორცსა და თევზში ბევრია სელენი და თუთია. ანტიოქსიდანტებით მდიდარია ჩაი, შოკოლადი და წითელი ღვინო. თუმცა, ეს პროდუქტები ზომიერად უნდა მიირთვათ.

**ფლავოიდები.** ეს ფიტონუტრიენტები (საკვები ნივთიერებები, რომლებიც მცენარეულ პროდუქტებში შედის) დიდი რაოდენობით არის ციტრუსებში, ნესვში, კენკროვან ხილში, წითელ წიწაკასა და სხვა საკვებ მცენარეებში.

**B ჯგუფის ვიტამინები.** ამ ჯგუფის ვიტამინებით განსაკუთრებით მდიდარია ღვიძლი, ხორცი, ბურღულეული, მარცვლოვანი კულტურები და ფოთლოვანი ბოსტნეული.

**ხსნადი უჯრედისი.** დიდი რაოდენობით შედის მარცვლეულ კულტურებში, ბოსტნეულში, ხილსა და ქერში.

**ომეგა-3-ის ჯგუფის ცხიმოვანი მჟავები.** ამ სასარგებლო ცხიმების ძირითადი წყაროა თევზი. ომეგა-3 შედის სელის თესლსა და ზოგიერთ მცენარეულ ცხიმში. ომეგა-3-ის ცხიმოვანი მჟავები ხელს უშლიან თრომბების წარმოქმნას, ამცირებენ სისხლში ლიპიდების დონეს და დაბლა სწევენ სისხლის წნევას.

თანამედროვე გამოკვლევები ადასტურებენ, რომ თუ გულ-სისხლძარღვთა დაააავადებებისგან გინდათ დაიცვათ თავი, არ უნდა მიმართოთ დაბალცხიმიან დიეტებს. მართალია, ასეთი დიეტები სისხლში ქოლესტერინის დონეს ამცირებენ, მაგრამ, ამასთან ერთად, მატულობს მავნე ტრიგლიცერიდების დონე. ამის გამო, მაღალნახშირწყლებიანმა დიეტამ, შესაძლოა, გულისა და სისხლძარღვების პრობლემებთან მიგვიყვანოთ.

მეორე მხრივ, არსებობს ბევრი დამადასტურებელი ფაქტი იმისა, რომ ზოგიერთი ცხიმი, პირველ რიგში კი ომეგა-3-ის ჯგუფის ცხიმები, რომლებიც დიდი რაოდენობითაა თევზეულში, ხელს უწყობს გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაძლიერებას, მაშინ, როდესაც რაციონში მაღალი ნახშირწყლების შემცველ პროდუქტებს შეუძლია ისეთი დაავადების პროვოცირება, რომლებსაც გულ-სისხლძარღვთა დაავადები შეიძლება გამოიწვიონ.

### ჯანსაღი კვების პრინციპები

**ჭამეთ ხშირად**

თუ თქვენ ჭარბი წონა გაქვთ, მიირთვით საკვები არანაკლებ 4-ჯერ დღეში. საკვების ასეთი გადანაწილება დაგიცავთ შიმშილის გრძნობისა და ნაყროვანებისგან.

**პროდუქტები შეუზღუდავი რაოდენობით**

შეგიძლიათ მიირთვათ შეუზღუდავი რაოდენობით უცხიმო ხორცი (საქონლის, ფრინველის ხორცი კანის გარეშე), ზღვის პროდუქტები. ყველა ბოსტნეული კარტოფილისა და სიმინდის გარდა. 4%-იანი ხაჭო, უცხიმო ყველი, 1%-იანი კეფირი, ტომატის წვენი, მინერალური წყალი და ჩაი.

**გამორიცხეთ**

კვების რაციონიდან ამოიღეთ ცომეული — საფუარიანი და ფენოვანი, კარაქი, არაჟანი, რძე, 1%-იანზე მაღალი ცხიმის შემცველობის კეფირი, შებოლილი ძეხვეული, ლორი, ღორის ხორცი, ყვითელი ფერის ყველი, ბანანი, ყურძენი, მზესუმზირა, თხილი და ნიგოზი, შაქრის შემცველი წვენები და სასმელები, ალკოჰოლი.

### ფიზიკური აქტივობა

დაკლებული წონის სტაბილურად შენარჩუნებისთვის აუცილებელია ფიზიკური აქტივობის დონის მომატება. რეგულარული ფიზიკური დატვირთვა ზრდის ინსულინის მიმართ მგრძნობელობას, დაბლა სწევს ინსულინის დონეს იმ ადამიანებში, ვისაც ჰიპერინსულინემია აქვს და აწესრიგებს არტერიულ წნევას. რეკომენდებულია ყოველდღიურად 30-წუთიანი ზომიერი ფიზიკური აქტივობა (სწრაფი სიარული, ცურვა, ველოსიპედით სიარული, ცეკვა). ეს აქტივობები 35-40 %-ით ამცირებს დიაბეტისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკს.

თუ თქვენ სწორად იკვებებით, შეინარჩუნებთ ნორმალურ წონას და ზომიერ ფიზიკურ აქტივობას მიმართავთ, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების შიში ნუ გექნებათ!

მოამზადა
**ბელა გველესიანმა**
568 90 81 22

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

**მთვარისა კევლიშვილი.**
**ტელ.**: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69



* * *

— **როგორია მსჯავრდებულ მეუღლესთან განქორწინების წესი?**

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1125-ე მუხლის „გ“ პუნქტის მიხედვით, სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურშიერთ-ერთი მეუღლის განცხადებით განქორწინება ხდება იმ პირთან, რომელიც სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ სამი წლისა.

ამავე კოდექსის 1139-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მეუღლე, რომელსაც სურს განქორწინება ხსენებული საფუძვლით, ვალდებულია სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი ან განაჩენის ამონაწერი იმის შესახებ, რომ მეორე მეუღლეს შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ სამი წლისა.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, შეტანილი განცხადების შესახებ სააგენტოს ტერიტორიული სამსახური აუწყებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მეუღლეს. უწყებაში უნდა განისაზღვროს იმის თაობაზე პასუხის შეტყობინების ვადა, არის თუ არა დავა ბავშვების შესახებ, მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების გაყოფაზე ან იმ შრომისუუნარო მეუღლის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდევინებაზე, რომელიც დახმარებას საჭიროებს. პასუხის შეტყობინების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3თვეს.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ მიღებულია ცნობა იმის შესახებ, რომ დავა არ არსებობს, ან მითითებულ ვადაში პასუხი არ იქნა მიღებული, სააგენტოს ტერიტორიული სამსახური ახდენს განქორწინების რეგისტრაციას.

დავის არსებობის შემთხვევში განქორწინების საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს პრეროგატივაა.

* * *

— **ვარ 1-ლი ჯგუფის ინვალიდი. მეუღლეს სურს ჩემთან განქორწინება. ვრჩები ულუკმაპუროდ. მშობლებიც გარდაცვლილი მყავს. ჩემი ერთადერთი მარჩენალი იყო მეუღლე. რის გაკეთება შემიძლია სამართლებრივად?**

— თქვენ გაქვთ მეუღლისაგან სარჩოს მოთხოვნის უფლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1129-ე მუხლის მიხედვით, იმ მეუღლის თხოვნით, რომელსაც უფლება აქვს, მიიღოს სარჩო მეორე მეუღლისაგან, სასამართლო ვალდებულია, განქორწინების საქმის გადაწყვეტასთან ერთად განსაზღვროს იმ სახსრების ოდენობა, რაც უნდა გადახდეს მეორე მეუღლეს.

**რჩევა: აუცილებლად დააყენეთ ეს საკითხი შესაბამის შესაგებელში.**

* * *

**ვის მიმართ გამოიყენება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი?**

— არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი გამოიყენება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობისას. ეს კოდექსი გამოიყენება აგრეთვე 18-დან 21 წლამდე ასაკის პირის მიმართ ამ კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ ეს პირი ბრალდებულია / თუ იგი გადახდისუუნაროა/ ამ კოდექსის 38-ე–48-ე მუხლებით დადგენილი ნორმები / განრიდების საკითხი/ვრცელდება აგრეთვე 18-დან 21 წლამდე ასაკის პირზე, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული.

* * *

— **არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, რა ასაკიდან ითვლება პირი არასრულწლოვნად?**

— არასრულწლოვანი – 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი დაზარალებული, არასრულწლოვანი მოწმე, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მიზნებისათვის არასრულწლოვნად ითვლება პირი, რომელსაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 16 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი, ხოლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის – პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი.

# „საქართველოს მატიანე" – ზურაბ წერეთლის შემოქმედების გვირგვინი!



მსგავსი პოპულარობა იშვიათის ხელოვანისთვის. ზურაბ წერეთელი ჯერ კიდევ შუახნის ასაკში იყო სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი... მისი ნამუშვრები ამშვენებენ ამერიკის შეერთებული შტატების, ბრაზილიის, იაპონიის, პორტუგალიის, იტალიის, ესპანეთის... მთავარ ქალაქებს... დიდ ინტერესს ზურაბ წერეთლის შემოქმედებისადმი, ალბათ, ისიც განსაზღვრავს, რომ მის ნამუშევრებს თანამედროვე ქალაქის ყველაზე თვალსაჩინო ადგილებში ვეცნობით და არა მარტო საგამოფენო დარბაზებში...

საინტერესოა, რომ სახელდიდებას თავიდანვე უწინასწარმეტყველებდნენ სახვითი ხელოვნების მოყვარულნი. სამხატვრო აკადემიის 1958 წლის კურსდამთავრებული ახალგაზრდა მხატვრის ფერწერაში გვიზიდავდა დიდი ოპტიმიზმი, წვდომა შინაგანი სამყაროსი, რომელიც სიცოცხლის განუზომელ სიყვარულს გვიმხელდა. ნათელი, საზეიმო ფერების სიჭარბე, მაჟორულობა... და დღესაც, უკვე მხატვარ-მონუმენტალისტ ზურაბ წერეთლის შემოქმედებას, უპირველესად, სწორედ ამ თვისებებით ვაფასებთ.

ერთხელ ვკითხე: – ხომ არ დათმეთ ფერწერა, ბატონო ზურაბ? ალბათ, მისთვის დროც აღარ გრჩებათ...

– პირიქით, მე ახლაც ფერმწერად ვთვლი ჩემს თავს და იშვიათია დღე, რომ ცოტა მაინც არ წავიმუშაო ამ დარგში.

– მაშ, რამ გამოიწვია თქვენი დაინტერესება მონუმენტური ხელოვნებით?

– მინდოდა თავი გამომეცადა, თანაც, დღევანდელობამ დიდი გასაქანი მისცა ამ დარგს...

... ჰოდა, აი, შედეგიც: ზურაბ წერეთლის მონუმენტურმა ნაწარმოებებმა ელფერი და მიმზიდბელობა შემატეს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აგებულ მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს არქიტექტურულ ანსამბლებს...

დედამიწის სიგრძე-განედებს რომ სწვდება, ზურაბ წერეთლის ფიქრი და სიკეთის ქმნის სურვილი, ყოველთვის მაინც სამშობლოს დასტრიალებს. ცნობილია, რომ მან პარიზში ბუნებისა და ხალხთა ყოფის ამსახველ მუზეუმში, დიდი ხნის მცდელობის შემდეგ, მოაწყო კუთხე – მუდმივი ექსპოზიცია ქართული ეთნოგრაფიისა, მისი მოძიებული, ზოგიც კერძო პირებისგან ნაყიდი უამრავი ექსპონატი თვალსაჩინო ადგილას გამოფინა, ანუ სხვადასხვა ქვეყნის დამთვალიერებელს საშუალება მისცა, ახლოს გაეცნო ჩვენი ერის ყოფა-ცხოვრების ამსახველ უძველეს ნიმუშებს...

მთელმა თბილისმა იცის, რა შესანიშნავი ნაწარმოებები – მიმზიდველი ქანდაკებები დადგა ამ ბოლო დროს ზურაბ წერეთელმა მშობლიურ თბილისში... მაგრამ მოსვენებას არ აძლევდა მთავარი – გამოეძერწა, ჩამოექნა, ბრინჯაოში აემეტყველებინა მისი სალოცავი საქართველოს მატიანე... და დაიწყო ამ ოცნების ხორცშესხმა კარგა ხნის წინათ ყეენის მთაზე, თბილისქალაქს რომ გადმოსცქერის და მის კუთხე-კუნჭულს ეფერება...

ჰოდა, სწორედ ყეენის მთაზე აღიმართა „საქართველოს მატიანე", სადაც 300 ტონაზე მეტ ბრინჯაოში ჩამოსხმულია ურთულესი სტრუქტურის 64 ბიბლიური სიუჟეტი. ამაზე მეტი კი საქართველოს ისტორიის სიუჟეტები.

ეს ყოველივე ფირზე აღბეჭდეს რეჟისორმა, დოკუმენტალისტმა მურმან ასიტაშვილმა, ოპერატორმა სერგი შაგულაშვილმა და ფილმი – „ბრინჯაოში გამოჭედილი საქართველოს მატიანე" – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში აჩვენეს ჩვენს შემოქმედებით ინტელიგენციას, ზურაბ წერეთლის ნიჭის თაყვანისმცემლებსა და დამფასებლებს.

ყეენის მთაზე აღმართული მემორიალური კომპლექსის მშენებლობა ჯერ კიდევ ოთხმოცდაათიან წლებში, რა თქმა უნდა, საკუთარი ხარჯით დაიწყო ზურაბ წერეთელმა... და, აი, უკვე შეიძლება შევიგრძნოთ მისი სიდიადე!..

ფილმში ნაჩვენებია, როგორ



ლოცავს ამ უნიკალურ ნაგებობას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II. იგი ამბობს, თუ რა დიდი როლის შესრულება შეუძლია „საქართველოს მატიანეს" ჩვენი სულიერების ამაღლების საქმეში...

მაყურებელი ეცნობა ერის ისტორიას, ამ უნიკალური ისტორიის შემოქმედთ, ბრინჯაოში დიდოსტატურად გამოკვეთილ, ფარნავაზიდან დაწყებულ სათაყვანო ადამიანებს. აი, წმინდა ნინო და ვახტანგ გორგასალი, პეტრე იბერი, იოანე პეტრიწი, ეფრემ მცირე, ზაზა ფანასკერტელი, დავით კურაპალატი, ბაგრატ III... დავით აღმაშენებელი, არსენ იყალთოელი, თამარ მეფე, შოთა რუსთაველი, ცოტნე დადიანი, დიმიტრი თავდადებული, გიორგი ბრწყინვალე, ქეთევან წამებული, მეფე-პოეტი თეიმურაზ პირველი, სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI, ერეკლე მეორე... დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ექვთიმე თაყაიშვილი, რა თქმა უნდა, ივანე ჯავახიშვილი, რა თქმა უნდა, გალაკტიონ ტაბიძე, რა თქმა უნდა, კონსტანტინე გამსახურდია...

ყველა ულამაზესად გამოძერწილი ბრინჯაოში!..

საქართველოს უძველესი ისტორია, საქართველოს საამაყო მატიანე ხომ ამ უკვდავმა ადამიანებმა შექმნეს...

მთავრდება ფილმი, რომლის შესანიშნავ კადრებს შესანიშნავი ტექსტიც ახლავს, რამაც, შევნიშნე, ზოგ მაყურებელს ცრემლიც კი მოჰგვარა... რა გასაკვირია, საყვარელი სამშობლოს საამაყო მატიანემ ძვალ-რბილში დაგვიარა და სულიერად აგვამაღლა, მაგრამ რად არ ესწრებოდნენ ყოველივე ამას ახალგაზრდები?.. სტუდენტობა?.. ნუთუ, არავის დააინტერესა, ვინ არიან, საიდან მოდიან, ვინ მოიყვანა ისინი დღემდე?!

ღმერთმა ამ დიდებულ წინაპართა ღირსი გაგხადოთ, ახალგაზრდებო!..

ხოლო ზურაბ წერეთელს, რა თქმა უნდა, დიდი მადლობა ამ წინაპართა ბრინჯაოში გაცოცხლებისთვის!

**ვილენ მარდალეიშვილი**






## სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63



ISSN 2233-3983

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com